www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 19 იანვარი, 2005 წელი. №11 (871) | ფასი 50 თეთრი

ეკონომიკა

## ჭეიჰანში ნავთობის პირველი პარტია 2005 წლის ბოლოს გადაიტვირთება



ახალი გენერალური მენეჯერი რიფ დიგინგსი საქართველოში 2004 წლის ნოემბრიდან მუშაობს, თუმცა ქვეყნის ძველ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების წარმოების ექვსი წლის წინანდელი გამოცდილება აქვს.

A4

საზოგადოება

## პრეპარატების 65 პროცენტი ჯანმრთელობისთვის საშიშია

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში, ისევე, როგორც სრულიად ქვეყანაში, ცვლილებებია. ოღონდ რას მოგვცემს ეს სიახლეები, თავად ავტორების გარდა, ჯერ არავინ უწყის. ნებისმიერ შემთხვევაში, ექსპერტებს ძვრები დიდად არ ხიბლავთ. თუკი ყველაფერი ხალხის საკეთილდღეოდ იცვლება, რატომ არის ქვეყანა მაინც გავსებული არალეგალური, არალიცენზირებული, ფალსიფიცირებული და ა.შ. პრეპარატებით? ეს ყველაფერი, ხომ ხალხისთვის მეტად საშიშია. ან იქნებ მავანთათვის ხალხი სულაც არ არის პირველხარისხოვანი?

A6

იურიდიული ოფისი „„გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

# გვიშველეთ

## ითხოვს ნინო ბურჯანაძე



სპეციალურ ბრიფინგზე ნინო ბურჯანაძემ საერთაშორისო თანამეგობრობას რუსეთისგან დაცვა სთხოვა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

*პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, საქართველოს ხელისუფლების სახელით, თხოვნით მიმართავს გაერო-ს, ევროკავშირს, ევროპარლამენტს და ეუთო-ს, რომ საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთი საერთაშორისო მეთვალყურეობის გარეშე არ დარჩეს. სპიკერის თქმით, უსწრაფესად უნდა მოიძებნოს მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის, რომ საზღვრის გაკონტროლებაში არა მარტო ქართულმა და რუსულმა ძალებმა, არამედ უცხოელმა დამკვირვებლებმაც მიიღონ მონაწილეობა.*

გიორგი ასანიშვილი

ნინო ბურჯანაძის ამ მიმართვის საფუძველი გახდა ის მუქარანარევი განცხადებები, რომელიც ბოლო ხანს სულ უფრო ხშირად კეთდება რუსეთის ოფიციალური პირების მიერ. პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, პანკისის ხეობაში ჩეჩენი ტერორისტების "ყოფნით" გამოწვეული მოსკოვის "შეშფოთება" მხოლოდ საბაბია პროვოკაციული მოქმედებებისთვის საფუძვლის მოსამზადებლად და გასამართლებლად.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ენერგოდივერსანტი ისევ ისვრის

ნიკა მარიამიძე

*რუსეთ-საქართველოს მაკავშირებელ 500-კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონზე" განხორციელებული დივერსიის გამო, ქვეყნის მოსახლეობა კიდევ ერთხელ აღმოჩნდა უდენოდ დარჩენის საფრთხის წინაშე, ხელისუფლებას კი დამატებითი თავსატეხი გაუჩნდა: გუშინ საღამომდე გარკვეული არ იყო, ღირდა თუ არა დენის იმპორტის უსაფრთხოების დაცვა რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებად და კოდორის ხეობაში სპეცდანიშნულების რაზმის გადასხმად.*

გუშინ დილით რუსეთიდან დენის იმპორტი დივერსანტების მიერ "კავკასიონის" დაცხრილვის გამო შეწყდა, რის შედეგადაც ქვეყანას 370 მეგავატი სიმძლავრე დააკლდა. ბუნებრივია, მთელი ელექტროენერგეტიკული კომპლექსის ჩინოვნიკები თბილისის მომარაგების უზრუნველსაყოფად აფუსფუსდნენ. შედეგად, უდენობა დედაქალაქს ისე სასტიკად არ უგრძვნია, როგორც რეგიონებს. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ხაზი არც ისე შემაშფოთებლად იყო დაზიანებული – "უცნობმა დივერსანტებმა", თურმე, ხაზის გაწყვეტა ვერ მოახერხეს და მხოლოდ იზოლაცია დააზიანეს, რისი გამოსწორებაც შედარებით ნაკლებ დროსა და შრომით რესურსებს მოითხოვს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საინაუგურაციო სტრიპტიზი დაცმით



B1

პრეზიდენტის ოჯახი ინაუგურაციისთვის ემზადება.

## მმართველი პარტიის "რაიონული" პრობლემები

თამარ ასათიანი

*მას შემდეგ, რაც 22 ნოემბერს ორი პოლიტიკური ძალა - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და "გაერთიანებული დემოკრატები" გაერთიანდნენ, ახალი მმართველი პარტიისადმი მედიის ყურადღება შედარებით მინელდა. ეს ფაქტი კი პარტიის აქტივისტებს მეტად ახარებს, მაგრამ ოფიციალური გაერთიანება სულაც არ ნიშნავს, რომ პრობლემები მოგვარდა და ახალი პარტიული სტრუქტურა სრულყოფილად ამოქმედდა. შიდაპარტიული პრობლემები (განსაკუთრებით, რეგიონებში) რეალურად არსებობს.*

გაგრძელება A2 გვერდზე

ამინდი

| | 19/1 | 20/1 |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | 11 |
| ქუთაისი | 11 | 13 |
| ბათუმი | 13 | 14 |
| სოხუმი | 11 | 11 |
| ფოთი | 13 | 13 |
| თელავი | 5 | 9 |
| ზუგდიდი | 12 | 13 |
| გორი | 3 | 8 |
| ახმეტა | 5 | 9 |
| ჭიათურა | 6 | 10 |
| გაგრა | 8 | 8 |
| სამტრედია | 11 | 13 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8200 |
| ევრო | 2.3704 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3825 |
| რუბლი | 0.0647 |

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი: ვაჟა ფშაველას №45 ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70.20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124.80 ლარი.



A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## მმართველი პარტიის "რაიონული" პრობლემები

პირველი გვერდიდან

თუკი დედაქალაქში ჟვანიასა და სააკაშვილის გუნდელებს შორის არცთუ თბილი დამოკიდებულება ნაკლებად იგრძნობა, სრულიად განსხვავებული ვითარებაა რეგიონებში, სადაც პარტიული ორგანიზაციები საკმაოდ რთულად კომპლექტდება.

"ნაციონალური მოძრაობისგან" განსხვავებით, რომელიც სამიოდე წლის წინ შეიქმნა და ორგანიზაციულ საქმიანობაზე მეტად, აქცენტს მოსახლეობის განწყობებზე აკეთებდა, "გაერთიანებული დემოკრატები" რეგიონებში მაინც ფლობდნენ გარკვეულ პოლიტიკურ კაპიტალს - პირველ რიგში, ერთგულ ადგილობრივ კადრებს, რომლებიც, მოქკავშირის დაშლის შემდეგ, ზურაბ ჟვანიასთან დარჩნენ და რაიონული ორგანიზაციებიც შეინარჩუნეს (განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. რთული რეგიონები, სადაც ზურაბ ჟვანიას გუნდი ბოლომდე ფლობდა სიტუაციას. სამეგრელოში მისი მთავარი საყრდენი ბეჟან გუნავა და მისი თანამოაზრეები იყვნენ, ხოლო სამცხე-ჯავახეთში და, განსაკუთრებით, ახალქალაქში - პარლამენტარი მელიქ რაისიანი).

დღეს კი "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტები აშკარად ჯაბნიან ყოფილ "გაერთიანებულ დემოკრატებს". თანაც, საგულისხმოა, რომ მთელ რიგ რაიონებში "ნაციონალურ მოძრაობას" ის ადამიანები შეუერთდნენ, რომლებიც ყოველთვის შევარდნაძის მხარდამჭერებად აღიქმებოდნენ.

მაგალითად, იგივე სამცხე-ჯავახეთში, სხვებთან ერთად, პარტიული აღმშენებლობის უფლება მელიქ რაისიანთან სერიოზულად დაპირისპირებულმა, ნინოწმიდის მაჟორიტარმა, გაზისა და სიგარეტის არალეგალურ ბიზნესში დადანაშაულებულმა ენზელ მკოიანმა დაიკავა, რომელიც პრეზიდენტის არჩევნების დროს მიხეილ სააკაშვილის შტაბსაც კი ხელმძღვანელობდა.

კულუარული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილის კარზე მისი ლობისტი ვანო მერაბიშვილი იყო. მაშინ ჩვენთან საუბარში მერაბიშვილმა ენზელ მკოიანის "რეაბილიტაცია" ასე ახსნა: **"ადამიანი ჩვენთან მოვიდა და დახმარება გვთხოვა. ხელს ხომ არ ვკრავდით. მერე რა, რომ საპარლამენტო არჩევნებზე მოქკავშირის მაჟორიტარი იყო. ახლა ჩვენ გვერდით დგას."**

პრობლემები შეექმნა დუშეთში ზურაბ ჟვანიას ერთგულ თანაგუნდელს, პარლამენტარ მარინა მოლოდინსაც. მან რაიონში ნელ-ნელა დაკარგა გავლენა. მეტიც: პარლამენტში მას უარი უთხრეს რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონების კომიტეტის წევრობაზე.

ასე რომ, რაიონებში პარტიული რგოლების ჩამოყალიბება, შეიძლება ითქვას, თავიდან იწყება. ისინი, ვინც რაიონულ ორგანიზაციებში საკუთარ ადგილს ვერ პოულობენ, "ნაციონალური მოძრაობის" რიგებს ტოვებენ. ნაწილი ზვიად ძიძიგურისა და კობა დავითაშვილის პარტიაში წევრიანდება (როგორც ამბობენ, იგივე ბეჟან გუნავა, რომელმაც უმრავლესობის რიგები დემონსტრაციულად დატოვა, მალე "კონსერვატიულ პარტიაში" გაწევრიანდება, ბუნებრივია, საკუთარ მხარდამჭერებთან ერთად).

ამავე დროს, პარტიის ცენტრალურ ოფისში საკმაოდ საინტერესო სახეებსაც შეიძლება შეხვდეთ - თუნდაც ყოფილი "სახალხო პარტიის" აქტივისტებს, რომლებიც პარტიის ცენტრალურ აპარატში საკვანძო პოზიციებს ფლობენ. ამავე დროს, მიხეილ სააკაშვილის თანაგუნდელები საკუთარ რიგებში უკვე ეძებენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც პარტიულ მშენებლობას საკუთარ თავზე აიღებენ. ჩვენი ინფორმაციით, პარტიული აქტივისტების ახალი გუნდის ჩამოყალიბება დავით კირკიტაძეს დაევალა, რომელმაც რამდენიმე დეპუტატს პარტიის შიდასტრუქტურებში უკვე შესთავაზა თანამდებობები. ეს კი ნიშნავს, რომ დღევანდელ მმართველ პარტიას არ სჭირდება ისეთი ადამიანები, რომლებიც თითქმის ათი წლის მანძილზე ჯერ მოქალაქეთა კავშირის, შემდეგ კი "გაერთიანებული დემოკრატების" ორგანიზაციულ პრობლემებს აგვარებდენ (მათ შორის არიან ედვარდ სურმანიძე, მარინა მოლოდინი, რომან კუსიანი...).

ერთი სიტყვით, მმართველ პარტიას აშკარად აქვს ორგანიზაციული სახის პრობლემები. თუკი უახლოეს მომავალში პარტია ერთიანობის შენარჩუნებას ვერ შეძლებს, ეს ხელისუფლების იმიჯზე დადებითად ნამდვილად არ იმოქმედებს.

## მეანაბრეები ისევ ახმაურდნენ

ბექა სისაური
ქუთაისიდან

უკვე ორი დღეა, რაც ქუთაისის მერიისა და სამხარეო ადმინისტრაციის წინ

ფირმა "ოქროს საწმისის" მოტყუებული მეანაბრეები მიტინგს მართავენ და მხარის გუბერნატორთან შეხვედრას მოითხოვენ. არადა, "ოქროს საწმისის" მეანაბრეთა მიერ მოწყობილი აქცია, უკვე რამდენიმე წელია, აღარავის უნახავს. სამიოდე წლის წინ კი ამის გამო იმერეთი სოციალური აფეთქების ზღვარზე იყო. საბოლოოდ ვითარება ფირმის დირექტორის ნანა ლომთაძის დაკავებამ და გაკოტრების მმართველის დანიშვნამ განმუხტა, თუმცა 12 000 მეანაბრისთვის თანხა არავის დაუბრუნებია.

ნანა და თემურ ლომთაძეების მიერ დაფუძნებულმა ფირმა "ოქროს საწმისმა" დაახლობეით 4 წელი იარსება. ამ ხნის მანძილე მათ 12 ათას მეანაბრეს, 16 მილიონ ლარამდე თანხა დააკარგვინეს. აღნიშნული ფირმა ტიპურ ფინანსურ პირამიდას წარმოადგენდა და მოსახლეობას პროცენტს, როგორც ფულადი სახით, ასევე პროდუქტების მეშვეობითაც ურიგებდა. ამჟამად მეანაბრეთა უფლებების დამცველი გელა ხუნდაძე სკანდალურ განცხადებებს აკეთებს, რომლის მიხედვითაც ევროპის ერთ-ერთ ბანკში, თურმე, "ოქროს საწმისის" კუთვნილი 20 მილიონი დოლარი დევს. **"ჩვენ ხელთ გვაქვს ინვენტარიზაციის აქტები, რომელთა მეშვეობითაც ირკვევა, რომ ფირმას 6 მილიონი დოლარის ღირებულების უძრავი ქონება გააჩნია. დანარჩენი 20 მილიონის ოდენობის თანხა კი ევროპის ერთ-ერთ ბანკში დევს. ეს ინფორმაცია ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა მომაწოდა, რომლის ვინაობის გამხელაც არ მსურს,"** - აცხადებს ხუნდაძე. მისივე განმარტებით, ლომთაძეებმა ფინანსური პირამიდა, მათი ნათესავის, ამერიკის მოქალაქის - ვინმე ტრაპაიძის რჩევით შექმნეს და ტრაპაიძისვე კუთვნილ ამრიკულ კორპორაციას დაიქვემდებარეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ხუნდაძე გენერალურ პროკურატურაში მიმართვის გაგზავნას აპირებს. იგი იმედოვნებს, რომ პროკურატურა ამერიკის მხარეს მიმართავს, რასაც შედეგად ტრაპაიძის საქმიანობის შესწავლა მოჰყვება. საბოლოოდ კი გამოძიება ევროპის ბანკებში არსებულ "ოქროს საწმისის" მილიონებსაც მიაკვლევს. **"დღეს ოქროს საწმისის კრედიტორთა გამაფრთხილებელი აქციაა, ხვალ კი უფრო დიდ აქციას მოვაწყობთ. ვითხოვთ გუბერნატორთან შეხვედრას. მან უნდა ჩამოგვაცილოს ის კორუმპირებული ჩინოვნიკები, ვინც თანხების დაბრუნებას აფერხებს,"** - განაცხადა აქციის ორგანიზატორმა ხუნდაძემ. მისივე განმარტებით, 2003 წელს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ "ოქროს საწყმისის" გაკოტრების მმართველად თამარ ბარდაველიძე დაინიშნა, თუმცა მოგვიანებით კრედიტორები უკვე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და ქუთაისის საოლქო სასამრთლოს გადაწყვეტილებით ბარდაველიძე მმართველობიდან გაანთავისუფლეს. **"იგი სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა, კაბინეტიდან არ გამოდიოდა და ყიდდა ყველაფერს. მაგალითად ქვიტირში 400 000 დოლარად ღირებული ქონება 4000 ლარად გაყიდა, მაშინ როდესაც დაყადაღებული ქონების გაყიდვის უფლება არავის ჰქონდა. ჩვენი მოთხოვნაა, დაისაჯონ ის ჩინოვნიკები, რომლებმაც "ოქროს საწყმისის" გამოძიება არასწორი გზით წაიყვანეს,"** - აცხადებს ხუნდაძე. აღსანიშნავია ისიც, რომ მეანაბრეები რწმუნებულს პირობას უყენებენ - თუკი მან მეანაბრეთა მოთხოვნები ორშაბათამდე არ დააკმაყოფილა, ისინი უკვე გუბერნატორისა და ქალაქის მერის გადადგომის მოთხოვნით აქციებს მოაწყობენ. ორი დღის წინ მათ გუბერნატორის მოადგილე გია თევდორაძე შეხვდა და, აქციის დაშლის სანაცვლოდ, პრობლემაში გარკვევას დაჰპირდა.

## საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ტვირთები "გაიჭედა"

690 ვაგონი, რომელიც საქართველოში ყაზახეთიდან, თურქმენეთიდან და ცენტრალური აზიიდან შემოდის, აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვარზე, ბეიუკ-კესიკის სადგურშია გაჩერებული, - ამის შესახებ "საქართველოს რკინიგზის" კომერციულმა დირექტორმა რამაზ გიორგაძემ განაცხადა. მისი განმარტებით, ტვირთი აზერბაიჯანის საბაჟო სამსახურების მიერაა გაჩერებული და მისი გათავისუფლება "საქართველოს რკინიგზის" კომპეტენციას სცილდება. აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე ორი მხარის საბაჟო სამსახურებმა უნდა იმუშაონ. აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო "ტრენდის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გაჩერებული ვაგონებიდან 278 - დიზელის საწვავით, 51 - საღუმელე საწვავით, 36 ვაგონი კი - თხევადი აირითაა დატვირთული. აზერბაიჯანის საბაჟო კომიტეტი განაგრძობს მუშაობას და ვაგონების შემოწმებამდე ტვირთის გაშვებას არ აპირებს.

*პრაიმ-ნიუსი*




## გვიშველეთ, ითხოვს ნინო ბურჯანაძე

პირველი გვერდიდან

**"რუსეთმა თავი უნდა დაანებოს საქართველოში იმ პრობლემების ძებნას, რომლებიც, უბრალოდ, არ არსებობს",** - მოითხოვს ნინო ბურჯანაძე. მისი ვარაუდით, **"რუსეთის ხელისუფლებას არ ჰყოფნის ფანტაზია საქართველოს მისამართით ახალი ბრალდებების წამოსაყენებლად და ამიტომაც უბრუნდება პანკისის თემას, რომელიც აბსოლუტურად ამოწურულია".**

პარლამენტის სპიკერი სვამს კითხვას: თუ რუსეთის ხელისუფლებას აქვს ეჭვი იმის თაობაზე, რომ პანკისის ხეობაში ჩეჩენი და საერთაშორისო ტერორისტები არიან თავმოყრილი, მაშინ რატომ უშლის მოსკოვი ხელს საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე ეუთო-ს მონიტორინგის განხორციელებას? ხომ არ ჰგავს ეს საფუძვლის მომზადებას იმისთვის, რომ საერთაშორისო დამკვირვებლების არყოფნის პირობებში, გაადვილდეს ოფიციალური თბილისისთვის ბრალდებების წაყენება და საქართველო რუსეთთან პირისპირ დარჩეს?

**"ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რუსეთის მიერ პანკისის ხეობაში ეუთო-ს მონიტორონგის დაბლოკვა სწორედ ამ სურვილით არის განპირობებული,"** - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

მისივე მტკიცებით, პანკისის ხეობის საკითხის ხელახალი წამოტივტივება სულაც არ არის ერთიანი კონტექსტიდან ამოვარდნილი პრობლემა. ეს კონტექსტი კი, სპიკერის თქმით, ასეთია: რუსეთის ხელისუფლება, ერთი მხრივ, აკეთებს განცხადებებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების შესახებ, მეორე მხრივ კი, არც თუ ისე ფარულად, ეხმარება და ხელს უწყობს სეპარატისტულ რეჟიმებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.

**"ის, რაც აფხაზეთში წინასაარჩევნო პერიოდში ხდებოდა, შეიძლება შეფასდეს, როგორც საქართველოს საშინაო საქმეებში რუსეთის უხეში ჩარევა,"** - მიიჩნევს ბურჯანაძე, რომელსაც ასეთი განცხადების გაკეთების დროს, მხედველობაში აქვს ის ფაქტი, რომ **"რუსეთის სათათბიროს ვიცე-სპიკერი და გენერალური პროკურორის მოადგილე, ყოველგვარი ვიზების გარეშე იმყოფებოდნენ აფხაზეთში, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე".**

პარლამენტის თავმჯდომარეს "აინტერესებს", როგორი რეაქცია ექნებოდა პრეზიდენტ პუტინს და რუსეთის პოლიტიკურ ელიტას, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი და გენერალური პროკურორის მოადგილე ჩეჩნეთში სათანადო ნებართვისა და დოკუმენტაციის გარეშე რომ ჩასულიყვნენ...

ამასთან დაკავშირებით, ნინო ბურჯანაძე იხსენებს ბესლანის ტრაგედიის დროს რუსეთის ტერიტორიაზე "რუსთავი-2"-ის ჟურნალისტების დაკავების ფაქტს, როდესაც, რუსული მხარის მტკიცებით, ნანა ლეჟავასა და ლევან თეთვაძეს დოკუმენტებში შეუსაბამობა აღმოაჩნდათ.

**"ბაბურინისა და კოლესნიკოვის მიმართაც იგივე ზომები უნდა იყოს მიღებული, როგორიც, თავის დროზე, ქართველი ჟურნალისტების მიმართ, მაგრამ რუსეთი სარგებლობს იმით, რომ აფხაზეთში საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება და ამიტომ, თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში,"** - აღნიშნავს ბურჯანაძე.

მას ასევე "საინტერესოდ" ეჩვენება რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებები იმის შესახებ, რომ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნის საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს განხილული, თუ აფხაზეთში სახელმწიფო ენად რუსული ენაც იქნება აღიარებული.

ამ შემთხვევაში, ბურჯანაძეს, რუსების თავხედობაზე მეტად, აფხაზების გულუბრყვილობაზე წყდება გული.

**"ნუთუ, ჩვენმა საუკუნოვანმა ძმებმა, აფხაზებმა მას შემდეგაც ვერ ისწავლეს ჭკუა, რაც თავის მიერ პრეზიდენტად არჩეულ პირს რუსებმა თითი დაუქნიეს და უთხრეს, რომ მათ (აფხაზებს) არავინ ეკითხება, ვინ იქნება აფხაზეთის პრეზიდენტი,"** - გაოცებით შენიშნავს საქართველოს პარლამენტის ლიდერი.

გუშინდელ ბრიფინგზე ნინო ბურჯანაძე რუსეთის თავდაცვის მინისტრს სერგეი ივანოვსაც "მისწვდა", რომელიც საქართველოზე პრევენციულ დარტყმებზე ოცნებობს და ამასთან, ძალიან აშფოთებს, რომ ამერიკელების მიერ მომზადებული ქართველი ჯარისკაცები, შესაძლოა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში იქნან გამოყენებული.

**"ჩვენ კი გვაშფოთებს რუსეთის სამხედრო ძალების საქართველოში ყოფნა და მოვითხოვთ ეუთო-ს სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილებების შესრულებას, საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე,"** - აცხადებს ბურჯანაძე. იგი სერგეი ივანოვს ურჩევს, კალენდარს დახედოს: **"ახლა 2005 წელია და არა 1968 წელი, როდესაც შესაძლებელი იყო ჩეხოსლოვაკიაში ტანკების გადასხმა და ევროპული სახელმწიფოს დატერორება."**

სპიკერი მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც აღიაროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ორმაგი სტანდარტებით მოქმედებას თავი დაანებოს.

**"წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთი ვერასდროს გადაჭრის ჩეჩნეთის პრობლემას და ვერ გახდება დემოკრატიული სახელმწიფო,"** - დასძენს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

## ენერგოდივერსანტი ისევ ისვრის

პირველი გვერდიდან

"უცნობი დივერსანტების" ვინაობა სრულიად ნაცნობი აღმოჩნდა ხაზის ოპერატორი კომპანიის "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის შოთა მაისურაძისთვის, რომელსაც, მისივე თქმით, ხაზის აფეთქების მუქარის ქვეშ მუშაობა, უკვე რამდენიმე წელია, უწევს. როგორც გაირკვა, "საქრუსენერგოს", ხაზის კოდორის ხეობაში გამავალი მონაკვეთის დაცვის მიზნით, ხელშეკრულება ადგილობრივ "მონადირესთან" ჰქონდა გაფორმებული. "მონადირე", რომელსაც მავანნი ემზარ კვიციანის სახელსაც უკავშირებენ, "საქრუსენერგოს", 15 ათასი ლარის დროულად გადაუხდელობის გამო, ჯერ კიდევ გასული წლის მიწურულს გაუნაწყენდა. როგორც "საქრუსენერგოში" ამბობენ, სწორედ ამ დროიდან განახლდა ორიოდე წლით შეწყვეტილი ანონიმური წერილების კორიანტელიც. **"ხაზის აღდგენა არ გაბედოთ, თორემ..."**

"კავკასიონის" რთული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ხაზზე დაზიანების ადგილის გამოვლენისა და აღდგენისათვის ხელისუფლებას საგანგებო ვერტმფრენების, ძვირადღირებული ტექნიკისა და განსაკუთრებით გამბედავი საკადრო რესურსების მობილიზება დასჭირდა.

საქართველოს ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა მომხდარი ცინიზმად, შანტაჟად და საბოტაჟად შეაფასეს. **"ნურავის შეეშლება დღევანდელი ხელისუფლება წინა ხელისუფლებაში,"** – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, – **დღევანდელი ხელისუფლება არ დაუშვებს, რომ საქართველოს ნებისმიერი კუთხის ელექტროენერგიით მომარაგება ვინმეს სურვილზე იყოს დამოკიდებული. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც თავის თავს უფლებას მისცემს, დააშანტაჟოს ხელისუფლება და მოსახლეობა, ძალიან მკაცრ პასუხს მიიღებს."**

**"ხელისუფლება არ დაუშვებს, რამდენიმე ადამიანმა აშანტაჟოს მთელი ქვეყნის 5-მილიონიანი მოსახლეობა,** – ვერ მალავდა აღშფოთებას ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, – **იმის გამო, რომ ვიღაცას თავში 500 კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის დაზიანება მოუვიდა აზრად, ახლა აქ ადამიანებს რამდენიმე დღის განმავლობაში მის აღსადგენად საშინელ პირობებში მოუწევთ მუშაობა."**

პარალელურად, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება დივერსანტების გამოსავლენად კოდორის ხეობაში სპეცოპერაციის ჩატარებას გეგმავდა. ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებამ ამ ოპერაციის ჩატარება გადაიფიქრა, მხოლოდ გუშინ საღამოსთვის გახდა ცნობილი. მაგრამ მუქარის ცინიკური წერილები, რომელთა საშუალებითაც ანონიმი დივერსანტები ენერგეტიკოსებს "ფულის ჩატანას" "კავკასიონის" ერთ-ერთ ანძასთან ცხენზე ამხედრებულებს სთხოვენ, სამართალდამცველებს მშვიდი ძილის საშუალებას მაინც არ უტოვებს. მით უმეტეს, რომ დღეისათვის საქართველოს ელექტრომომარაგების მნიშვნელოვანი წილი სწორედ რუსეთიდან იმპორტზე და, შესაბამისად, "კავკასიონის" გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული.

### მოკლედ

**თბილისი.** უკრაინის ახლად არჩეული პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს ინაუგურაციის ცერემონიალს საქართველოს სამთავრობო დელეგაცია დაესწრება.

დელეგაციას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე უხელმძღვანელებს, ხოლო შემადგენლობაში შედიან: პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე, საპარლამენტო ფრაქცია "მაჟორიტარების" თავმჯდომარე ბესო ჯუღელი, პარლამენტარები დავით კირკიტაძე, ბადრი ნანიტაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მაზალა ანთაძე და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თელავი.** პანკისში დისლოცირებულმა შინაგანი ჯარების ნაწილებმა ხეობა დატოვეს. გაუქმებულია ყველა ბლოკ-საგუშაგო და ყაზარმა, 300-მდე ჯარისკაცმა, რომლებმაც ექვს თვეზე მეტი იმსახურეს, სამხედრო ბილეთი მიიღო და სახლში დაბრუნდა.

შინაგანი ჯარების კუთვნილი ყაზარმების მატერიალურ ქონებას რამდენიმე ოფიცერი იცავს. მათ რამდენიმე დღის საკმარისი სურსათი აქვთ და ხეობას უახლოეს დღეებში დატოვებენ.

შინაგანი ჯარების ნაწილების გასვლას როგორც პანკისში მცხოვრები ადგილობრივი, ასევე ჩეჩენი ლტოლვილების მხრიდან აზრთა სხვაობა მოჰყვა. ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ხეობიდან ჯარის გასვლა კრიმინოგენულ ვითარებას გაართულებს. პანკისის ხეობაში წესრიგის დაცვაზე საპატრულო პოლიციელები და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის წევრები იზრუნებენ. მათი ერთი ნაწილი სოფელ დუისის საკრებულოს შენობის სამ ოთახშია განთავსებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი მიიღო.

რუსი დიპლომატის განცხადებით, დღევანდელ შეხვედრაზე ქართულ-ოსური ურთიერთობების მოწესრიგების პერსპექტივებზე და იმ პრობლემებზე იმსჯელეს, რაც საქართველოსა და რუსეთს შორის დაგროვდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის ოპოზიციური ნაწილი - "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლები" მხარს დაუჭერს პარლამენტართა რიცხვის 150-მდე შემცირებას, თუმცა საგანგაშოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტში პარლამენტის უფლებამოსილების ვადა განსაზღვრული არ არის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ლეიბორისტული პარტია ქვეყნის პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ხელისუფლების უზურპაციაში ადანაშაულებს და სასამართლოსთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგ გამოდის.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, პარლამენტში განსახილველად შესული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებლობას კარგავს და "პრეზიდენტის ჯიბის ორგანო" ხდება. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# აუცილებელია სახელმწიფო პროგრამა

ბურამ მაღლაკელიძე

აფხაზეთის საკითხის მოგვარება ურთულეს პრობლემას წარმოადგენს და კიდევ დიდხანს იქნება საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მიუხედავად ჩემი დამოკიდებულებისა "საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფციასა" და პრეზიდენტისადმი მიმართვის ტექსტში ჩამოყალიბებული ოთხი წინაპირობისადმი, მიმაჩნია, რომ მათ, რასაკვირველია, დადებითი როლი ითამაშეს თუნდაც იმიტომ, რომ ჭეშმარიტების ძიების პროცესში უარყოფითი შედეგიც გარკვეულწილად შედეგია და უნდა დაგვეხმაროს ერთადერთი სწორი არჩევანის გაკეთებაში. სწორედ ამიტომ ვწერდი 2004 წლის ივლისში: მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად გამოთქმული შენიშვნებისა, ნაშრომში ჩამოყალიბებულია საკმაოდ მნიშვნელოვანი და ყურადსაღები დებულებები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ("24 საათი", 2004 წლის 12 ივლისი, "ერთად ვეძებოთ გამოსავალი"). ხოლო მას შემდეგ, რაც 10 იანვარს, "24 საათის" რედაქციას ჩემი სტატია "რას აირჩევს პრეზიდენტი – "პოლიტიკურ ფანტაზიებს" თუ რეალურ პოლიტიკას?" - მივუტანე, ჩავთვალე, რომ ჩემი მოკრძალებული შესაძლებლობის ფარგლებში, პირადი მისია ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ამოწურული მქონდა, რადგან, როგორც გაცხადებული იყო, საქართველოს პრეზიდენტს გადაწყვეტილება იანვრის შუა რიცხვებში უნდა მიეღო, მაგრამ ვინაიდან კამათი გრძელდება, მინდა დამატებით რამდენიმე მოსაზრება გაგიზიაროთ.

ის, რომ ქართველები კვალიფიკაციის, ზოგადი განათლების, ერუდიციისა თუ გამოცდილების მიუხედავად, "ფართო პროფილის სპეციალისტები" ვართ, საყოველთაოდ ცნობილია. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ხშირად ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ არა მარტო ტელესერიალებით გათანგული საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, არამედ პოლემიკაში მონაწილე ზოგიერთ "ფართო პროფილის ექსპერტებსაც", არათუ გააზრებული, წაკითხულიც კი არა აქვს კონცეფცია. მკითხველს მინდა შევახსენო, რატომ ვედავებოდი ავტორებს და შესაძლებლობის ფარგლებში ვაჩვენო, რა ევოლუცია განიცადა მათმა პოზიციამ კონცეფციის გამოქვეყნებიდან 6-7 თვის შემდეგ.

აფხაზეთი რომ დღესაც დეიურე საქართველოს შემადგენელი ნაწილია და მსოფლიო თანამეგობრობა მას საქართველოს ფარგლებში მოიაზრებს, საქართველოს გარეშე მტრებთან მრავალსაუკუნოვანი ბრძოლისა და მისი ყველა კუთხის ასიათასობით შვილის დაღვრილმა სისხლმა განაპირობა. ამიტომ არავის, მათ შორის დევნილებსაც, არა აქვთ პრიორიტეტული უფლება მისი მომავალი სტატუსის განსაზღვრისა. ის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს. ერთადერთი უფლება, რომელიც დევნილებს გააჩნიათ, ეს არის მოთხოვნა იმისა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს, იქ უსაფრთხო ცხოვრების საშუალება უნდა ჰქონდეთ და აფხაზებთან ერთად აკეთონ საქვეყნო საქმე.

იმისათვის, რომ გავიხსენოთ, როგორ უზრუნველყოფს კონცეფცია დევნილთა დაბრუნებას და მათ უსაფრთხოებას აფხაზეთში, გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს ჩემი ზემოთ აღნიშნული სტატიიდან:

"როგორც ირკვევა, მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერება "შეთანხმებას კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ", დაიწყება "კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუსტი აღრიცხვა და მათი ნებაყოფლობითი დაბრუნება აფხაზეთში, საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში... დაბრუნებულ პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სიტუაციის სტაბილიზაცია", რასაც პარიტეტულ საწყისებზე შექმნილი დროებითი საკოორდინაციო საბჭო უხელმძღვანელებს და გააკონტროლებს. კეთილი და პატიოსანი; მაგრამ უშუალოდ ვის ხელში იქნება საბჭოს გადაწყვეტილებათა რეალიზაცია, სიტუაციის სტაბილიზაცია და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამის შესახებ "შეთანხმების" ავტორები დუმან. რასაკვირველია – აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურების ხელში. ვინ განახორციელებს ქართველ "კანონდამრღვევთა" გასამართლებას, რასაკვირველია აფხაზური სასამართლო (არ გაგიკვირდეთ – დოკუმენტში, რომელშიც უამრავი განმარტებითი ქვეთავია, არ ჩაითვალა საჭიროდ, გაშუქებულიყო დაბრუნებულ დევნილთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები)...

... ესმით თუ არა პატივცემულ ექსპერტებს, რომ ოჩამჩირე-გაგრის მონაკვეთზე მცხოვრები 150 ათასი ქართველის აბსოლუტური უმრავლესობა ვერ დაბრუნდება აფხაზეთში? რასაკვირველია ესმით. დაუკვირდით, რა წერია "შეთანხმების" მე-10 მუხლში: "მხარეები აღიარებენ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებას თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ნებაყოფლობით დაბრუნებაზე და უზრუნველყოფენ, რომ ამ შეთანხმების ხელმოწერიდან სამი წლის განმავლობაში ერთობლივად (უცხოელი დამკვირვებლების მონაწილეობით და ამ შეთანხმების მე-12 პუნქტით განსაზღვრული დროებითი საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობით), უძრავი ქონების რესტიტუციის გათვალისწინებით, განახორციელონ 1992-1993 წლებში შეიარაღებული კონფლიქტის დროს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა ზუსტი აღრიცხვა და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად მათი ნებაყოფლობითი დაბრუნება აფხაზეთში, მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში". გენიშნოთ – "რესტიტუციის გათვალისწინებით". კონცეფციის ავტორებმა იციან, რომ რესტიტუცია ერთადერთი რამაა, რისი იმედიც მეტ-ნაკლებად შეიძლება ჰქონდეს დევნილთა უმრავლესობას (საერთოდ, კონცეფციის ქვეთავი "უძრავი ქონების რესტიტუციის საკითხები" ცალკე საუბრის თემაა. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია უფრო დაწვრილებით ამ საკითხს ზემოთ აღნიშნულ სტატიაში გაეცნოს.)... კონცეფციის ავტორებმა ისიც შესანიშნავად იციან, რომ ახლად შექმნილ "საერთო სახელმწიფოში" დევნილები ვერ შეძლებენ (აფხაზეთში) დაბრუნებას, ამიტომ საკუთარ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების "უფრო ადვილად მოსაგვარებლად" კომისია ადგილობრივ ოფისებს საქართველოშიც გახსნის და სხვა ქვეყნებშიც. ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ, გასაგებია, რატომ მოხვდა ეს ქვეთავი სწორედ კონცეფციის მეოთხე თავში, სადაც საუბარია აფხაზი მოსახლეობისათვის ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხო განვითარების დამატებითი გარანტიების შემუშავების აუცილებლობის შესახებ, "არა მხოლოდ საყოველთაო სავალდებულო სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით".

კონცეფციის გამოქვეყნებიდან ექვს თვეზე მეტი გავიდა. იმისათვის, რომ გავერკვეთ, რა ევოლუცია განიცადა მის ავტორთა თუ მხარდამჭერთა შორის დევნილების დაბრუნებასთან დაკავშირებულმა საკითხმა, მკითხველს მინდა რამდენიმე დებულება შევთავაზო 2005 წლის 13 იანვრის "24 საათში" გამოქვეყნებული სტატიიდან "მოსაზრებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაწყვეტის თაობაზე": "ა) იმ დევნილებისთვის, ვინც აფხაზურ მოქალაქეობაზე უარს არ ამბობს, გარანტირებული უნდა იყოს საკუთარი იდენტობის განხორციელების უფლება. ეს საწყის ეტაპზე უნდა გულისხმობდეს სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების გარანტირებას, კერძოდ, აფხაზეთში ქართულად განათლების მიღების და ეროვნული სათვისტომოს შექმნის შესაძლებლობას, ამასთან, საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების უფლებას. თანდათანობით აფხაზურმა მხარემ უნდა უზრუნველყოს სამართალაღსრულება ქართულ ენაზეც და სწორედ ეს უნდა იყოს ქართული მხარის პრინციპული მოთხოვნა. ბ) მათთვის, ვისაც არ სურს აფხაზეთის მოქალაქეობის მიღება და პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტას ელოდება, ასევე უნდა იყოს შესაძლებელი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება. ბუნებრივია, რომ ასეთი ადამიანი მოვალე იქნება, დაემორჩილოს აფხაზეთში ფაქტობრივად მოქმედ კანონებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს აფხაზური კონსტიტუციისადმი ერთგულების ფიცს ან რაიმე მაგდაგვარს. ასეთი ადამიანის ლეგალური სტატუსი მოქალაქეობის არმქონე მოსახლის სტატუსს უნდა უკავშირდებოდეს. იგი ასევე უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველა ძირითადი სამოქალაქო უფლებით. განსხვავება მხოლოდ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის მიღების შეუძლებლობაა".

როგორც ვხედავთ, "პროგრესი" აშკარაა. თუ კონცეფციაში მთელ რიგ საკითხებზე შეპარვითაა საუბარი, აქ პირდაპირ გვეუბნებიან, რომ საკუთარ სახელმწიფოში, გნებავთ იმ მომავალ საერთო თუ ერთობლივ ქვეყანაში, ქართველი ადამიანის ლეგალური სტატუსი მოქალაქეობის არმქონე მოსახლის სტატუსს უნდა უკავშირდებოდეს და თანაც "ეს ყოველივე, ალბათ, გაიჟღერება და ამ თუ სხვა ფორმით, ნდობის მშენებლობაში გარკვეული პროგრესის მიღწევის შემდეგ თუ განხორციელდება". სწორედ ამიტომ ვწერდი: "იმათ შესახებ, ვინც შეძლებს აფხაზეთში დაბრუნებას. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ისინი ქართული სახელმწიფოს დასაყრდენი გახდებიან, ვფიქრობ, ძალიან ცდება. რაც არ უნდა მწარე მოსასმენი იყოს, მაინც გეტყვით: ხუთ-ათ წელიწადში ამ ხალხის მესამედი აფხაზებად ჩაეწერება. თუ ჩემი არ გჯერათ, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მაინც დაუჯერეთ: "ცნობილია: საკმარისია რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს განსაკუთრებული უპირატესობა მიანიჭო, რომ ამ ჯგუფის წევრთა რიცხვი მაშინვე იწყებს მატებას" ("საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წლის 17 აპრილი). აფხაზური მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი აფხაზებად გასული საუკუნის 50-70-იან წლებში ჩაეწერა. მათ შორის - ქვაჭაძეებიც, წერეთლებიც და ჩიქოვანებიც". დავუმატოთ – ეს ხალხი გაცილებით უფრო რადიკალური იქნება ყოველივე ქართულის მიმართ, ვიდრე აფხაზები ან 50-70-იან წლებში გააფხაზებული ქართველები.

ახლა მთავარი პრობლემის შესახებ: ზემოთ აღნიშნულ სტატიაში შევეცადე მეჩვენებინა, რომ "შეთანხმება კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ", ფედერალური შეთანხმება "აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ" და მათი რეალიზაციის გეგმა არ იძლეოდა იმის მტკიცე გარანტიას, რომ აფხაზეთი საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში დაბრუნდებოდა და მისი შემადგენელი ნაწილი იქნებოდა, ხოლო ამ გეგმის ჩავარდნას შეიძლება სამართლებრივად საბოლოოდ მოეწყვიტა აფხაზეთი საქართველოდან. ამავე დროს, ფედერალურ ხელშეკრულებაში ჩატარებული ნორმები ვერ გახდებოდა აფხაზეთის ერთიან ქართულ კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში ჩართვის საფუძველი.

მივყვეთ ტექსტს: "მე-3 მუხლში "აფხაზეთის სახელმწიფოებრივ ერთეულთან" გვაქვს საქმე. გასაგები მიზეზების გამო ავტორებმა არ იზრუნეს ამ ტერმინის განმარტებაზე, რადგან ესეც დაახლოებით ისეთი პროდუქტია, რომელსაც მეხუთე თავის მეორე პარაგრაფში გვთავაზობენ: "რეგიონალიზმისა და ფედერალიზმის პრინციპების შერწყმის საფუძველზე მივიღებთ საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის სპეციფიკურ მოდელს". ახლა დავუკვირდეთ ფედერალური შეთანხმების "აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ" პრეამბულას: "სარგებლობენ რა სუვერენული უფლებით, დააფუძნონ საერთო სახელმწიფო". ეგებ კონცეფციის ავტორებმა რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხონ და დაარწმუნონ საზოგადოება, რომ აქ არავითარი საშიშროება ერთიანი ქართული სახელმწიფოსათვის არ არსებობს: 1. თუ რეფერენდუმმა კონსტიტუციურ შეთანხმებას მხარი არ დაუჭირა, რას ვაკეთებთ? ექნება თუ არა აფხაზეთს უფლება, ისარგებლოს "სუვერენული უფლებით" და "დააფუძნოს საერთო სახელმწიფო" რუსეთთან ან ეთიოპიასთან? 2. როდესაც საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ მოწყობაზე საუბრობთ, თქვენ აღნიშნავთ, რომ "დეცენტრალიზაციის პირველ ეტაპზე მიზანშეწონილი იქნება საქართველოს რეგიონებისათვის ადმინისტრაციული ერთეულების სტატუსის მინიჭება". საინტერესოა, უნდა გაითვალისწინოს თუ არა კანონმდებლობამ იმის შესაძლებლობა (რასაკვირველია, ყარაბახის ომის დასრულების შემდეგ), რომ რეფერენდუმის ჩატარება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებშიც იყოს შესაძლებელი? ... დაბოლოს, როგორ გგონიათ, დევნილები, რომელთა უმრავლესობა თქვენი კონცეფციის თანახმად აფხაზეთში ვერ დაბრუნდება, რეფერენდუმზე რას მისცემენ ხმას? ამასთანავე, ვინაიდან გათვალისწინებულია, რომ ამ შეთანხმებას ხელი უნდა მოაწერონ – "აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილე მხარეები – საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება და აფხაზეთის ხელისუფლება (შემდგომში – მხარეები)", ხომ არ გახდება ეს დოკუმენტი კიდევ ერთი ნაბიჯი აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების დეიურედ აღიარებისა, ყველა გამომდინარე შედეგით".

როგორ ტყუილად ვამტვრევდი, თურმე, ღია კარს. იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რამდენად "წავინიეთ წინ" ამ მიმართულებითაც ნახევარი წლის განმავლობაში, ისევ ბატონი დავით დარჩიაშვილის ზემოთ აღნიშნულ სტატიას დავესესხები: "... იმისათვის, რომ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში მტრის ხატი გავაქარწყლოთ და აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობის ალტერნატივა შესაძლებელი გავხადოთ, აფხაზთა თვითგამორკვევის ნებისმიერი მოთხოვნის ლოგიკურობა, აფხაზური ნაციონალური იდეის ლეგიტიმურობა უნდა ვაღიაროთ".

დამერწმუნეთ, ნახევარი წლის შემდეგ საუბარი საქართველოს კონფედერაციულ მოწყობაზე გვექნება. რატომ ცდილობენ კონცეფციის ავტორები პრობლემის თუნდაც ფორმალურ მოგვარებას ნებისმიერი დათმობების ხარჯზე? საქმე ისაა, რომ მათი სტრატეგიული ხაზი (რაც არც აფხაზეთისთვისაა უცნობი და არც რუსეთისთვის) შემდგომში მდგომარეობს: აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემების თუნდაც ამ გზით მოგვარება საშუალებას მოგვცემს, უკვე 2007-2009 წლებში დავიწყოთ მოლაპარაკება ნატო-ში გაწევრიანების შესახებ, ხოლო ევროსტრუქტურებში გაწევრიანება თავისთავად მოხსნის მრავალ პრობლემას, ამასთანავე, როდესაც აფხაზები და ოსები საერთოევროპულ ოჯახში აღმოჩნდებიან, რუსეთისაკენ აღარ გაიხედავენ. გეგმა, რასაკვირველია, ეფექტურად გამოიყურება, მაგრამ მასში რომანტიზმი მეტია, ვიდრე რეალობა, რადგან არა მარტო გეოპოლიტიკური ფაქტორია უგულებელყოფილი, არამედ გათვალისწინებული და შემუშავებული არ არის რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯების გამანეიტრალებელი საპასუხო დამცავი მექანიზმები.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ სრულყოფილი კონცეფციის შემუშავებას ვერავინ შეძლებს, თუ ის არ იქნება "კონფლიქტების დარეგულირების და საქართველოს ევროსტრუქტურებში გაწევრიანების სახელმწიფო პროგრამის" ორგანული შემადგენელი ნაწილი. ასეთი პროგრამის შემუშავებისათვის კი წინა ხელისუფლებას არ ეცალა, ხოლო დღევანდელმა, როგორც ეტყობა, ჯერ ვერ მოასწრო.

აუცილებლად მიმაჩნია, "კონფლიქტების დარეგულირების და საქართველოს ევროსტრუქტურებში გაწევრიანების სახელმწიფო პროგრამის" შესამუშავებლად, პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნას ხუთი სამუშაო ჯგუფი:

1. კონფლიქტების დარეგულირების ეკონომიკური და ფინანსური უზრუნველყოფის ჯგუფი – საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით;

2. კონფლიქტების დარეგულირების საერთაშორისო და ინფორმაციული უზრუნველყოფის ჯგუფი – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელობით;

3. საგარეო აგრესიისა და ტერორიზმის აღკვეთის უზრუნველყოფის ჯგუფი – უშიშროების საბჭოს მდივნის ხელმძღვანელობით;

4. საქართველოს სახელმწიფოში ცხინვალის რეგიონის სტატუსის კონცეფციის შემმუშავებელი ჯგუფი – კონფლიქტების დარგში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით;

5. საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის კონცეფციის შემმუშავებელი ჯგუფი – აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით (ეროვნული თანხმობის მისაღწევად, აუცილებელია, ჯგუფი დაკომპლექტდეს პარიტეტულ საწყისებზე, როგორც არსებული კონცეფციის ავტორებისგან, ასევე კონცეფციის მოწინააღმდეგეებისგან).

რასაკვირველია, ამ ჯგუფების მუშაობის პროცესი კონფიდენციალური უნდა იყოს და არ დაემსგავსოს საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 22 ივლისის №637 განკარგულებით შექმნილი სახელმწიფო კომისიის საქმიანობას (უფრო დაწვრილებით იხილეთ "24 საათი", 2004 წლის 20 დეკემბერი, "პრეზიდენტის განკარგულება დროულად უნდა სრულდებოდეს"). ვფიქრობ, შესაბამისი პოლიტიკური ნიჭისა და ინტენსიური მუშაობის შემთხვევაში ასეთი პროგრამის შემუშავება 3-4 თვეში შეიძლება.




მოკლედ

## აფხაზები მოლაპარაკებების განახლებას აპირებენ

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება მზადყოფნას გამოთქვამს, თბილისთან მოლაპარაკებების პროცესი განაახლოს, რომელიც შარშან ივლისში შეწყდა. ამის მიზეზი კი ქართველი მესაზღვრეების მიერ აფხაზეთის (საქართველოს) ტერიტორიულ წყლებში თურქული გემის უკანონოდ შემოსვლის გამო მისთვის ცეცხლის გახსნა გახდა.

“მზად ვართ, მარტში ჟენევაში მონაწილეობა მივიღოთ შეხვედრაში, რომელიც გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ეგიდით გაიმართება," - აცხადებს აფხაზთა საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. მისივე თქმით, აფხაზური მხარის პოზიციის შესახებ უკვე ინფორმირებულია გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჰაიდი ტალიავინი.

*მედია-ნიუსი*

## თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვის ახალი ბრძანებულება

საქართველოს პრეზიდენტმა, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, ახალი ბრძანებულება გამოსცა.

პრეზიდენტის ბრძანებულებით, სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც შეიარაღებული ძალებიდან ავადმყოფობის გამო ან ნამსახურები წლების მიხედვით არიან დათხოვნილი, ერთჯერად დახმარებას მიიღებენ ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით: 2 წლამდე სამსახურის შემთხვევაში - ფულადი სარგო სამმაგი ოდენობით, 2-დან 10 წლამდე - ხუთმაგი ოდენობით. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები კი, რომლებმაც 10 წლამდე იმსახურეს, ერთჯერად დახმარებას ექვსმაგი ოდენობით მიიღებენ.

პრეზიდენტის ბრძანებულებით, სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეები, რომლებმაც თავდაცვის სამინისტროში 10-დან 15 წლამდე იმსახურეს, ერთჯერად დახმარებას რვამაგი ოდენობით, 15-დან 20 წლამდე - ათმაგი, ხოლო 20 და მეტი წლის სამსახურის შემთხვევაში, თორმეტმაგი ოდენობით მიიღებენ.

ერთჯერად დახმარებას მიიღებენ ასევე ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნილი არიან ზღვრული ასაკის მიღწევის გამო, რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული დახმარება არ შეეხებათ სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, კურსანტებსა და რეზერვიდან ჩარიცხულ მსმენელებს, ასევე შეიარაღებული ძალების რიგებიდან კონტრაქტის ამოწურვასთან დაკავშირებით დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებს, გარდა ოფიცერთა შემადგენლობისა.

*ინტერ-პრესი*

# "საპრივატიზაციო მარათონი" დროში იწელება

*"საპრივატიზაციო მარათონი" კიდევ ერთხელ გაიწელა. "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" მფლობელის გამოსავლენად მთავრობამ კიდევ ორდღიანი ვადა დაიმატა. ეს გადაწყვეტილება გუშინ საღამოს საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა გაახმოვანა.*

ნიკა მარიამიძე

ჯერ კიდევ გუშინ დილით, "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" გაერთიანებული ლოტის შესაძენად ერთმანეთს ავსტრიული "დეკომეტალი", რუსული "ევრაზის ჰოლდინგი" და უკრაინული "ინტერპაიპი" ედავებოდნენ. თუმცა, სატენდერო ვადის ამოწურვამდე დათვლილი საათებით ადრე, "ჭიათურმანგანუმ"-"ვარციხეჰესის" კომპლექსით დაინტერესებულმა რუსულმა კომპანიებმა ფასების აწევაში მარათონი გამოაცხადეს. დილით 100 მილიონი აშშ დოლარით განსაზღვრული საწყისი ფასი "ევრაზია ჰოლდინგმა" გაზარდა. ამის შესახებ "ევრაზია ჰოლდინგის" ხელმძღვანელის, ალექსანდრ აზრამოვის თბილისში ვიზიტის შემდეგ გახდა ცნობილი.

აქვე, მთავრობამ განაცხადა, რომ ავსტრიული "დეკომეტალი", რომელიც "ჭიათურმანგანუმის" აქციებით საკუთარი დაინტერესების თაობაზე ჯერ კიდევ გასული წლიდან, "ფეროს" შესყიდვის შემდეგ აცხადებდა, მარათონს გამოეთიშა, რადგან მის მიერ შემოთავაზებულმა საგარანტიო წერილმა წაყენებული პირობები ვერ დააკმაყოფილა.

თუმცა, საღამოსთვის ძალთა თანაფარდობა კიდევ ერთხელ შეიცვალა. საღამოს ხუთი საათისთვის "დეკომეტალმა" საკუთარი წინადადება 120 მილიონ დოლარამდე გაზარდა.

შედეგად, თუ თავიდან აუტსაიდერად "დეკომეტალს" მიიჩნევდნენ, ხოლო სატენდერო კონკურსში უკრაინული კომპანია "ინტერპაიპი" ლიდერობდა (ის საპრივატიზაციო კომპლექსში საქართველოს ხელისუფლებას 117 მილიონ აშშ დოლარს სთავაზობდა), ალექსანდრ აზრამოვისა და "დეკომეტალის" ახალი წინადადებების შემდეგ, გამორიცხული არ არის, ის აუტსაიდერთა რიცხვში აღმოჩნდეს.

ძალთა გადაჯგუფება მოულოდნელი აღმოჩნდა "ინტერპაიპის" წარმომადგენლებისათვის, რომლებმაც გუშინ საღამოს ეკონომიკის სამინისტრო სასწრაფოდ დატოვა,

ახლა ექსპერტები "ჭიათურმანგანუმის" შესასყიდად არც ტენდერში მონაწილე კონკურენტი კომპანიების - რუსული "ევრაზია ჰოლდინგისა" და ავსტრიული "დეკომეტალის" გაერთიანებას გამორიცხავენ.

# ჯეიჰანში ნავთობის პირველი პარტია 2005 წლის ბოლოს გადაიტვირთება

## ბაქო-ჯეიჰანის გაზსადენი კი საქართველოს მოთხოვნილების ნახევრის დაკმაყოფილებას შეძლებს

თამარ ხორბალაძე

*"საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან ჩვენ თანამშრომლობის კარგი პრაქტიკა გვაქვს," - დიპლომატიური იყო ჟურნალისტებთან შეხვედრაზე საქართველოში ბრიტანული ნავთობკომპანია "ბრითიშ პეტროლიუმის" (BP) ახალი გენერალური მენეჯერი რიფ დიგინგსი. იგი საქართველოში 2004 წლის ნოემბრიდან მუშაობს, თუმცა აქვს ქვეყნის ძველ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების წარმოების ექვსი წლის წინანდელი გამოცდილება. გუშინ რიფ დიგინგსმა, მენეჯერის პოსტზე დანიშვნის შემდეგ, გაწეული საქმიანობის შესახებ პირველად ჩააბარა ანგარიში ქართველ ჟურნალისტებს.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ახალი გენერალური მენეჯერი რიფ დიგინგსი საქართველოში 2004 წლის ნოემბრიდან მუშაობს, თუმცა ქვეყნის ძველ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების წარმოების ექვსი წლის წინანდელი გამოცდილება აქვს.*

**"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დიდი საექსპორტო მილსადენის მშენებლობა გრაფიკის ფარგლებში მიმდინარეობს და ჯეიჰანში ნავთობის პირველი პარტია 2005 წლის ბოლოს გადაიტვირთება. უკვე შესრულებულია საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების 80-პროცენტი. საქაჩი სადგურების სამშენებლო სამუშაოები კი 86 პროცენტით არის შესრულებული. რთული კლიმატური პირობების გამო, საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ნავთობსადენის მშენებლობა შეჩერებულია, თუმცა, ეს წინასწარ გვქონდა გათვლილი,"** - განაცხადა გუშინ რიფ დიგინგსმა.

მისი თქმით, ნავთობსადენის მშენებლობის ბიუჯეტი არ შეცვლილა - ხარჯების მოცულობა 3 მილიარდ დოლარს პლიუს-მინუს 10 პროცენტს შეადგენს.

სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით კი, საქართველოში ბრიტანული ნავთობკომპანია "ბრითიშ პეტროლიუმის" გენერალური მენეჯერი ამბობს, რომ: - **"სამუშაოები დადგენილი გრაფიკით მიმდინარეობს, სამუშაოთა 54 პროცენტი უკვე დასრულებულია, გაზის პირველი პარტია კი მილსადენში 2006 წლის დასაწყისისთვის გაივლის."**

მისივე თქმით, გაზსადენის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ საქართველო წელიწადში უფასოდ 500 მილიონ კუბურ მეტრ გაზს, ანუ ამ დროისთვის საჭირო ბუნებრივი აირის თითქმის ნახევარს მიიღებს, რაც მილსადენის გატარების სანაცვლოდ მოხდება. ნაწილის შეძენა კი შეღავათიან ფასში იქნება შესაძლებელი. **"ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სამხრეთ კავკასიის გაზსადენი საქართველოს სარგებლობას მოუტანს. ამასთან, საქართველოს მთავრობას შეუძლია, ბუნებრივი აირი სხვა წყაროებიდანც მიიღოს. არჩევანის გაკეთება უკვე ხელისუფლების პრეროგატივაა,"** - დასძინა რიფ დიგინგსმა.

რაც შეეხება კითხვებს, რომლებიც ნავთობსადენის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ჩნდება: **"უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით, ნავთობსადენის ექსპლუატაციის დაწყებისთანავე შეიქმნება ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ბრიგადები, რაც მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია. ამასთან, საქართველოში თავმოყრილი იქნება საუკეთესო ტექნიკა, რომლითაც უსაფრთხოების ზომების დაცვა იქნება შესაძლებელი. „ბრიტიშ პეტროლიუმი" იმდენად დიდ თანხებს ხარჯავს აზერბაიჯანის ნავთობის მოპოვებაზე, რომ მისი უსაფრთხო ტრანსპორტირება არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია,"** - ამბობს იგი.

საქართველოს ხელისუფლებასთან "დამთბარი" ურთიერთობების თვალსაზრისით, უდავოდ საინტერესოა ის საგრანტო პროგრამა, რომელსაც ხელი გასული წლის შემოდგომაზე მოეწერა და რომლის ფარგლებშიც 9 მილიონი აშშ დოლარი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე უკვე ჩაირიცხა:

საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, საგრანტო პროგრამების ფარგლებში, კომპანია "ბრიტიშ პეტროლიუმმა" (ბი-პი) უკვე ჩარიცხა 9 მილიონი დოლარი.

**"ეს თანხა სტუდენტებისთვის ვაუჩერების სისტემის დანერგვას, სიღატაკის ზღვარზე მყოფი მოქალაქეების ხელფასებისა და რეგიონებში მცხოვრებ პენსიონერთა პენსიების გაზრდას უნდა მოხმარდეს,"** - განაცხადა რიფ დიგინგსმა.

მისი თქმით, საგრანტო პროგრამების მოცულობა, მას შემდეგ, რაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი ამოქმედდება, 11 მილიონ დოლარამდე გაიზრდება, 2006 წლიდან ხუთი წლის განმავლობაში კი, ყოველწლიურად გრანტების სახით, 4 მილიონი დოლარი დაიხარჯება.

ამასთანავე, კომპანია BP 10 მილიონ დოლარს სოციალური პროექტების განხორციელებისთვის გამოყოფს. **"საქართველოს ფინანსთა მინისტრთან და პრემიერ-მინისტრთან ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ერთობლივი პროექტების თაობაზე. სავარაუდოდ, პრიორიტეტი ჯანდაცვისა და განათლების სექტორებს მიენიჭება,"** - აღნიშნა დიგინგსმა.

თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლებას BP-ს მიერ გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშის მომზადების ვალდებულება ეკისრება. **"2005 წლის მეორე კვარტლის ბოლოს უკვე გვექნება მთავრობის მიერ მომზადებული ანგარიში, რომელიც საჯარო იქნება და მედიის საშუალებებში გამოქვეყნდება,"** - აღნიშნა დიგინგსმა.

უახლოესი 6 წლის განმავლობაში კომპანია ბრიტანული ნავთობკომპანია "ბრითიშ პეტროლიუმი" (BP) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს გრანტის სახით 31 მილიონ დოლარს გამოუყოფს.

# საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს ბანკს რუსული კაპიტალი დაეპატრონა

*საქართველოს საბანკო სექტორში რუსული კაპიტალი შემოდის. გუშინ დასრულდა მოლაპარაკება "გაერთიანებულ ქართულ ბანკსა" და რუსულ "ვნეშტორგბანკს" შორის. რუსული საბანკო გიგანტი, რომელსაც სახელმწიფო აკონტროლებს, "გაერთიანებული ქართული ბანკის" აქციათა 51 პროცენტის მფლობელი გახდა. გარიგება საბოლოოდ "ვნეშტორგბანკის" მიერ გქბ-ს აქციების თბილისის საფონდო ბირჟაზე, საბროკერო კომპანიის მეშვეობით შეძენისთანავე დასრულდება, რასაც, სავარაუდოდ, ერთი თვე დასჭირდება. გარიგების თანხა, ჯერჯერობით, არ კონკრეტდება. ბანკის დანარჩენ აქციებს "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი" (17 პროცენტი) და სხვა ქართული კომპანიები ფლობენ.*

ნიკა მარიამიძე

"ვნეშტორგბანკის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე ანდრეი კოსტინი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ სახელმწიფო კანცელარიაში გუშინ დილიდანვე მიიღეს და ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებსა და საფინანსო სფეროში ურთიერთობათა განვითარებაზე იმსჯელეს. შეხვედრის შემდეგ, პრემიერმა და "ვნეშტორგბანკის" წარმომადგენლებმა "გაერთიანებული ქართული ბანკის" სათავო ოფისში" გადაინაცვლეს, სადაც ბანკების გაერთიანებასთან დაკავშირებული პრეზენტაცია გაიმართა.

"გაერთიანებული ქართული ბანკის" ახალი სათავო ოფისის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე "ვნეშტორგ ბანკის" პრეზიდენტი ანდრეი კოსტინი შემდგარი გარიგების გამო კმაყოფილებას არ მალავდა და აცხადებდა, რომ რუსულ ბანკს საქართველოში შორს მიმავალი გეგმები აქვს. კერძოდ, ბანკი სხვადასხვა ტურისტული, სოციალური და ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტების ინვესტირებას აპირებს. **"საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, ლიბერალური საგადასახადო კოდექსი და სამართლებრივი რეჟიმი წარმატებული ბიზნეს-საქმიანობის საფუძველს ქმნის. ამიტომ, ჩვენ საქართველოს ბიზნეს-სექტორით დავინტერესდით. გვსურს "გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" საქართველოს საბანკო სექტორში ლიდერის პოზიციები შეინარჩუნოს და გაძლიერდეს. ამიტომ ბანკის კაპიტალიზაციას გავაგრძელებთ,"** – განაცხადა მან.

"ვნეშტორგბანკის" საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა: **"რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბანკის შემოსვლა ერთ-ერთ მსხვილ ქართულ ბანკში ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა და ეს ხელს შეუწყობს საქართველო-რუსეთს შორის ბიზნეს ურთიერთობების განვითარებას. რუსული ბანკის შემოსვლას არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ქართველ და რუს ბანკირებს შორის გაფორმებული შეთანხმება ქართულ-რუსულ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ხიდი უნდა გახდეს."**

პრემიერ-მინისტრი იმედოვნებს, რომ "ვნეშტორგბანკის" საქართველოსთან დაკავშირებული გეგმების განხორციელების შემთხვევაში, საქართველოში ასობით მუშახელი დასაქმდება და მილიონობით ლარის ღირებულების ახალი პროდუქცია შეიქმნება.

# მალე "ელმავალმშენებელს" ახალი პატრონი ეყოლება

*სს. "ელმავალმშენებლის" ახალი მფლობელის ვინაობა დაახლოებით ერთ კვირაში გახდება ცნობილი. ამჟამად საწარმოს დასაკუთრებაზე პრეტენზიას ორი რუსული და ერთი რუსულ-ქართული კომპანია აცხადებს. თითოეული მათგანი მზად არის, "ელმავალმშენებლის" საკონტროლო პაკეტში, სულ მცირე, 3 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადოს.*

ეთერ მამულაშვილი

სს. "ელმავალმშენებელზე" კონკურსი ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გასული წლის 9 დეკემბერს გამოაცხადა. გუშინ საწარმოს შესყიდვით დაინტერესებული უცხოელი ინვესტორების სატენდერო წინადადებების პაკეტი გაიხსნა, რომლის განხილვასაც სამინისტრო უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში დაასრულებს.

ამჯერად, სახელმწიფო საწარმოს 51 პროცენტს ყიდის, რომლის საწყისი ფასი სამი მილიონი ამერიკული დოლარია. რაც შეეხება სს. "ელმავალმშენებლის" აქციების დანარჩენ 49 პროცენტს, მისი პრივატიზება ყოფილმა ქონების მართვის სამინისტრომ გასულ წლებში მოახდინა. თავის დროზე, საწარმოს მუშა-პერსონალზე უფასოდ აქციების მხოლოდ 0.25 პროცენტი დარიგდა. საკუთარი წილი "ელმავალმშენებელში", საწარმოს დღევანდელ გენერალურ დირექტორს, ზურაბ ცინცაძესაც გააჩნია, რომელიც კონკრეტული ციფრის დასახელებისგან თავს იკავებს, თუმცა როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, მისი ამჟამინდელი წილი საწარმოში 36 პროცენტია. მეტიც, სულ ცოტა ხნის წინათ საწარმოს გენერალური დირექტორის საკუთრებაში იყო აქციების საკონტროლო პაკეტი - 75 პროცენტი, რომლის სახელმწიფოსგან შესყიდვა ზურაბ ცინცაძემ, დაახლოებით, სამი წლის წინათ მოახერხა. თუმცა, როგორც დღეს ირკვევა, მან აქციების 39 პროცენტი გასული წლის აგვისტოში კვლავ სახელმწიფოს დაუბრუნა. ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რატომ გახდა იძულებული "ელმავალმშენებლის" გენერალური დირექტორი, ხუთი თვის წინათ ამგვარი გადაწყვეტილება მიეღო. საწარმოთა მართვის სააგენტოში განმარტავენ, რომ გადაწყვეტილება აქციების უკან დაბრუნების თაობაზე სახელმწიფოსთან მორიგების საფუძველზე მოხდა.

ზურაბ ცინცაძე კი ამბობს, რომ მას დღეს სახელმწიფოს მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნია და რომ სახელმწიფოსთვის აქციების უკან დაბრუნება მისი კეთილი ნება იყო. თუმცა, დირექტორის ამგვარი განმარტება ნაკლებად დამაჯერებელია, მით უმეტეს, თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში - ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, "დაზარალებულისთვის" უკან არც ერთი თეთრი არ დაუბრუნებია.

ასეა თუ ისე, დღეს სახელმწიფო კვლავაც "ელმავალმშენებლის" აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელია, რაც მას საწარმოს სარფიანად გაყიდვის საშუალებას აძლევს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი; უკვე რამდენიმე წელიწადია, "ელმავალმშენებლის" აქციების გარკვეული ნაწილი სახელმწიფოს გირაოს სახით აქვს ჩადებული, რომლის ნებისმიერი ფორმით გასხვისება საქართველოს კატეგორიულად აქვს აკრძალული. 1994-1995 წლებში რუსეთის ფედერაციამ ჩვენი ქვეყნისათვის მოწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურებამდე, ქართულ მხარეს საწარმოების სახით გარკვეული გარანტიები მოსთხოვა. საბოლოოდ, საქართველოს სახელმწიფომ გირაოში "ელმავალმშენებლის" 12.75 და "ჭიათურმანგანუმის" ხუთი პროცენტი ჩადო.

როგორც დღეს სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოში ამბობენ, ეს მეზობელი სახელმწიფოს მიერ შერჩეული საწარმოები იყო.

"დიამანტი", "დემა კომპიუტერ ლიმიტედი" და "რადოქსი" – ეს ის კომპანიებია, რომლებიც სს. "ელმავალმშენებელის" აქციების 51 პროცენტისთვის იბრძოლებენ. მათ შორის გამარჯვებული, სავარაუდოდ, 25 იანვრისთვის გახდება ცნობილი. კონკურსის მთავარი პირობა, ფასთან ერთად, ინვესტორების მიერ შემოთავაზებული წინადადებებია.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, რომ "ელმავალმშენებლის" ახალმა მფლობელმა საწარმოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა უახლოესი სამი წლის განმავლობაში შეინარჩუნოს და ამავე პერიოდში სახელფასო ფონდი 10 პროცენტით გაზარდოს.

ამჟამად საწარმოში დაახლოებით 1300 პერსონალია დასაქმებული, რომელთა საშუალო ხელფასი 230-240, მინიმალური 140-150 ლარია. "ელმავალმშენებლის" თვიური სახელფასო ფონდი დღეს 250 ათას ლარს ოდნავ აჭარბებს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საწარმოს წლიური წმინდა მოგება 900 ათასიდან 1 მილიონ ლარამდე მერყეობს. შარშან "ელმავალმშენებელმა" ბიუჯეტში დივიდენდის სახით 239.726 ლარი ჩარიცხა. გასულ წლამდე საწარმო სახელმწიფოს დივიდენდს არ უხდიდა, იმ უბრალო მიზეზით, რომ აქციების საკონტროლო პაკეტი კერძო მფლობელობაში იყო.

"ელმავალმშენებლის" მყიდველმა, სახელმწიფოსთან ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში 1 მილიონი აშშ დოლარი უნდა გადაიხადოს, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდა მას მომავალ 3 თვეში ევალება.

სხვათა შორის, "რადოქსი" ქართულ-რუსული კომპანიაა. ზემოთ ხსენებული საწარმოების გარდა, როგორც საწარმოს გენერალური დირექტორი ამბობს "ელმავალმშენებლით" დაინტერესებული იყო რამდენიმე სხვა რუსული და ერთიც უკრაინული ბიზნეს-ჯგუფი, რომლებმაც საბოლოოდ კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

"ელმავალმშენებლის" საწესდებო კაპიტალი 50.710.960 ლარია. საწარმო განლაგებულია 463.065 კვადრატული მეტრის ოდენობის მიწის ფართზე, განაშენიანების ფართობი კი 16.41 ჰექტარს შეადგენს, გზების სიგრძე – 6.57 კილომეტრს.

საწარმოს დებიტორული დავალიანება 1 149.907 ლარს შეადგენს, აქედან დაახლოებით 600 ათასი ლარი შპს "საქართველოს რკინიგზას" მართებს. ვალის დანარჩენი ნაწილი საწარმოს უცხოელ დამკვეთებზე მოდის. უკრაინა, სომხეთი, უზბეკეთი და რუსეთი - ეს იმ სახელმწიფოების ჩამონათვალია, საიდანაც "ელმავალმშენებელი" ბოლო რამდენიმე წელია სოლიდურ შეკვეთებს იღებს. საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის მხოლოდ 35 პროცენტის მომხმარებელი ადგილობრივი ბაზარია.

"ელმავალმშენებელს" კრედიტორული დავალიანებაც გააჩნია, ის ამ დროისთვის 391.387 ლარია. ამ რამდენიმე თვის წინ საწარმომ ერთ-ერთი კომერციული ბანკიდან, მილიონნახევარი ლარის მოცულობის სესხი აიღო, რომლის ნაწილი დეკემბრის ხელფასებზე გაიხარჯა. ნაწილით საწარმომ საბიუჯეტო დავალიანებები გაისტუმრა.

ქარხანა სპეციალიზირებულია შემდეგი პროდუქციის წარმოებაზე: მუდმივი დენის 8-ღერძიანი მაგისტრალური ელმავალი ვლ-11მ; სამრეწველო კოქსმქრობი ელმავალი ეკ-14; ელექტროშტაბელური ეშ-188მ, სხვადასხვა დასახელების ფართო მოხმარების საგნები. როგორც საწარმოს კომერციული სამმართველოს უფროსი თამაზ უგულავა ამბობს, "ელმავალმშენებელი" დსთ-ს სივრცეში ერთადერთია, რომელიც მუდმივი დენის ელმავლებს აწარმოებს.

# პრეზიდენტი ეკონომიკურ საბჭოს უხელმძღვანელებს

გუშინ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა ეკონომიკური საბჭოს შექმნის შესახებ ბრძანებულებას, რომელსაც თავად უხელმძღვანელებს. საბჭოს დებულების პროექტი პრეზიდენტს დასამტკიცებლად ერთ თვეში უნდა წარედგინოს.

ახლად შექმნილი ცხრაკაციანი ეკონომიკური საბჭოს ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თაობაზე პრეზიდენტისთვის შესაბამისი წინადადებების და რეკომენდაციების წარდგენა იქნება.

საბჭოში წარმოდგენილი არიან გამოცდილი ეკონომისტები და მეცნიერები. მათ შორის - რომან გოცირიძე, მიხეილ ჯიბუტი, ვლადიმერ პაპავა, ირაკლი კორძაიაძე, თამაზ ჩიკვაიძე, სერგო სანოძე. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილთაგან არც ერთი არ მუშაობს აღმასრულებელ ხელისუფლებაში და საბჭოს შემქმნელები ვარაუდობენ, რომ ასეთი შემადგენლობით ისინი სხვადასხვა შტოების ოპონირების ინიცირებას შეძლებენ. როგორც გუშინვე გაირკვა, საბჭო ეკონომიკის ყველა სფეროს მოიცავს - როგორც მაკროეკონომიკის, ასევე მის დარგობრივ ნაწილებს.

უახლოეს დღეებში დაინიშნება პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩეველიც, რომელიც საბჭოს კოორდინირებას გაუწევს და პრეზიდენტის მდივნის ფუნქციასაც შეასრულებს.

შეგახსენებთ, რომ ეკონომიკური საბჭო ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდშიც არსებობდა.

*24 საათი*

# ტენდერი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გამარჯვებული კომპანია 21 თებერვალს გამოვლინდება

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემისა და სპექტრში გამსხივებელი წყაროების საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმარების პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეთა რეგისტრაციის ვადა 17 იანვარს ამოიწურა.

კომისიამ ტენდერი გასული წლის 5 ნოემბერს გამოაცხადა. გამარჯვებულის გამოსავლენად სატენდერო საბჭოს მოსამზადებელი სხდომა 24 იანვარს გაიმართება. სხდომას დამკვირვებლებად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებიც დაესწრებიან. გამარჯვებული კი 21 თებერვალს გამოვლინდება.

კომისიის პრესსამსახურის ცნობით, ტენდერის მიმართ დაინტერესება ოთხმა მსხვილმა კომპანიამ გამოთქვა: "როდე და შვარც"-მა, "აეროსისტემს ინტერნეშენალ"-მა, "ATDI"-მ და "კურტ მიტტერფელნერ"-მა. როგორც კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში აცხადებენ, ტენდერის დასრულების შემდეგ, საქართველოს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან შედარებით, მონიტორინგის ყველაზე თანამედროვე სისტემა ექნება.

**24 საათი**

# 2005 წლიდან საქართველოს ბაზარზე ექვსწლიანი სახაზინო ვალდებულებები გამოვა

*2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტრო 20 მილიონი ლარის ღირებულების სახაზინო ვალდებულებებს გაყიდის. ამ და ფასიანი ქაღალდების საკითხებთან დაკავშირებით, გუშინ ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი საბანკო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა.*

სასტუმრო "მარიოტში" გამართულ შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრმა ბანკირებს 2005 წლის სახაზინო ვალდებულებების გამოშვების გრაფიკი გააცნო. როგორც გაირკვა, შარშანდელთან შედარებით გაზრდილია ფასიანი ქაღალდების ემისიების ვადიანობა. კერძოდ, თუ შარშან ბაზარზე, ძირითადად, საშუალოვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები იყიდებოდა, 2005 წლიდან ბაზარზე ექვსწლიანი სახაზინო ვალდებულებები გამოვა.

როგორც გუშინდელ შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, 2005 წლისათვის საქართველოში ახალი ტიპის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების – სახაზინო ობლიგაციების გამოშვებაა დაგეგმილი. **"აღნიშნული ქაღალდების გამოშვება სახაზინო ვალდებულებების ემისიების პარალელურად განხორციელდება და მიმდინარე წლის ბოლოსთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მათი ხვედრითი წილი 60-65 პროცენტამდე გაიზრდება. სახაზინო ობლიგაცია საშუალოვადიანი ფასიანი ქაღალდია. პირველად დაგეგმილი 18-თვიანი ემისიები თანდათანობით მზარდი მოცულობით უნდა გამოვიდეს, წლის ბოლოსათვის კი დაგეგმილია 24–თვიან ემისიებზე გადასვლა,"** – განმარტა მინისტრმა. **"ეს იქნება ახალი ეტაპი საქართველოში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განვითარებული ბაზრის ჩამოყალიბების გზაზე,"** - დაამატა მან.

ცნობისათვის, საქართველოში სახაზინო ვალდებულებები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ერთადერთი სახეობაა. სახაზინო ვალდებულებების გამოშვება პირველად 1997 წელს განხორციელდა და პროცესი მომდევნო წლების განმავლობაში იხვეწება.

*24 საათი*

# ნაზარბაევი: რუსეთი და ყაზახეთი ღმერთმა ერთმანეთისთვის შექმნა

ნანა ნასყიდაშვილი

*რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა სამშაბათს განაცხადა: "რუსეთი და ყაზახეთი აპირებენ გააფართოონ ურთიერთობა ისეთ ტრადიციულად პრიორიტეტულ საკითხებში, როგორებიცაა კოსმოსური და სათბობ-ენერგეტიკის სფეროები."*

18 იანვარს კრემლში, რუსეთის ფედერაციისა და ყაზახეთის პრეზიდენტებმა ქვეყნებს შორის სახელმწიფო საზღვრის შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. შეთანხმების თანახმად, სახელმწიფო საზღვრის დასაზუსტებლად ერთობლივი დემარკაციული კომისია იქმნება. ხელმოწერილი შეთანხმება იმუშევსკის ბუნებრივი აირის საბადოს ექსპლუატაციის საშუალებას იძლევა. როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა განაცხადა, ეს საზღვრის პრობლემის გადაწყვეტაში ბოლო სადავო საკითხი იყო. მანვე აღნიშნა, რომ საბადოს ექსპლუატაცია განხორციელდება ორივე მხარის მიერ.



*ყაზახეთის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ რუსეთ-ყაზახეთის საზღვარი "ნდობისა და მეგობრობის საზღვრად იქცევა".*

პუტინმა აღნიშნა, რომ "მოლაპარაკებების განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ჩვენ ინტერესებს, რომლებიც პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციული პროცესების განვითარებასთანაა დაკავშირებული." რეგიონული ინტეგრაციის განვითარებას ყაზახეთის პრეზიდენტიც უჭერს მხარს. "ჩვენ ღმერთმა ერთმანეთისთვის შეგვქმნა. ჩვენი ვალია, შვილებს და შვილიშვილებს გადავცეთ ის, რაც უფროსმა თაობამ გააკეთა. სწორი მიმართულებით მივდივართ და მეგობრებს და მეზობლებს მოვუწოდებთ, შემოუერთდნენ ამ თანამშრომლობას,"- აღნიშნა ნაზარბაევმა.

პუტინი რომ ყაზახეთთან ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებით კმაყოფილია, მეტყველებს მისი სხვა შეფასებებიც. "ჩვენ ქვეყნებს შორის იზრდება საქონელბრუნვა, იზრდება ერთობლივი პროდუქციის რაოდენობაც, ძირითადად ენერგეტიკის სფეროში, სადაც ჩვენ ძალიან კარგი პერსპექტივები გვაქვს. წინასწარი მონაცემებით, ორმხრივი ვაჭრობის მოცულობა შარშან 1,5-ით გაიზარდა და 7,5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა," - განაცხადა მან. თავის მხრივ, ნურსულთან ნაზარბაევმა კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ფარგლებში, ყაზახეთსა და რუსეთს შორის სამხედრო-ტექნიკური ურთიერთობის გაღრმავების სურვილი გამოთქვა. ყაზახეთის პრეზიდენტი აგრეთვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას კოსმოსურ სფეროში, კონკრეტულად, ყაზახეთის თანამგზავრის "კაზსატის" შექმნას და რაკეტა "ანგარასთვის" გასაშვები მოწყობილობის შემუშავებას. კრემლის ექსპერტთა შეფასებით, რუსეთ-ყაზახეთის ურთიერთობაში ამ დოკუმენტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც სააგენტო "იტარ-ტასი" იუწყება, მისი მომზადება შესაძლებელი გახდა მასშტაბური სამუშაოს, კერძოდ, რუსეთისა და ყაზახეთის საზღვრის დელიმიტაციის შემდეგ. ნაზარბაევმა აღნიშნა, რომ ეს მსოფლიოში ყველაზე გრძელი სახმელეთო საზღვარია – 7501 კილომეტრი. ყაზახეთის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ეს საზღვარი "ნდობისა და მეგობრობის საზღვრად იქცევა."

# დანიაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ინიშნება

დანიის სამეფოს პრემიერ-მინისტრის ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, 8 თებერვალს ქვეყანაში ვადამდელი საყოველთაო არჩევნები ჩატარდება. ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, პრემიერ-მინისტრს ხელისუფლების უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე აქვს ვადამდელი არჩევნების დანიშვნის უფლება. ამჟამინდელი ხელისუფლების უფლებამოსილების ვადა 2005 წლის ნოემბერში იწურება. უკანასკნელ ხანს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების თანახმად, მოსახლეობაში დიდი პოპულარობით მემარჯვენეებისა და ცენტრისტების კოალიცია სარგებლობს. 2001 წლის 20 ნოემბერს მემარჯვენე-ცენტრისტულმა ბლოკმა ლიბერალური პარტიის "ვენსრტე"-ს ლიდერის ანდერს ფოგ რასმუსენის მეთაურობით საპარლამენტო არჩევნებით 179 სადეპუტატო მანდატიდან 98 მოიპოვა. 4 წლის წინ გამარჯვებულთა წინასაარჩევნო პროგრამაში ყველაზე ეფექტური გამკაცრებული საიმიგრაციო პოლიტიკის გატარების, გადასახადების შემცირებისა და უცხოური სახელმწიფოებისათვის ფინანსური დახმარების შეკვეცის შესახებ წინადადება აღმოჩნდა. 2001 წელს მემარჯვენე-ცენტრისტული ბლოკის გამარჯვებამ ქვეყანაში მემარცხენე პარტიის თითქმის 10 წლიან ბატონობას მოუღო ბოლო.

*24 საათი*

# გათავისუფლებული კათოლიკე არქიეპისკოპოსი და მოახლოებული არჩევნები ერაყში

ვატიკანის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერაყში ტერორისტების მიერ მძევლად აყვანილი კათოლიკე არქიეპისკოპოსი ერთდღიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს. მონსინიორ ბაზილ ჟორჟ კასმუსის გათავისუფლების დეტალები, ჯერჯერობით, უცნობია. ეს ინფორმაცია სააგენტო "როიტერმა" კატარის ტელეარხ "ალ-ჯაზირაზე" დაყრდნობით გაავრცელა.

66 წლის არქიეპისკოპოსი შეიარაღებულმა ადამიანებმა ორი დღის წინ ქალაქ მოსულში იმ დროს გაიტაცეს, როცა ის ალბიშარის ეკლესიიდან გამოდიოდა. გამტაცებლებმა ეპისკოპოსი ავტომანქანაში ძალდატანებით ჩასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

წარმოშობით ერაყელი კასმუსი ქვეყანაში კათოლიკური ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენლად ითვლება.

ბაზილ ჟორჟ კასმუსის გათავისუფლებისთვის გამტაცებლებმა 200 ათასი დოლარი მოითხოვეს. გადაუხადეს თუ არა ექსტრემისტებს გამოსასყიდი, ჯერჯერობით, უცნობია.

ერაყის საყოველთაო არჩევნებამდე 11 დღეა დარჩენილი და ბუნებრივია, გასაკვირი არ არის ექსტრემისტული ორგანიზაციების გააქტიურება, რომლებიც ყველა ღონეს ხმარობენ 30 იანვარს დანიშნული არჩევნების ჩასაშლელად.

აშშ-ს ჯარებმა და ერაყის უსაფრთხოებამ მიმდინარე დღეებში ათეულობით ეჭვმიტანილი დააკავეს. მიუხედავად, ამისა, ტერაქტების სერია არ ცხრება.

გუშინ ბაღდადში კამიკაძე ტერორისტმა დანაღმული ავტომანქანა ააფეთქა, რის შედეგადაც ერთი ერაყელი დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა.

სააგენტო "როიტერის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ სროლა ისმოდა ბასრაშიც, სადაც წინასწარი ცნობით, ერაყის მოქმედი პრემიერ-მინისტრის, აიად ალავის ერთ-ერთი საარჩევნო რწმუნებული მოკლეს.

გუშინვე გავრცელდა ცნობა 8 ჩინელის მძევლად აყვანის შესახებ. ჯერჯერობით უცნობია რა ვითარებაში აღმოჩნდა სამშენებლო კომპანიაში მომუშავე 8 ჩინელი გამტაცებელთა ხელში. ასევე უცნობია ტერორისტების მოთხოვნების შესახებაც.

დღეისთვის, ერაყში კარსმომდგარი არჩევნების თემა ყველაზე აქტუალური და ამავდროულად დაძაბული მსჯელობის საგანია. გუშის ერაყის დამოუკიდებელმა საარჩევნო კომისიამ განაცხადა, რომ 29 იანვრიდან 31 იანვრამდე ქვეყნის საერთაშორისო საზღვრები ყველა მგზავრისთვის დაიკეტება. გამონაკლისის სახით საზღვარზე გაატარებენ მხოლოდ საუდის არაბეთიდან მომავალ მუსლიმ პილიგრიმებს. იგივე პერიოდში მსგავსი შეზღუდვები დაწესდება ერთი პროვინციიდან მეორეში მოხვედრის მსურველთათვისაც. აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე ერაყის ხელისუფლება არჩევნების თარიღის მოახლოებისას ღამით კომენდანტის საათის შემოღებასაც ფიქრობს.

*24 საათი*

# მანდელას დროებითი დაბრუნება დიდ პოლიტიკაში

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ 2005 წლის თებერვალში, ლონდონში გამგზავრებაზე თანხმობა განაცხადა, სადაც ის "დიდი რვიანის" ქვეყნების ფინანსთა მინისტრების შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას. აღნიშნულ შეხვედრაზე მანდელა აფრიკისათვის განკუთვნილ "მარშალის გეგმის" ახალ ვარიანტს დაუჭერს მხარს, რისი ინიციატივაც ინგლისის ფინანსთა მინისტრს გორდონ ბრაუნს ეკუთვნის.

2004 წლის ზაფხულში ნელსონ მანდელა პოლიტიკური ცხოვრებიდან წავიდა, თუმცა, წინა კვირას საჯაროდ გამოვიდა პრესკონფერენციაზე, რომელიც შიდსისგან გარდაცვლილ მის ვაჟიშვილს, მაკგატო მანდელას ეძღვნებოდა.



*აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლო პოლიტიკაში ბრუნდება, თუმცა, მხოლოდ დროებით.*

გორდონ ბრაუნი, რომელიც ამჟამად აფრიკულ ტურნეში იმყოფება, კეიპტაუნში ეწვია ნელსონ მანდელას და აფრიკის ეკონომიკური დახმარების გეგმის მხარდასაჭერად ლონდონში მიიწვია. ბრაუნმა განაცხადა, რომ მისი გეგმა "მარშალის გეგმის" ნიმუშის მიხედვით არის შემუშავებული და მდიდარი ქვეყნები ვალდებულები არიან, ღარიბ ქვეყნებს სიღატაკის დაძლევაში დაეხმარონ. მარშალის გეგმა აშშ-ს სახელმწიფო მინისტრს ჯორჯ მარშალს უკავშირდება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მან ევროპის ქვეყნებს დახმარების პროგრამა შესთავაზა, რამაც, საბოლოო ჯამში, ევროპული ეკონომიკის აღდგენა გახადა შესაძლებელი. ცოტა ხნის წინ ბრაუნი ევროკავშირის პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკის კრიტიკით გამოვიდა, განაცხადა, რომ ევროკავშირი პასუხისმგებელია აფრიკულ ქვეყნებში ცხოვრების დონის გაუარესებაზე. მან სხვა განვითარებულ ქვეყნებს მოუწოდა, დიდი ბრიტანეთის მაგალითისთვის მიებაძათ და აფრიკის ულატაკესი სახელმწიფოებისთვის ვალის ნაწილი ჩამოეწერათ. "დიდი რვიანის" ქვეყნების ფინანსთა მინისტრები ხალისით არ შეხვედრიან ბრაუნის წინადადებას აფრიკის დასახმარებლად დამატებითი ასიგნირების გამოტანის შესახებ, მაგრამ ბრაუნი იმედოვნებს, რომ ისეთი ავტორიტეტული ლიდერი, როგორიც მანდელაა, სწორი გადაწყვეტილების მიღებას ხელს შეუწყობს. 2004 ოქტომბერში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადა, რომ აფრიკის დახმარების თემა 2005 წლის "დიდი რვიანის" სამიტზე და ევროკავშირის ლიდერთა სხდომებზე (წელს დიდი ბრიტანეთი იქნება ხელმძღვანელი) ერთ-ერთი მთავარი თემა იქნებოდა.

*24 საათი*

# მრავალეროვან კოალიციას ერაყში სომხეთიც შეემატა

რასაკვირველია, სომხეთი იმ პროცესის მონაწილეა, რომლის სამშვიდობო დანიშნულებაზე მსოფლიოში არაერთგვაროვანი აზრი აქვთ, მათ შორის სომხეთის საზოგადოებაში, თუმცა, იგი საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების მნიშვნელოვანი შემადგენელია. გუშინ ამის შესახებ განაცხადა თავდაცვის მინისტრმა სერჟ სარქისიანმა სომხური კონტიგენტის ერაყში გაცილების ცერემონიალზე.

**"მძიმე წუთებში სომეხმა ერმა მხარდაჭერა მრავალი სახელმწიფოს მხრიდან იგრძნო. ახლა ჩვენი ჯერია, დახმარების ხელი გავუწოდოთ. ეს ღირსეული და საპასუხისმგებლო მისიაა, რომელიც არა მარტო რეგიონში უსაფრთხოებას შეუწყობს ხელს, არამედ ქვეყნის საერთაშორისო იმიჯსაც აამაღლებს"**, - ამბობს მინისტრი.

სომხეთის პარლამენტმა ერაყში სამშვიდობო კონტინგენტის გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილება 24 დეკემბერს რვასაათიანი დახურული განხილვის შემდეგ დაამტკიცა. შესაბამის დოკუმენტს მხარი 91-მა დეპუტატმა დაუჭირა, 23 წინააღმდეგი იყო, ერთმა შეიკავა თავი.

გუშინ სომხური კონტინგენტი ერაყში ამერიკული თვითმფრინავით გაემგზავრა. როგორც სომხეთის შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსმა მიქაელ არუთინიანმა განაცხადა, სომხეთი ერაყში 46 სპეციალისტით იქნება წარმოდგენილი – 10 მესანგრე, 30 მძღოლი, სამი მედიკოსი და კიდევ სამი ოფიცერი.

თავდაპირველად, სომხურ დანაყოფს კუვეიტში მოუწევს მომზადების გავლა, შემდეგ კი ძირითადად, ბაღდადის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე დასახლებულ პუნქტში ალ-ილაში იქნება დისლოცირებული და პოლონური კონტინგენტის შემადგენლობაში იმსახურებს. ხოლო სამედიცინო პერსონალი ქერბალაში მდებარე სამხედრო ჰოსპიტალს დაეხმარება. აღსანიშნავია, რომ დისლოკაციის, მომარაგების, კომუნიკაციის, ტექნიკური და სამედიცინო უზრუნველყოფის ხარჯებს, მთლიანად აშშ-ს მთავრობა დაფარავს. აშშ გადაიხდის სომეხ სპეციალისტთა ხელფასებსაც.

ნიშანდობლივია, რომ სომეხ პოლიტიკოსთა ნაწილი, მათ შორის პარლამენტში, თვლის, რომ ერაყში სომხური კონტინგენტის გაგზავნა ქვეყნის ეროვნულ და სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებს ეწინააღმდეგება და საფრთხეს უქმნის ერაყის 25-ათასიანი სომხური დიასპორის მშვიდობიან არსებობას, ასევე იმ სომხებს, რომლებიც მუსლიმურ ქვეყნებში ცხოვრობენ.

*24 საათი*

# იღბლიანი კუნძული ბუგენვილი

## წყნარ ოკეანეში ყველაზე ხანგრძლივი კონფლიქტი დასრულდა

კოტე ელიზბარაშვილი

პაპუა-ახალი გვინეის შემადგენლობაში მყოფმა კუნძულმა ბუგენვილმა მრავალწლიანი ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა, ავტონომია მოიპოვა. ამიერიდან, კუნძულს საკუთარი კონსტიტუციის შესაბამისად შექმნილი საკუთარი მთავრობა ეყოლება. ბუგენვილის ადმინისტრაციულ ცენტრში, ქალაქ აგავაში საზეიმო ცერემონიამ წყნარ ოკეანეში ყველაზე ხანგრძლივი სამოქალაქო ომი დაასრულა. შეგახსენებთ, ბუგენვილელები პაპუა-ახალი გვინეასგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად 1980-იანი წლების ბოლოდან იბრძოდნენ. კონფლიქტში, რომელიც დღემდე გრძელდებოდა, დაახლოებით, 15 ათასი ადამიანი დაიღუპა.

პაპუა-ახალ გვინეაში 5,3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ავსტრალიის ჩრდილოეთით განლაგებულ 600 კუნძულზე მდებარეობს. ბუგენვილის კუნძულზე, დაახლოებით, 160 ათასი ადამიანი ცხოვრობს. კუნძულს სპილენძის დიდი საბადო გააჩნია, 916 მილიონი ტონა მადნეულის მარაგით, რომელსაც 1972 წლიდან ავსტრალიელები ამუშავებდნენ. 1975 წლის ჩათვლით, პაპუა-ახალი გვინეა გაეროს პროტექტორატის ქვეშ იყო და ავსტრალია მართავდა.

ბუგენვილში სეპარატისტული მოძრაობა აბორიგენებსა და ერთ-ერთი ავსტრალიური სამთო-მადნეულის კომპანიას შორის კონფლიქტიდან დაიწყო. დღეიდან, სპილენძის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის განაწილების საკითხი კუნძულელთა აუცილებელი მონაწილეობით გადაწყდება. კუნძულელებს იმ კანონის აკრძალვის უფლება აქვთ, რომელიც ბუგენვილს ეხება, თუ მათ ეს კანონი არ მოეწონათ.

ყოფილმა მეტროპოლიამ მშვიდობის დამყარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მართალია, კანბერის ინიციატივით შექმნილ სამშვიდობო კონტინგენტის შემადგენლობაში წყნარი ოკეანის კუნძული-სახელმწიფოების წარმომადგენელებიც შედიოდნენ, მაგრამ მთავარ ძალას 210 ავსტრალიელი პოლიციელი შეადგენდა. სამშვიდობოები კონფლიქტის ზონაში 1997 წელს გააგზავნეს, 2001 წლის აგვისტოში პაპუა-ახალი გვინეას ხელისუფლებასა და სეპარატისტებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება შედგა. ავსტრალიელები, ახალი ზელანდიელები და ბუგენვილში 2001 წელს გახსნილი გაეროს დამკვირვებელთა მისია მეამბოხეთა განიარაღებას ადევნებდნენ თვალყურს – ეს იყო ძირითადი მოთხოვნა, რომელიც თვითმართვად მეამბოხე კუნძულს წაუყენეს.

ავსტრალია მეზობელ სახელმწიფოს, სოლომონის კუნძულსაც მოელაპარაკა, რომ ჩაურევლობის პოლიტიკა გაეტარებინა. გეოგრაფიული თვალსაზრისით, ბუგენვილი სოლომონის კუნძულთა არქიპელაგის ნაწილია. ბუგენვილის სეპარატისტთა ლიდერები ამტკიცებდნენ, რომ "რასობრივი თვალსაზრისით" მათთვის უფრო ახლოს სოლომონის კუნძულები იყო, ანუ გეოგრაფიული მეზობლები, ვიდრე ნაკლებად მუქი კანის ფერის თანამოქალაქე-პაპუასები.

## ორი სიტყვით

**ინდონეზია.** ინდონეზიის ტრანსპორტის სამინისტროსა და ჯაკარტაში საფრანგეთის ელჩის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმის თანახმად, ინდონეზიაში სტიქიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებული აჩეხის პროვინციაში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას ფრანგული კომპანია "CNSF"შეუდგება. აღნიშნულ პროვინციაში კვლევითი სამუშაოებისათვის საფრანგეთი 1 მლნ. ევროს გამოჰყოფს. ექსპერტთა ჯგუფი ბანდა-აჩეხისა და მედანის დამაკავშირებელ 450 კმ სიგრძის გზას შეისწავლის და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება პროექტის რეალიზაციის დეტალები. წინასწარი შეფასებებით პროექტის ღირებულება 1.125 მლრდ აშშ დოლარით განისაზღვრება. **ჯაკარტა პოსტი**

■ ■ ■

**დასავლეთი ევროპა.** ევროკავშირის 25 წევრი-სახელმწიფოს ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს ევროკომისიის წინადადებას საფრანგეთისა და გერმანიის წინააღმდეგ დისციპლინარული სანქციების პროცედურების გადადების შესახებ. წლების განმავლობაში ქვეყნები, როიმლებიც ევროკავშირის "ლოკომოტივებად" იწოდებოდნენ, აჭარბებდნენ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდისა და ევროპის სტაბილურობის პაქტით ნებადართულ მთლიანი შიდა პროდუქტის 3 პროცენტს. ევროკომისიის შეფასებით, 2005 წლის ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებისათვის აუცილებელი ზომები საფრანგეთმა და გერმანიამ უკვე მიიღო.

ევროკავშირის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო მომავალშიც გააკონტროლებს ამ ქვეყნებში საბიუჯეტო სახსრების გახარჯვას. **რია-ნოვოსტი**

■ ■ ■

**ლიტვა.** ლიტვის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქვეყნის სამხედრო ნაწილი უკვე გაემგზავრა ქაბულში ავღანეთში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ნატო-ს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად. ავღანეთში ლიტვის სამხედრო კონტიგენტს, რომელიც აქამდე 17 სამხედრო მოსამსახურით განისაზღვრებოდა კიდევ 8 სამხედრო პირი დაემატება. სამხედრო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სპეციალისტთა ჯგუფი იმუშავებს ქაბულის აეროპორტში. მისია სულ 6 თვე გაგრძელდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავღანეთში უსაფრთხოების უზრუნველყოფის ოპერაციებში ლიტვა 2002 წლიდან მონაწილეობს. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ირანი.** აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მკვეთრ განცხადებებზე საპასუხოდ, ირანის ხელისუფლება აცხადებს, რომ გააჩნია საკმარისი სამხედრო ძალა შეტევის მოსაგერიებლად. ისლამური რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ალი შამჰანის განცხადებით, თეირანს არ აშინებს ერაყსა და ავღანეთში აშშ-ის წარმატება, რაც აღნიშნულ ქვეყნებში არსებული რეჟიმების დამხობაში გამოიხატება. "ჩვენ თამამად შეგვიძლია, განვაცხადოთ, რომ უკვე იმდენად გავძლიერდით, რომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს ჩვენზე თავდასხმას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვერ მოიპოვებენ სანდო ინფორმაციას ირანის სამხედრო შესაძლებლობების შესახებ,"- აღნიშნა თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა. **24 საათი**

■ ■ ■

**რუსეთი.** კამჩატკაზე ვულკან "შიველუჩის" კრატერიდან გაზისა და ფერფლის სამი კილომეტრის სიმაღლეზე ამოფრქვევა დაფიქსირდა. როგორც, კამჩატკის გეოფიზიკის სამსახურმა "ინტერფაქსს" აცნობა, ვულკანის ფერდობებიდან ლავის ნაკადი ჩამოედინება. გარდა ამისა, მიწისქვეშა ბიძგები შეინიშნება გააქტიურებული ვულკანური მთის ქვეშაც. ეს შემთხვევაა, ბოლო ერთი კვირის მანძილზე, კამჩატკაზე ვულკანების გააქტიურების მეოთხე ფაქტია. 11 იანვარს მოსახლეობას თავი შეახსენა ვულკანმა "ბეზიმიანნაია". მის მიერ ფერფლისა და გაზის ამოფქრვევა რვა კილომეტრის სიმაღლეზე დაფიქსირდა. 14 იანვარს გაიღვიძა "შიველუჩმა", ხოლო 16 იანვარს ამოფრქვევა დაიწყო ევრაზიის ყველაზე დიდმა ვულკანმა "კლუჩევსკიმ". **ინტერ-ფაქსი**

■ ■ ■

**იაპონია.** იაპონიის კუნძულ ჰოკაიდოზე გუშინ მომხდარმა მიწისძვრის სიმძლავრემ 6.3 ბალი შეადგინა. არ გავრცელებულა ცნობები მსხვერპლისა და შენობა-ნაგებობების დაზიანების შესახებ. გარდა ამისა, როგორც მეტეოროლოგიური სამსახურები აცხადებენ, არ არსებობს ცუნამის საფრთხეც. მიწისძვრის ეპიცენტრი იყო ქალაქი კუსირო, ხოლო კერა 50 კმ-ის სიღრმეზე იყო. **იტარ-ტასი**

# პრეპარატების 65 პროცენტი ჯანმრთელობისთვის საშიშია

*საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში, ისევე, როგორც სრულიად ქვეყანაში, ცვლილებებია. ოღონდ რას მოგვცემს ეს სიახლეები, თავად ავტორების გარდა, ჯერ არავინ უწყის. ნებისმიერ შემთხვევაში, ექსპერტებს ძვრები დიდად არ ხიბლავთ. თუკი ყველაფერი ხალხის საკეთილდღეოდ იცვლება, რატომ არის ქვეყანა მაინც გავსებული არალეგალური, არალიცენზირებული, ფალსიფიცირებული და ა.შ. პრეპარატებით? ეს ყველაფერი, ხომ ხალხისთვის მეტად საშიშია. ან იქნებ მავანთათვის ხალხი სულაც არ არის პირველხარისხოვანი?*

ოთარ ქირია

რამაზ ყურაშვილი, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის წევრი:

**"პრეპარატებით უკანონო ვაჭრობა, კონტრაბანდა, ფალსიფიკაცია ქვეყანაში იყო, არის და, ვგონებ, იქნება. შემიძლია გითხრათ, რომ არაფერი შეცვლილა. ისევე გავდივარ ბაზრობაზე და ყველანაირ ინსულინს მალავენ, ისევ ყიდიან ღია ცის ქვეშ პრეპარატებს, ისევ არის აფთიაქები, რომელთაც ვაჭრობის უფლება არ აქვთ, ისევ შემოდის აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, თურქეთიდან და რუსეთიდან უკანონო პრეპარატები. შესაძლოა, იმ რაოდენობით არა, როგორც ადრე, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას, თუ ერთი პაციენტი მაინც დაზარალდა. შესაძლოა, ხელისუფლებას დრო სჭირდება, მაგრამ დღევანდელი ცვლილებები ჩემთვის გაუგებარია. მიმაჩნია, რომ ლიცენზირებისა და მაკონტროლებელი უწყებები ერთ სამსახურში გაერთიანებული არ უნდა იყოს. ადრე ამ ყველაფერს სამინისტროს და მაფიას ვაბრალებდით; ახლა? რუსეთში ისევ აქტიურად ხდება ფალსიფიკაცია. შემდეგ ეს ფალსიფიკატორები უკავშირდებიან აქაურ ნაცნობებს ან პიროვნებებს, ვინც "გამოცდილია" უკანონო ვაჭრობაში და საქმესაც მშვენივრად "აწყობენ". ჯერ ერთი, საფრთხეში გვაგდებენ, მეორეც - ხელს უშლიან მათ, ვინც კანონიერად აწარმოებს ფარმაცევტულ საქმიანობას და ქვეყნის ბიუჯეტში ფული შეაქვს. მათ რომ მფარველები არ ჰყავდეთ, ასე იოლად ვერ მოხვდებოდა ქვეყანაში ულიცენზიო და ფალსიფიცირებული პრეპარატები. მახსოვს, ღორის ინსულინის შემოტანისთვის შევარდნაძეც კი ჩაიყვანეს ჩეხეთში. მერე გამოაცხადეს, - ინსულინს საქართველო გამოუშვებსო. მაშინვე ვთქვი, რომ ეს სისულელეა და ამიტომაც ამითვალწუნა ზოგიერთმა. ჩეხები გაოგნებულები დარჩნენ. რა თქმა უნდა, საქართველომ ინსულინი ვერ გამოუშვა. სამაგიეროდ, საერთაშორისო დონის აფერისტთა ჯგუფმა ასობით მილიონი წაიღო სახლში. დღესაც ყიდიან ბაზრობაზე ინსულინს, ყველანაირი პირობის დაცვის გარეშე. არის ისეთი ინსულინიც, რომელსაც წლების განმავლობაში ვებრძოდით. შეიძლება ასე იყიდებოდეს ინსულინი ან ნებისმიერი, ყველაზე უბრალო პრეპარატიც კი?! კიდევ კარგი, საქართველოში ექიმთა დონე მაინც არის მაღალი; მეტ-ნაკლებად ისინი აკონტროლებენ ამ საკითხს და პაციენტებს მხოლოდ კარგ პრეპარატებს ურჩევენ, თორემ, ალბათ, საერთოდ ანარქია იქნებოდა.**

**ყველაზე მტკივნეულად მიმაჩნია რეკლამის საკითხი. ხომ ვამბობთ, რომ ევროსტანდარტებისკენ ვისწრაფვით და ყველაფერი ევროპული გვინდა. რატომ იმაში არ დაემსგავსა საქართველო ევროპას, რომ პრეპარატების რეკლამირება არ უნდა ხდებოდეს; თქვენს გაზეთშიც კი ყოველდღე "სალხინოს" რეკლამაა".**

პრეპარატების რეკლამის შეჩერებამდე ძალიან დიდი დროა, იმიტომ, რომ ამ ფულის დაკარგვა არავის უნდა - არც ტელევიზიას და არც სხვას... დღეს ყოველი მეორე რეკლამა წამლის არის. რა მნიშვნელობა აქვს, ვარგა ეს წამალი თუ - არა. მთავარია, რომ არის რეკლამა და ესე იგი ფულიც.

ჯანდაცვის სამინისტრო ყოველთვის იმუქრებოდა, **- უკანონო აფთიაქებს მოვსპობთო;** თან იმასაც ამბობდა, **- ჩვენ მხოლოდ დაფიქსირების უფლება გვაქვს და არა აფთიაქის დახურვის ან ვინმეს დაჭერისო.** უკვე რამდენიმე წელიწადია, ეს გვესმის. ნუთუ არავის მოუვიდა ჟურნალისტების გარდა თავში, ან კანონი შეიცვალოს ან ადმინისტრირების მექანიზმი ან სხვა რამ. სწორედ ამიტომ ჯანდაცვის სამინისტროს ხშირად აბრალებენ, რომ მას ეს პოზიცია ხელს აძლევს. რატომ? - ნებართვებს ის გასცემს. როცა სამინისტრო აღმოაჩენს უკანონო აფთიაქს, მას ეკისრება, პრაქტიკულად, "ჩამშვების" როლი. აბა, მხოლოდ დაფიქსირება რას ნიშნავს?! ის, რომ ჯანდაცვისა და შსს სამინისტროები ყოველთვის მეგობრობდნენ, ეს დღესავით ნათელია. საკმაოდ სარფიანი ჯაჭვია და, ალბათ, სწორედ ამიტომაც ვერ ხერხდება საბოლოოდ იმის გარკვევა, თუ ვის ევალება უკანონო აფთიაქების აღმოფხვრა.

არადა, მიბრძანდით მეტროსადგურებთან: "გოცირიძე", "ახმეტელის თეატრი", "ღრმაღელე", "ვარკეთილი", "ვაგზლის მოედანი", "მარჯანიშვილი" და ა.შ. ნებისმიერ მიყრუებულ ქუჩაზეც იპოვით წამლებით მოვაჭრე ჯიხურს თუ ფარდულს.

პრობლემა მარტო ეს არ არის. კიდევ კარგი, თავად ვიყავი მოწმე, თორემ რა დაუმტკიცებს ჯანდამცველებს რამეს. შევდივარ ლიცენზირებულ აფთიაქში, ვყიდულობ პრეპარატს ჩვილი ბავშვისთვის, მივდივარ ექიმთან და ვარკვევ, რომ პრეპარატი მე უფრო გამომადგება, ვიდრე ბავშვს. ახლა წარმოიდგინეთ, რა შეძლება ხდებოდეს უკანონო აფთიაქში. ყველას ახოვს მაგალითები – "სუპრასტინის" მაგივრად - წყალი, "ტალკის" მაგივრად - ფქვილი, "ნო-შპას" მაგივრად - სიმინდი. ან თუნდაც ის, რომ ბაზრობაზე ნაყიდ პრეპარატს კოლოფზე აქვს მიჯღაბნილი დანიშნულება, "ანალგინს" კი ვადის გადაკეთების პროცედურული კვალი ატყვია და ა.შ.

ჯანდაცვის სამინისტროში ფარამაცევტულ საქმიანობაზე რამდენიმე სხვადასხვა უწყება მუშაობდა. ვერ ვიტყვით, რომ ისინი ძველი ხელისუფლების საყვარელ ფერხულში არ იყვნენ ჩართული. ახლმა ხელისუფლებამ მათი გაერთიანება გადაწყვიტა. მათ შორის მოხვდა ისეთი უწყებებიც, როგორიც არის, მაგალითად, ლიცენზირების დეპარტამენტი და წამლის ხარისხის კონტროლის სამსახური. სხვა უწყებებთან ერთად ისინი ე.წ. წამლის სააგენტოში მოექცნენ. მის ხელმძღვანელად დანიშნულმა თინა ტურძელაძემ დანიშვნიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ განაცხადა, რომ სააგენტომ სახელმწიფოსგან მიიღო 500 ათასი ლარი, რათა აღრიცხოს და ებრძოლოს წამლის ფალსიფიკაციას, უკანონოდ შემოტანილ პრეპარატებსა და ულიცენზიო აფთიაქებს. ქალბატონი თინა გვიხსნიდა, **- აქტიური მუშაობა 2005 წლის იანვარში დაიწყებაო.** იანვარი მოვიდა. თუმცა, სამწუხაროდ, თინა ტურძელაძეს დრო არ აღმოაჩნდა "24 საათთან" სასაუბროდ: **"დღეს ძალიან დაკავებული ვარ. კვირის ბოლოს მობრძანდით".** ბოდიშის მოხდით, ქალბატონ თინას შევახსენებთ, რომ დრო გაზეთისთვისაც ძალიან ძვირფასია, თუ უფრო ძვირფასი არა. სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხვევა არ არის.

ქალბატონი თინას წუხილი, საფიქრებელია, რომ უფრო სხვა საკითხს უკავშირდებოდა: **"თქვენ ჩემთან არ გისაუბრიათ. ბოლო შეხვედრისას თქვენ წაიღეთ მასალები, ხოლო გაზეთში სხვა ინფორმაცია გამოაქვეყნეთ".** შევახსენებდით ქალბატონ თინას, რომ ჩვენ მასალები მისგან არ წაგვიღია. მისი პრეზენტაცია მოხდა სასტუმრო "სიმპათიაში", ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამართულ შეხვედრაზე. ტურძელაძემ "24 საათთან" საუბრისას 500 000-ლარიანი დაფინანსება ახსენა, მუშაობის იანვარში დაწყების შესახებ განაცხადა და ორი სიტყვით დასახა გეგმები (სამწუხაროდ, მას დრო არ ჰქონდა). ეს ყველაფერი "24 საათში" დაიბეჭდა. უბრალოდ, მას დაემატა გაზეთის საუბარი ლადო ჭიპაშვილთან, რომელიც ეხებოდა თინა ტურძელაძის წარსულს და იმ დეტალს, შეძლებდა თუ არა ძველი ხელისუფლების წარმატებული თანამშრომელი ახალ ხელისუფლებაში წარმატებულ საქმიანობას. ჭიპაშვილმა პასუხი გაგვცა, რაც, ასევე, დაიბეჭდა. ალბათ, ქალბატონ თინას მინისტრი არ უთანხმებს კომენტარებს, ისევე, როგორც "24 საათი" ვერ შეუთანხმებს ჯანდაცვის სამინისტროს რიგით თანამშრომელს მინისტრთან სასაუბრო თემას.

იმედს ვიტოვებთ, რომ ქალბატონი ტურძელაძე ოდესმე გამოძებნის დროს "24 საათის" შეკითხვებისთვის. მანამდე კი იმ პრეპარატების და მათი სერიების შესახებ გაცნობებთ, რომლებიც მოხმარებისთვის საშიშია.

ქეთი ბარამიძე, "მოძრაობა ფარმაკოტერორიზმის წინააღდეგ" ხელმძღვანელი:

**"ის, რაც გუშინ ხდებოდა და დღეს ხდება, თითქმის, უაზრობაა. აფთიაქებში სირბილი და თითოეული წამლის ძიება შედეგს ვერ გამოიღებს. უნდა მოიძებოს საფუძველი. ამჟამად ვმუშაობთ ამ საკითხზე და ძირეულად ვიკვლევთ ბაზარს. შედეგები ჯერ დასრულებული არ არის. ამდენად, ამ მონაცემებზე საუბარი ნაადრევია. თუმცა, შემიძლია რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი მოგიყვანოთ ჩვენ მიერ ბოლო ხანებში ჩატარებული კვლევიდან.**

**დღეს საქართველოში მედიკამენტების ასორტიმენტი გაიზარდა, გაყალბების ტექნოლოგიები დაიხვეწა და, შესაბამისად, საკითხის მოგვარებაც გართულდა. მხოლოდ საქართველოს დედაქალაქის, თბილისის აფთიაქებში შევიძინეთ 90 დასახელების მედიკამენტი. მათ შორის, 32 (35,6 პროცენტი) ფალსიფიცირებული აღმოჩნდა, 14 (15,6 პროცენტი) - არარეგისტრირებული, 9 (10 პროცენტი) არ შეესაბამებოდა სტანდარტს და მხოლოდ 35 (38,8 პროცენტი) იყო სტანდარტული. ჩვენ მიერ გამოვლენილი ფალსიფიცირებული მედიკამენტები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1. მხოლოდ სნგ-ს ბაზრისთვის ცნობილი მედიკამენტები; 2. მსოფლიო ბაზრისთვის ცნობილი მედიკამენტები.**

**პირველი ჯგუფი:**

**Erythromycin (LTD ``Sintez``, Russia, Kurgan) - ანტიბიოტიკია; მოქმედი ნივთიერება უნდა იყოს 0,25გ. ამის ნაცვლად, მთელი ტაბლეტის მასა 0,15 გ-ია და არ შეიცავს მოქმედ ნივთიერებას.**

**Laevomycetin (Chloramphenicol) (LTD ``Tatchimpharm- preparat``, Russia, Kazan) - ანტიბიოტიკი; მოქმედი ნივთიერება უნდა იყოს 0,5გ და, ამის ნაცვლად, მთელი ტაბლეტის მასა 0,2 გ-იც არ არის. მასში საერთოდ არ არის მოქმედი ნივთიერება.**

**Splenin for injectionibus (LTD ``Darnica``, Ukraine) - ეს მედიკამენტი ქარხანას ბოლო ხუთი წლის მანძილზე არ გამოუშვია. თუმცა, კოლოფზე გამოშვების თარიღი მითითებულია - 2002 წელი.**

**Ranitidin (LTD ``Zdravle``, Yugoslavia) - კოლოფზე აწერია გამოშვების თარიღი 2001 წელი და მწარმოებელი ქვეყანა იუგოსლავია. თუმცა, ასეთი ქვეყანა 1999 წლიდან აღარ არსებობს.**

**Biseptol (LTD ``Polfa-Pabianice``, Poland) - როგორც ცნობილია, მოქმედი ნივთირება ისეთი მწარეა, რომ მედიკამენტის მიღებიდან კარგა ხანს რჩება გემო. ამ შემთხვევაში კი, ტაბლეტი ისეთი ტკბილია, რომ მისი ყავაში შაქრის ნაცვლად გამოყენებაც კი შეიძლება. არ შეიცავს მოქმედ ნივთიერებას და. ა.შ.**

**მეორე ჯგუფი:**

**Retabolil (LTD ``Gedeon Richter``, Hungary) - ანალიზის გარეშეც ჩანს, რომ აბსოლუტურად განსხვავებული ამპულებია. კოლოფის ფერიც ოდნავ, მაგრამ მაინც განსხვავდება. ეს არის ვადაგასული "ნო-შპას" ამპულა, რომელზეც მიკრულია რეტაბოლილის ეტიკეტი.**

**Claritine (Loratadine) (LTD ``Schering-Plough``, Switzerland) - განსხვავებულია ბლისტერები; ფალსიფიცირებული არ შეიცავს მოქმედ ნივთიერებას.**

**Tiberal (Ornidazole) (LTD `Hoffman-La Roche``, Switzerland) - არ შეიცავს მოქმედ ნივთიერებას.**

**Suprastin (LTD ``Egis Pharmaceuticals; Hungary) - არ შეიცავს მოქმედ ნივთიერებას და ა.შ;**

**რაც შეეხება არარეგისტრირებულ მედიკამენტებს, გვხვდება საქართველოსთვის სრულიად უცნობი ფირმების არარეგისტრირებული მედიკამენტებიც (ძირითადად, თურქული და ინდური წარმოების):**

**Aralginum ( LTD `Kombulik~, India);**

**Baralginum (LTD ``Roial``, India);**

**Duobactam (LTD ``Ekzak Baz``, Turkey);**

**M.K.C (LTD ``Evalar``, Turkey);**

**Omez (Omeprazol)- (LTD ``Dotsi pharmaceutical``, Turkey)**

**და ცნობილი ფირმების არარეგისტრირებული მედიკამენტებიც:**

**Iunicap (LTD ``Pharmaceutical Upjohn, Belgium);**

**Kim balsam (LTD ``Sanofi-synthelabo``, Switzerland) და ა.შ.**

**სტანდარტთან შეუსაბამო მედიკამენტებში გავაერთიანეთ ის წამლები, რომელთაც გასული აქვთ მოქმედების ვადა ან დარღვეული აქვთ შეფუთვა-მარკირება და მაინც არის სარეალიზაციო ქსელში:**

**Citoveginum (LTD ``Nycomed``, Austria);**

**Ingakort (LTD ``Boehringer Ingelheim``, Austria);**

**Inhibeis (LTD ``Hoffman-La Roche``, Switzerland);**

**Klotrimazole (LTD ``Glaxo Smithkline``, Great Britain);**

**Mikroginone (LTD ``Schering AG``, Germany);**

**Maxidex (LTD ``Alkon Courveur``, Switzerland);**

**Gentamicin Sulphate (LTD ``Haryana Biologicals``, India);**

**არ შეიძლება არ შევეხოთ უკონტროლო ადგილობრივი წარმოებებისა და სტამბების საკითხს. კერძოდ, ოფიციალური ინფორმაციით, დღეს საქართველოში, ამ 5 მილიონიან ქვეყანაში, ლიცენზირებულია 71 ფარმაცევტული საწარმო. ბევრი მათგანის შესახებ ისიც კი არ არის ცნობილი, აწარმოებენ თუ არა დღეს მედიკამენტებს. თუ აწარმოებენ, რა პირობებში და ა.შ. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ დღეს პოლიგრაფია საკმაოდ მაღალ დონეზეა განვითარებული და დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, ყოველგვარი ნებართვისა და კონტროლის გარეშე, ნებისმიერი მედიკამენტის შესაფუთი კოლოფებისა თუ ეტიკეტების დამზადებას, ფალსიფიკაციას ფართო გზა აქვს გახსნილი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მედიკამენტის რეკლამისათვის უცხოური კომპანიის წარმომადგენლობები იყენებენ არაკეთილსინდისიერ მეთოდებს, რაც ექიმის ფინანსურ დაინტერესებასთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, ექიმები ნაკლებად არიან ინფორმირებულები წამლის ფალსიფიკაციის პრობლემებზე და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ხშირად აისახება ავადმყოფისთვის მიცემულ დანიშნულებასა და მკურნალობის შედეგზე".**

დაბოლოს, "24 საათმა" მკითხველს ერთხელ უკვე შესთავაზა სია პრეპარატებისა, რომლებსაც რუსეთის ჯანდაცვის სამინისტრო იღებს ხმარებიდან და კრძალავს. ამ სიას იმიტომ ვაქცევთ ყურადღებას, რომ რუსული "ნაგავი" მერე ჩვენთან ხვდება და ამას რესპონდენტებიც ადასტურებენ. ასე რომ, გაფრთხილდით - იკითხეთ ეს სია, დააკვირდით წამლებს და ეცადეთ, არ შეიძინოთ პრეპარატები კეთილმოუწყობელ, შესაბამისი ტექნოლოგიებით აღუჭურველ აფთიაქებში.

| პრეპარატის დასახელება | მწარმოებელი კომპანია | ქვეყანა | სერია |
|---|---|---|---|
| ალფლაქტი, აბები № 30 | ფიტოფარმა | რუსეთი | 37906 |
| ალმაგელი-ნეო სუსპენზია, 170 მლ | ბალკანფარმა ტროიანი | ბულგარეთი | 21202 |
| ალოეს ექსტრაქტი, საინექციო სითხე 1 მლ | თბილქიმფარმი | საქართველო | 1052003 |
| ანალგინი, აბები 0.5 გ № 10 | ბიოფარმა | რუსეთი | 420803 |
| ანტიგრიპინ-АНВИ, კაფსულები | ანტივირალი | რუსეთი | 541003/631003/831103/541003/631003/831103/ |
| ანტიგრიპინ-მაქსი, კაფსულები | მასკინტერკაფსი | ბელორუსია/აშშ | 38102003/4012003 |
| არალიის ნაყენი 50 მლ | კრასნოდარის ფარმფაბრიკა | რუსეთი | 10103 |
| ასკორბინის მჟავა, საინექციო ხსნარი 5% 1 მლ | ბიოსტიმულატორი | უკრაინა | 1841103 |
| ბარალგინი M, აბები 0.5 გ № 100 | ხეხსტ მერიონ რასელი / სოლვეი | რუსეთი | 23033/23032/23035 |
| ბოიარიშნიკის ნაყენი 100 მლ | ჰიპოკრატე | რუსეთი | 45092003 |
| ბოიარიშნიკის ნაყენი 25 მლ | ტულის ფარმფაბრიკა | რუსეთი | 70503/80503 |
| ბრომჰექსინი, ელექსირი 4 მგ/5 მლ 100 მლ | სიმქეს ფარმა | ინდოეთი | SBS - 310 |
| ცეფოტაქსიმი, ფხვნილი 1 გ | ვიკ ფარმასიუტიკალს | ინდოეთი | TKIM 3007 |
| ციფრანი, საინფუზიო ხსნარი 2 მგ/მლ 100 მლ | რანბაქსი ლაბორატორის ლიმიტედ | ინდოეთი | 9042511/9042548/9042591 |
| დექსამეტაზონი, თვალის წვეთები 1 მგ/მლ 10 მლ | პოლფა, ვარშავის ფარმ-ქარხანა | პოლონეთი | 02UH0303 |
| დოქტორ მომი, მცენარეული, ხველების საწინააღმდეგო № 20 | იუნიკ ფარმასიუტიკალ ლაბორატორის | ინდოეთი | 0/4014 |
| ენამი, აბები 5 მგ | დოქტორ რედის ლაბორატორის | ინდოეთი | B2038 |
| ფესტალი, დრაჟე № 100 | ხეხსტ მერიონ რასელი | ინდოეთი | 332199 |
| ფლუციკორტის ალუსი, მალამო 20 გ | ნაროის ფარმა | ინდოეთი | N-106 |
| ფორკანი, კაფსულები 0.15 გ | ციპლა | ინდოეთი | KK2021 |
| გემოდეზი, საინფუზიო ხსნარი 6% 200 მლ | ესკომი | რუსეთი | 420903/500903/460903 |
| გვირილის ყვავილები 50 გ | ლეკ სი+ | რუსეთი | 10104 |
| ჟელატინოლი, საინფუზიო ხსნარი 450 მლ | ომსკის ხორცკომბინატი | რუსეთი | 530902 |
| კალციუმგლუკონატი, აბები 0.5 გ | ირბიტის ქიმფარმ. ქარხანა | რუსეთი | 511203 |
| კამეტონი, აეროზოლი 30 გ | მოსქიმფარმპრეპარატები | რუსეთი | 991203 |
| კამეტონი, აეროზოლი 30 გ | მოსქიმფარმპრეპარატები | რუსეთი | 971203 |
| კლარიტინი, აბები 10 მგ №10 | შერინგ პლაუ | ბელგია | 03D0213 |
| კლებსიფაგი, სითხე | ბიომედი | რუსეთი | 119-9 |
| კლოტრიმაზოლი, მალამო 1% 20 გ | სელვეკ ჰელსქეა | ინდოეთი | SC24 |
| კლოტრიმაზოლი, ვაგინალური აბები 0.1 გ | სელვეკ ჰელსქეა | ინდოეთი | ST17 |
| კოლარგოლი, სუბსტანცია-ფხვნილი | სამკურნალო საშუალებების ქიმიის ცენტრი | რუსეთი | 10703 |
| კუკა, სიროფი 100 მლ | მელტანი ფარმასიუტიკალს | ინდოეთი | 228-N |
| ლიმონიკის ხილის ნაყენი | კრასნოდარის ფარმფაბრიკა | რუსეთი | 10403 |
| ლინიმენტი, ბალზამიკური (ვიშნევსკის წესით) 30 გ | ფარმსინთეზი | რუსეთი | 231003 |
| ლორიპოლი, საწუწნი აბები (ანანასის გემოთი) | ლორენს ლაბორატორის | ინდოეთი | LPI-06 |
| ლორიპოლი, საწუწნი აბები (ლიმონის გემოთი) № 24 | ლორენს ლაბორატორის | ინდოეთი | LLE-06 |
| მეტამიზოლი (ნატრიუმ), სუბსტანცია | ჟუხაი ფარმასიუტიკალ ფაქტორი | ჩინეთი | W103140/103137/103139 - 04.2003 |
| მეტრონიდაზოლი, აბები 0.25 გ | ბიოფარმ პრეპარატი | რუსეთი | 40703/20703 |
| მეტრონიდაზოლი, საინფუზიო ხსნარი 0.5 გ 100 მლ | ვოკჰარდტ | ინდოეთი | 102107 |
| მულტივიტა პლუსი, შუშხუნა აბები (ლიმონის გემოთი) | ქიმოფარმი | იუგოსლავია | 1250702 |
| ნატრიუმ-ბენზოატი, ფხვნილი | მოსრეაქტივი | რუსეთი | 19 - 10.2002 |
| ნატრიუმ-ქლორიდის იზოტონური ხსნარი, საინფუზიო ხსნარი 0.9% 200 მლ | ВНИИ ცხოველთა დაცვა | რუსეთი | 641203 |
| ნიზორალი, აბები 200 მგ №10 | იანსენ სილაგი | ბელგია | 02CL477 |
| ნორმაქსი, თვალისა და ყურის წვეთები 0.3% 5 მლ | იპკა ლაბორატორის ლიმიტედ | ინდოეთი | FA3010 W |
| ნოვოკაინი, საინექციო ხსნარი 0.25% 200 მლ | ბიოსინთეზი | რუსეთი | 140703 |
| პანანგინი, აბები | გედეონ რიხტერი | უნგრეთი | T35313A/T36501A |
| პანკრეატინი, აბები 0.25 გ | ირბიტის ქიმფარმ. ქარხანა | რუსეთი | 81003 |
| პიკამილონი, აბები 50 მგ № 30 | ეკო | რუსეთი | 10104 |
| პიონის ნაყენი 50 მლ | კრასნოდარის ფარმფაბრიკა | რუსეთი | 520803 |
| პიროდოქსინის ჰიდროქლორიდი, საინექციო ხსნარი 5% 1 მლ | ბიოსტიმულატორი | უკრაინა | 510603/680703 |
| პოლიფეპანი, ფხვნილი 100 გ | სტო-მედ-სორბი | რუსეთი | 3062003 |
| პრედნიზოლონი, საინექციო ხსნარი 30 მგ/მლ 1 მლ | შრეია ჰელთქეა | ინდოეთი | 107 |
| პრედნიზოლონი, საინექციო ხსნარი 30 მგ/მლ 1 მლ | შრეია ჰელთქეა | ინდოეთი | KD1462-A |
| პროპროტენ-100, ჰომეოპათიური წვეთები 25 მლ | მატერია მედიკა ჰოლდინგი | რუსეთი | 1701103 |
| პუსტირნიკის ნაყენი 25 მლ | ტულის ფარმფაბრიკა | რუსეთი | 391203/181103 |
| ქსანტინოლის ნიკოტინატი, აბები 0.15 გ | უსოლიე-ციმბირის ქიმფარმკომბინატი | რუსეთი | 10503 |
| რეამბერინი, საინფუზიო ხსნარი 1.5% 400 მლ | პოლისანი | რუსეთი | 661203 |
| [illegible], აბები № 10 | შრეია ლაიფ საიენსი | | 115 |
| რუტინი, სუბსტანცია-ფხვნილი | სიჩუანის ფარმ-კომპანია სელი | ჩინეთი | 030220 - 02.2003 |
| შალფეის ფოთლები 50 გ | ფიტო-ფთო აგრარულ-სამეურნეო ფირმა | რუსეთი | 220503 |
| სულფაცეტამიდ-ნატრიუმი, ხსნარი 20% (თვალის წვეთები) 5 მლ | ერგოფარმი | რუსეთი | 10803/210903 |
| სულფადიმეტოქსინი, აბები 0.5 გ | ბიოსინთეზი | რუსეთი | 150599 |
| სულფამეტოქსაზოლი, სუბსტანცია | ვერსილ ლაბორატორის | ინდოეთი | SMX03081275 08.2003 |
| სუპრიმა-ЛОР, საწუწნი აბები (მარწყვის არომატით) № 12 | შრეია ლაიფ საიენსი | ინდოეთი | S-102 - 09.2003 |
| ტენტექს ფორტე, აბები | ჰიმალაია დრაგ კო | ინდოეთი | 30707-E |
| ტინიბა, აბები 0.5 გ | კადილა ჰელსქეა | ინდოეთი | MB-1117 |
| ტრავისილი, სიროფი 100 მლ | პლეთიკო ფარმასიუტიკალს | ინდოეთი | 2022 |
| თუთიის ჟანგი, სუბსტანცია-ფხვნილი | იალპა | რუსეთი | 0812 - 08.2003 |
| თუთიის სულფატი, ფხვნილი | ვექტორი | რუსეთი | 5 - 06.2002 |
| ვალერიანის ფესვები 1.5 გ | სტარტ-ფარმი | რუსეთი | 20803 |
| ვაზელინი, სამედიცინო | ავია / ფარმამედი | ბელორუსია | 81/06.03 |
| ზანოცინი, საინფუზიო ხსნარი 2 მგ/მლ 100 მლ | რანბაქსი ლაბორატორის ლიმიტედ | ინდოეთი | 9042553 |

მიმდინარეობს შპს „თანამედროვე მსოფლიოს“ ლიკვიდაცია. რეგისტრაციის ნომერია: 1/4-112, 14 დეკემბერი 1996 წელი. დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს გთხოვთ მოგვაკითხოთ მისამართზე: თბილისი გ. ჭყონდიდელის 87 ან დაგვირეკოთ ტელეფონის ნომერზე: 692299.

# ადვოკატის ძირითადი ღირსება - პროფესიული ეთიკა

*მართლმსაჯულებასა და, საერთოდ, სამართალდამცველ სტრუქტურებში დაწყებული რეფორმების შემდეგ, ჯერი ადვოკატურაზეც მიდგა. ადვოკატურის სისტემაში დაახლოებით ორი წლის წინ დაწყებულ "გარდაქმნებს" თავად ადვოკატებისგან დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა, მიუხედავად ამისა, წინააღმდეგობის მთავარი მიზეზი – ადვოკატთა გამოცდების პირველი ეტაპი უკვე ჩატარებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში საადვოკატო რეფორმა დაწყებულია. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ადვოკატთა ეთიკის კოდექსზეც, რომელიც განსახილველად უახლოეს მომავალში პარლამენტში შევა. საკანონმდებლო ორგანოს ადვოკატთა პროფესიულ ეთიკასთან, უნარ-ჩვევებთან, რეპუტაციასთან და ჰონორართან დაკავშირებული საკითხების შესახებ მოუწევს მსჯელობა, რადგან ჯერ კიდევ სადავოა, ვინ არის ადვოკატი და როგორი უნდა იყოს ის.*

*ფაქტია, ადვოკატურის რეფორმირება უმნიშვნელოვანესი პროცესია, რადგან, გარდა პროკურორისა და მოსამართლისა, გამართული მართლმსაჯულების ერთ-ერთი გარანტი, სწორედ კვალიფიციური და ღირსეული ადვოკატია. არადა, ადვოკატების შესახებ ძალზე ხშირად და საკმაოდ სერიოზულ პრეტენზიებს მოისმენთ. ევროსაბჭოსა და ამერიკის იურისტთა ასოციაციის ინიციატივით გუდაურში ჩატარებული სემინარი, რომელიც გუშინ დასრულდა, სწორედ ადვოკატურის რეფორმას ეძღვნებოდა.*

ინგა ალავიძე

დიმა გაბუნია იმ ადვოკატთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც მიიჩნევს, რომ ადვოკატურის რეფორმა აუცილებელია და ადვოკატურა უღირსი და არაპროფესიონალი ადვოკატებისგან უნდა გასუფთავდეს.

**- ადვოკატურის რეფორმის პირველი ეტაპი გამოცდების ჩატარებით დასრულდა და თითქოს ამით მინელდა აქტიურად დაწყებული რეფორმა.**

- უბრალოდ, საზოგადოება არ არის ინფორმირებული, მაგრამ რეფორმა მიმდინარეობს და საკმაო წარმატებითაც. ვმუშაობთ ადვოკატთა ასოციაციის შექმნაზე, რომელმაც ფუნქციონირება მარტში უნდა დაიწყოს. საკმაოდ აქტიურად ვმუშაობთ ადვოკატთა წესდების დახვეწაზე, ეთიკის კოდექსზე. ეთიკის კოდექსის პროექტზე პროფესიონალი ადვოკატები მუშაობენ, ის მალე მზად იქნება და საშუალებას მოგვცემს, არაპროფესიონალ ადვოკატებს საქმიანობა აეკრძალოთ, აღმოფხვრის სხვა სერიოზულ პრობლემებსაც. არადა, ჩვენი საქმიანობა ამჟამად დაურეგულირებელია, ვისაც სურვილი აქვს, ყველა ადვოკატია, შეუძლია გახსნას საადვოკატო ფირმა და იმუშაოს, პროფესიონალიზმზე საუბარიც ზედმეტია. ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ახლაც შეხვედრა გვქონდა გუდაურში, სადაც კიდევ ერთხელ შევაჯერეთ რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები.

**- ალბათ, დამეთანხმებით, ადვოკატის ინსტიტუტი საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს, ადვოკატთა არაპროფესიონალიზმის შესახებ სერიოზულ პრეტენზიებს მოისმენთ, ადვოკატთა უმეტესობა პროკურორსა და მოსამართლეს შორის გამრიგებლის ფუნქციას ასრულებს.**

- გეთანხმებით, სამართალწარმოებაში ეს პრობლემა რეალურად არსებობს. ადვოკატის არაპროფესიონალიზმი გაცილებით უარესია, რადგან მას ადამიანის ბედი აბარია, რომელსაც მისი არაკომპეტენტურობის გამო, სერიოზული დარტყმის ქვეშ აყენებს. არავის არ ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ ფაქტია, ჯერ კიდევ არიან შემორჩენილი ადვოკატები, რომლებიც ქაღალდებს ჭამდნენ, პროცესზე იკეცებოდნენ, ყვირილსა და კივილს იწყებდნენ და კლიენტს ამ მეთოდებით ატყუებდნენ. თუმცა, საბედნიეროდ, მრავლადაა ახალი სტილის ადვოკატები, თაობა, რომელმაც დამკვიდრებული ტრადიცია შეცვალა. სამწუხაროდ, არიან ფულის მიმტანი ადვოკატებიც, მაგრამ მათი გაცხრილვა აუცილებლად მოხდება, ეთიკის კოდექსი ამ პრობლემას გადაჭრის. მე და ჩემმა კოლეგებმა ვიცით, რომ სამართლებრივი გზით უნდა ვიბრძოლოთ და ამისთვის ენერგიასა და ცოდნას არ ვიშურებთ. იცით, ყოფილა შემთხვევა, წამიგია პროცესი, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვყოფილვარ, რადგან მიბრძოლია, ბოლომდე დავხარჯულვარ. ისევე, როგორც უცხოეთის ქვეყნებში, საქართველოშიც უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენ, ადვოკატები პროფესიულ ღირსებას გავუფრთხილდეთ.

**- ყველა განვითარებულ ქვეყანაში პროფესიონალი ადვოკატი ძვირადღირებული ფუფუნებაა, თუმცა, ყველა ქვეყანაში არის ინსტიტუტები, რომლებიც სოციალურად დაუცველთა საადვოკატო მომსახურებაზე ზრუნავენ. სამწუხაროდ, საქართველოში მსგავსი ინსტიტუტი არ არსებობს.**

- ეს ძალზე მნიშვნელოვანი თემაა, ადვოკატთა ასოციაცია ამ საკითხით დაინტერესებულია, მაგრამ მხოლოდ ადვოკატთა ასოციაციის დაინტერესება ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს, თუ ხელისუფლების სურვილი არ იქნება. მსგავსი ინსტიტუტი "ქალაქის ადვოკატისა" იურისტთა ასოციაციის ინიციატივით შეიქმნა, იმ დროს, როცა პოლიციის საკნებში განუკითხაობას ჰქონდა ადგილი, მიდიოდა დაკავებულთა ცემა-წამება. სამწუხაროდ, ამ ინსტიტუტმა ძალზე ცოტა ხანს იმუშავა და მაღალჩინოსან პოლიციელთა ზეწოლის შედეგად დაიბლოკა. პირადად მე ვმუშაობდი მორიგე ადვოკატად და ზუსტად ვიცი, მაშინ რამხელა საქმე გაკეთდა, ძალზე ბევრ ადამიანს გავუწიეთ დახმარება, ისინი, ფაქტობრივად, გადავარჩინეთ. ეს მართლაც საჭირო და აუცილებელი ინსტიტუტია და მთელს მსოფლიოში წარმატებულად მუშაობს, ამიტომაც, ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს სურვილი, რომ მსგავსი ინსტიტუტი შეიქმნას. ძალიან კარგია პატრულის შექმნა, სხვა ახალი, დასავლური ტიპის სამსახურების ჩამოყალიბება, მაგრამ ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ადამიანის უფლებების დაცვაზეც. ანუ, ინსტიტუტი, რომელიც წლების წინ ცოტა ხნით მუშაობდა, უნდა აღდგეს და დაიხვეწოს. სახაზინო ადვოკატის არსებობა იდეის დონეზე არსებობს, მაგრამ ამისთვის საჭიროა სპეციალური კანონი, რომელიც ამ საკითხს დაარეგულირებს. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი პროფესიონალი ადვოკატი სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლებს დიდი სიამოვნებით დაეხმარება.

**- თქვენ პრაქტიკოსი ადვოკატი ხართ და რეალურად გიწევთ შეხება სასამართლო სისტემასთან, რომლის შესახებაც ძალზე კრიტიკულ განცხადებებს მოისმენთ. საინტერესოა, თქვენი, პროფესიონალი ადვოკატის აზრი სასამართლო ხელისუფლებაზე.**

- ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხს განსაზღვრავს ის, თუ რამდენად დამოუკიდებელია სასამართლო ხელისუფლება. დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება კანონის უზენაესობის გარანტია, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოში ასე არ არის, რადგან სწორი და სრულყოფილი სასამართლო რეფორმა არ მომხდარა. რეფორმა 1999-2000 წლიდან დაიწყო, მაგრამ შემდეგ, სამწუხაროდ, ადგილზე გაიყინა. რეფორმირებულ სასამართლოში პირველი ორი წელი იდეალური სიტუაცია იყო, მოსამართლეები საოცარი მონდომებით მუშაობდნენ. ჩვენც, ადვოკატებმაც ამოვისუნთქეთ, ჩვენს სიტყვას ფასი დაედო, მოქალაქეებიც საქმის გასარჩევად ე.წ. კანონიერ ქურდებთან კი აღარ მიდიოდნენ, არამედ სასამართლოში, რომელიც ავტორიტეტული ორგანო გახდა და რომელიც მოქალაქეების უფლებებს ობიექტურად იცავდა. მოგვიანებით, დაიწყო აღმასვლა. ხელისუფლების პოლიტიკური ნება არ არსებობდა და სიტუაციაც შეიცვალა. სამწუხაროა, მაგრამ ახლა ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ. არადა, რეფორმაში უზარმაზარი ფული, ენერგია ჩაიდო და შედეგად, დაკარგული 5 წელი მივიღეთ. ყველამ კარგად ვიცით, რომელი მოსამართლე რისი მაქნისია, არაპროფესიონალებმა უნდა დატოვონ ეს სისტემა და რეფორმაც დაიწყება. მანტია ღირსეულმა, პროფესიონალებმა უნდა ჩაიცვან და არა მანტიას ამოფარებულმა დამნაშავეებმა.

**- კვლავ სერიოზული პრობლემაა დაუხვეწავი კანონმდებლობა, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა სრულყოფილი კოდექსების მიღება, ბუნებრივია, მართლმსაჯულების გაუმართაობას ეს პრობლემაც უწყობს ხელს. ამის შესახებ ძალზე ბევრი ადვოკატი გამოთქვამს პრეტენზიას.**

- კანონების მიღება გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების ლობირებით ხდებოდა, კონკრეტული კანონი კონკრეტულ ჯგუფთა ბიზნესინტერესებზე იყო მორგებული, სწორედ ამიტომაც, კანონმდებლობაში უამრავი ხარვეზია. მეტიც, ზოგიერთი კანონი საერთოდ უვარგისია. მარტივ მაგალითს გეტყვით, დღეს მოქმედებს "შრომის კანონთა კოდექსი", რომელიც 1980 წელსაა მიღებული, "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", დღემდე საბჭოურია, უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ მასზე დეტალურად საუბარი შორს წაგვიყვანს. მოკლედ გეტყვით, რომ დღეს უამრავი ისეთი კანონი მოქმედებს, რომელიც საბჭოთა პერიოდშია მიღებული და, სამწუხაროდ, მათ შეცვლაზე არავინ ზრუნავს. საკანონმდებლო ვაკუუმი სამართალწარმოებაში სერიოზულ ქაოსს ქმნის, ეს ქაოსი განსაკუთრებით სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებშია.

**- თუ შეგიძლიათ დაასახელოთ მოსამართლე, რომელმაც უარი თქვა პოლიტიკურ შეკვეთაზე და საკმაოდ პრინციპულად გამოიტანა ობიექტური გადაწყვეტილება.**

- ძალიან გამიჭირდება ასეთი მოსამართლის გახსენება... თუმცა, მქონდა ძალიან გახმაურებული საქმე საოლქო სასამართლოში. მოსამართლე მარი ჭყონიამ, მიუხედავად დიდი პოლიტიკური ზეწოლისა, სერიოზული პრინციპულობა გამოიჩინა და ობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანა, რასაც კულუარებში დიდი სკანდალი მოჰყვა, მას სერიოზულად "გაურჩიეს საქმე," მაგრამ პრინციპულობისა და ობიექტურობის წყალობით, ის მოსამართლეა და თავის საქმიანობას აგრძელებს. სხვა მსგავსი საქმის დასახელება მიჭირს.




## მოკლედ

### სასამართლომ შეცდომა გამოასწორა

მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ, გუშინ, ფაქტობრივად, აღიარა შეცდომა და შვიდი თვის ორსული, ხათუნა გოლოშვილი წინასწარი სამთვიანი პატიმრობიდან გაათავისუფლა. საქმე ისაა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის შედეგად, გოლოშვილის გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით სასამართლოს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მიმართა.

შეგახსენებთ, რომ 34 წლის ხათუნა გოლოშვილს, 2004 წლის 29 დეკემბერს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ, აღმკვეთი ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მოსამართლე მამუკა სონღულაშვილმა ხათუნა გოლოშვილის ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სათანადო პირობების შექმნაზე პასუხისმგებლობა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს დააკისრა. მიუხედავად ამისა, პატიმარი გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდა და მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა.

სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოების თანახმად, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება, როგორც წესი, 12 კვირაზე მეტი ხნის ორსულის მიმართ არ გამოიყენება. რის საფუძველზეც, სახალხო დამცველმა თბილისის საოლქო სასამართლოს ხათუნა გოლოშვილისათვის პატიმრობის ნაკლებად მკაცრი აღმკვეთი ღონისძიებით შეცვლის თაობაზე რეკომენდაციით მიმართა. აღნიშნული რეკომენდაცია საოლქო სასამართლომ თავის დადგენილებაში არ გაითვალისწინა. შვიდი თვის ფეხმძიმე ქალის გათავისუფლების მოტივად მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში ახლად აღმოჩენილი გარემოება დასახელდა. ახლად აღმოჩენილ გარემოებად კი გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა მოინათლა. **24 საათი**

### საპროცესო შეთანხმება არ შედგა

საპროცესო შეთანხმებების საფუძველზე, ანუ პროკურატუის მიერ დასახელებული თანხის გადახდის შემდეგ თავისუფლებამოპოვებული მაღალჩინოსნების საქმემ მართლმსაჯულებაში გადაინაცვლა. თუმცა, წინასწარი გამოძიებისგან განსხვავებით, როდესაც მოსამართლეები უსიტყვოდ იძლეოდნენ პირის დაპატიმრების სანქციას, საპროცესო შეთანხმებისთვის საბოლოო კანონიერი სახელის დარქმევა, როგორც ჩანს, გაჭირდება. გუშინ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ უარი უთხრა გენერალურ პროკურორს იმ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რომელიც საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების ყოფილ ხელმძღვანელებთან - ლევან ქისტაურთან, იასე ზაუტაშვილთან და საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის ყოფილ მოადგილესთან ლევან კალანდაძესთან და აქციზური მარკების სამსახურის უფროსის ყოფილ მოადგილესთან გიორგი ბეროზაშვილთან საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას ითვალისწინებდა. პროკურატურის მოთხოვნით, სასამართლოს აღნიშნული პიროვნებების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი საქმის არსებითი განხილვის გარეშე უნდა გამოეტანა, რაზეც თანხმობას აცხადებდნენ თავად განსასჯელებიც და მათი დამცველებიც. დასახელებული ყველა პირის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აქციზური მარკების უკანონო გაცემის ფაქტზეა აღძრული, რითაც სახელმწიფომ 900 ათასი ლარი იზარალა. წინასწარი გამოძიებისას სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალი ყველა მათგანმა აანაზღაურა, რის შემდეგ წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდნენ კიდეც. ამავდროულად, პროკურატურა და განსასჯელები, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ბოროტად გამოყენების ფაქტების გამო, დამატებით საჯარიმო თანხების გადახდაზეც შეთანხმდნენ. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის იასე ზაუტაშვილი თანახმა იყო, ერთი წლის განმავლობაში 10 ათასი ლარი გადაეხადა, ხოლო ქისტაური, კალანდაძე და ბერუზაშვილი 1500-ლარიანი ჯარიმის გადახდას თანხმდებოდნენ.

ქისტაური, ზაუტაშვილი, კალანდაძე და ბეროზაშვილი არც ბრალს აღიარებენ და მათი განცხადებით, ისინი არც გამოძიებას დაეხმარებიან სხვა, უფრო მძიმე დანაშაულის გახსნაში. აქედან გამომდინარე, მოსამართლემ ჩათვალა, რომ პროკურატურასა და განსასჯელებს შორის საპროცესო შეთანხმება არ შედგა.

მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება უზენაეს სასამართლოშია შესაძლებელი. **24 საათი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

___

___

___

___

___

___

___

___

___

___

___

**ა ნ კ ე ტ ა**

სახელი, გვარი ..........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ..........

საკონტაქტო ტელეფონი ..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

ცხოვრებისეული ისტორიები

## როგორ გადამარჩინეს ამერიკელებმა

1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმში ამერიკელებმა ჩემი ნახატი იყიდეს.

მახსოვს, იმ დღეს ფანჯრის რაფაზე ვიჯექი და, მიუხედავად ყველაფრისა, ვხატავდი, რადგან წარმოდგენა არ მქონდა, თუ რა უნდა გამეკეთებინა. სიმართლე რომ ვთქვა, თითქოს მზად ვიყავი სიკვდილისთვის, მით უფრო, როცა ვხედავდი ქალაქში მოსიარულე შავ ტანსაცმელში ჩაცმულ მებრძოლებს, რომლებიც ირგვლივ მხოლოდ სიკვდილს თესავდნენ.

სოხუმში მშვიდობის პროსპექტზე ვცხოვრობდი. უცებ ვხედავ: პროსპექტზე არასაბჭოთა - უცხო გარეგნობის ფოტოაპარატიანი ორი მამაკაცი მოსეირნობს. ისინი არც ლოთი მებრძოლები იყვნენ, არც დაქირავებულები. მათ ჩაცმულობაზე ეტყობოდათ, რომ ნამდვილად "დასავლეთელები" იყვნენ.

დავძაბე გონება, მაშინდელი ჩემი ინგლისურის მთელი მარაგი გავიხსენე და ფანჯრიდან ყვირილი დავუწყე. მაინტერესებდა, ვინ იყვნენ, საიდან მოვიდნენ. მათ ქვევიდან მიპასუხეს, რომ ჩემთან სახლში ამოვიდოდნენ. მართლაც ამოვიდნენ.

ამერიკელი ჟურნალისტები აღმოჩნდნენ. მათ ძალიან გაუკვირდათ, რომ მე ამ გაგანია ომის დროს ასე მშვიდად ვიჯექი სახლში და მირჩიეს, სასწრაფოდ დამეტოვებინა სოხუმი. ისინი გაკვირვებულები მეკითხებოდნენ: "აქ რას აკეთებ? თუ შენ ქართველი ხარ, სასწრაფოდ უნდა გაიქცე აქედან."

მაგრამ მე არ ვჩქარობდი. გავატარე ქალაქში, დავეხმარე მათთვის საინტერესო მასალების შეგროვებაში. გამომშვიდობებისას, ერთ-ერთმა ამერიკელმა ჩემგან ნახატიც კი იყიდა. შემდეგ ჩვენ ერთმანეთს დავცილდით.

ამერიკელებთან გამომშვიდობების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გადავწყვიტე ჩემს მეგობრებთან ერთად გულრიფშისკენ წასვლა, რათა იქ გემზე ავსულიყავით, მაგრამ ჩვენი იქ მისვლის დროს გემზე აღწევა უკვე შეუძლებელი იყო, რადგან იქ უკვე აუარებელი ხალხი მოგროვილიყო და, რა თქმა უნდა, ყველა გემზე ასვლას ცდილობდა.

ვუყურებდი გემს - გადარჩენის ბოლო იმედს, გამწარებულ ხალხს, რომელიც ყველანაირი გზების გამოყენებით ცდილობდა გემზე ასვლას და უცებ შევამჩნიე, რომ ვიღაცას ხალხის თავზე ნახატი უჭირავს. ამან ძალიან დამაინტერესა, რადგან იმ გაჭირვებასა და აურზაურში ყველა მხოლოდ ძალიან ძვირფასი და მათთვის ღირებული ნივთის გადარჩენას ცდილობდა. მე, რა თქმა უნდა, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ეს ჩემი ნახატი შეიძლებოდა ყოფილიყო.

ჩემი აზრით, "გადარჩენის ღირსი" შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ რომელიმე რუსი ავანგარდისტის ან ვინმე ძველი მხატვრის ნახატი. მაგრამ სოხუმში, როგორც ნებისმიერ პროვინციულ ქალაქში, ალბათ, მხოლოდ ათიოდე ნახატის მოძიება თუ შეიძლებოდა ისეთის, რომელიც გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენდა. ამიტომ, ძალიან გასაკვირი იყო, რომ ვიღაცა ნახატის გადარჩენას ცდილობდა...

მივუახლოვდი ხალხს, რათა გამერჩია, თუ რა ნახატი გაჰქონდა მის მფლობელს ამ აურზაურიდან და, ჩემდა გასაკვირად, აღმოვაჩინე, რომ ეს ჩემი ნახატი იყო, რომლის გატანასაც ჩემი ნაცნობი ამერიკელი ჟურნალისტი ცდილობდა. ამერიკელმა შემამჩნია და დამიწყო ყვირილი - "Come On! Come On!".

ხალხის ბრბომ, გაიგო რა ინგლისური, გაიწ-გამოიწია. ამან შესაძლებლობა მომცა, გემზე ამეღწია. ამერიკელმა ჩემი ჩანთაც შეაგდო გემბანზე. ასე აღმოვჩნდი სამშვიდობოს და გადავრჩი.

ამისთვის, რა თქმა უნდა, ძალიან მადლიერი ვარ იმ ორი ამერიკელი ჟურნალისტის, რადგან მათ გამომაფხიზლეს, როცა მითხრეს, რომ უნდა დამეტოვებინა სოხუმი.

*რუბრიკას უძღვება*
*ლელა მარგიანი*
*რადიოპროექტი*
*„ცხოვრებისეული ისტორიები“*
*მიმდინარეობს ბრიტანული*
*არასამთავრობო ორგანიზაციის*
*„შერიგების რესურსების“*
*მხარდაჭერით.*
*აუდიოდღიურები მოგვაწოდა*
*რადიოპროგრამა „პოსტფაქტუმმა“.*

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## პერსონაჟი აფხაზეთის ისტორიიდან

ნატალია კვეზერელი-კოპაძე
სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის დოცენტი

*XIX საუკუნეში აფხაზეთში ცხოვრობდა ქართველი მამულიშვილი და სასულიერო მოღვაწე ბართლომე ხარებავა, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია წითელი ტერორი.*
*მის შესახებ მოგვითხრობს მისივე რძალი, ნატალია კვეზერელი-კოპაძე. ქალბატონი ნატალია 91 წლისაა და ამჯერად უკვე საკუთარი საწერი მაგიდიდან აგრძელებს ქვეყნის სამსახურს. მისი ოჯახის წევრები, 300 წელია, თბილისის მოქალაქეები არიან: ხელოსნები, კონიაკის ქარხნის მეპატრონეები, სარაჯიშვილის კომპანიონები თუ ექიმები. თავად ქალბატონი ნატალია ისტორიკოსია, მრავალი წლის განმავლობაში ასწავლიდა სულხან-საბას სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში ძველი მსოფლიოს ისტორიას. არის რამდენიმე სახელმძღვანელოს და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.*



*მამა-შვილი ბართლომე (მარჯვნივ) და ალექსანდრე ხარებავები. თბილისი 1933წ.*

ბართლომე მათეს ძე ხარებავა დაიბადა აჩიგვარაში 1863 წლის 14 მაისს. მამამისი მათე ხარებავა მოქვის მონასტრის მოძღვარი იყო. მისმა ერთადერთმა ვაჟიშვილმა ბართლომემ ოდესის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. შემდეგ მამის სურვილით ჩააბარა გამოცდები სასულიერო აკადემიაში და ილორის ეკლესიის მოძღვარი გახდა. ბართლომეს ცოლად ჰყავდა მღვდლის, გაბისონიას ასული ირინე. ჰყავდა სამი ქალიშვილი: იულია, ქსენია, მანია და ორი ვაჟიშვილი - კოლია და ალექსანდრე.

მათე ხარებავას 12 კილომეტრის მანძილზე გადაჭიმული მუხის ტყე ჰქონია, რომელსაც გარშემო ხის ღობე ერტყა და თხრილი იცავდა. ყოველ ზაფხულს მათე და ბართლომე ამ მუხის ტყეში ასამდე ღორს შერეკდნენ. ღორები ტყეში მრავლდებოდნენ და შემდეგ მათ ჰყიდდნენ. არც მათე და არც ბართლომე თავიანთი მრევლისაგან გასამრჯელოს არ იღებდნენ. წირავდნენ, აქორწინებდნენ, ნათლავდნენ და კრძალავდნენ მიცვალებულებს ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე და ამიტომ ხალხი მათ დიდ პატივს სცემდა.

იმ ხანებში კავკასიაში მძვინვარებდა შამილის საღვთო ომი ქრისტიანების წინააღმდეგ - "ჰაზავათი", რომელიც 1839 წელს დაიწყო და 1859 წლამდე გაგრძელდა. შამილი აფხაზეთის ზღვით დიდ მატერიალურ დახმარებას იღებდა თურქეთიდან და ინგლისიდან. ეს ომი 25 წელი გაგრძელდა. 1859 წელს დაღესტანში, სოფელ ღუნიბში შამილი გარემოცული და ცოლ-შვილიანად დატყვევებული იქნა ამიერკავკასიის მეფის ნაცვლის ბარიატინსკის და გრიგოლ ორბელიანის მიერ. მეფის ბრძანებით, იგი ჯერ კალუგაში ცხოვრობდა, შემდეგ, შამილის თხოვნით, რუსეთის მეფემ ალექსანდრე მეორემ იგი მექაში გაუშვა.

შამილის ომის შემდეგ ჩრდილო კავკასიელმა მაჰმადიანმა მთიელებმა - ჩერქეზებმა, ადიღეელებმა, ბალყარელებმა ქრისტიანული რუსეთის მეფის ქვეშევრდომობა არ ისურვეს. ორასი ათასმა მთიელმა, ცოლ-შვილით, ქონებითა და საქონლით, თურქეთში გადასახლება გადაწყვიტა. ეს კარგად აქვს აღწერილი მოხევე მწერალს ალექსანდრე ყაზბეგს თავის მოთხრობაში "ელისო." ამ გადასახლებას "მოჰაჯირობა" ეწოდებოდა. თურქეთისკენ მიმავალი კავკასიელი მთიელები, როდესაც გზად აფხაზეთის შესანიშნავ ტყეებში და მინდვრებში მოხვდნენ, თურქეთში გადასახლება აღარ მოინდომეს. თურქეთში გადასახლება მხოლოდ ჩერქეზების 20 ათასმა ოჯახმა მოახერხა. თვით თურქებსაც არ უნდოდათ მთიელების გადმოსახლება. მათ ხელს აძლევდათ, რომ კავკასიაში და, კერძოდ, აფხაზეთში თავიანთი ხალხი ჰყოლოდათ. რუსეთის მოხელეებმა აფხაზეთში ცხოვრების მსურველ მთიელებს წაუყენეს პირობები - გაქრისტიანება და შვილების აღზრდა რუსულ ან ქართულ სკოლებში. მათე და ბართლომე ხარებავებმა კარგად იცოდნენ ჩრდილო კავკასიელი მთიელების ენები და, ქადაგების წყალობით, სამურზაყანოში ახლადდასახლებულ მაჰმადიან მთიელთა 60 სოფლის გაქრისტიანება - მონათვლა მოახერხეს. მათი შვილები კი რუსულ და ქართულ სკოლებში შეიყვანეს. აფხაზეთში გადმოსახლებული ჩრდილო კავკასიელი მთიელები იურიდიულად გააფხაზდნენ.

პროფესორი ტროფიმე ხუნდაძე კარგად იცნობდა ბართლომე ხარებავას, მას უდიდეს ქართველ პატრიოტად თვლიდა. ბართლომე ხარებავა იწერდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს და მას ივანე ჯავახიშვილის "ქართველი ერის ისტორიის" პირველი გამოცემაც ჰქონდა. ბართლომე ხარებავას ავტორიტეტი დიდი იყო სამურზაყანოში. რუსი მოხელეები, როდესაც ახლადგაქრისტიანებულ აფხაზებთან უსიამოვნება და დავა ჰქონდათ, მას მიმართავდნენ. მოგეხსენებათ, ბართლომე ხარებავა კარგი იურისტიც იყო და ამიტომ, ყოველგვარ დავას ადვილად აწესრიგებდა.

რუსეთში რევოლუციის შემდეგ განსაკუთრებით ბობოქრობდნენ შავი ზღვის რევოლუციონერი მეზღვაურები. მათი გემი ერთხელ სოხუმსაც მიადგა. ორი წითელი მეზღვაური სოხუმის სანაპიროზე გადმოვიდა. ბულვარზე ამ დროს სეირნობდა რუსეთის მეფის არმიის აფხაზი ოფიცერი ემუხვარი. წითელი მეზღვაურები მასთან მივიდნენ და ერთ-ერთმა მათგანმა ემუხვარს პაგონები ააგლიჯა. ემუხვარმა ეს თავხედი მეზღვაური რევოლვერიდან გასროლით მოკლა. მეზღვაურებმა მოითხოვეს ემუხვარის მათთვის გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალაქისთვის ცეცხლის დაშენით იმუქრებოდნენ. ემუხვარი თავისი ნებით ჩაბარდა წითელ მეზღვაურებს. იგი ცოცხლად დაწვეს.

როდესაც აფხაზეთი გასაბჭოვდა, აფხაზმა კომუნისტებმა ყველა ეკლესია დაკეტეს, ბართლომეს წვერი შეკრიჭეს, ვირზე უკუღმა შესვეს და მთელი სამურზაყანო მოატარეს. აჩიგვარაში სკოლა არ ჰქონდათ, ამიტომ ბართლომე აიძულეს, თავისი რვაოთახიანი სახლი სახელმწიფოსთვის მიეყიდა და იქ სკოლა გახსნეს.

ბართლომემ 2-ოთახიანი სახლი იყიდა თავისი ქალიშვილის, მანიასათვის, რომელიც სკოლაში ასწავლიდა. მანიასთან ერთად საშას აღმზრდელი დარიაც დასახლდა, რომელიც შემდეგ ცოლად გაჰყვა ყოფილ ნაყაჩაღარ კადირ ხუტკუბიას და ორი ვაჟიშვილი გაუჩინა. აჩიგვარის სკოლაში მასწავლებლები არ ჰყავდათ და ამიტომ ბართლომე სკოლაში ქართულ ენასა და გეოგრაფიას ასწავლიდა, მისი ქალიშვილი მანია კი - მათემატიკას. მანიას მოწაფე იყო ცნობილი აკადემიკოსი ილია ვეკუა.

ბართლომეს ადგილობრივი კომუნისტები ხშირად დაუმსახურებლად აყენებდნენ შეურაცხყოფას და ისიც იძულებული გახდა, თავის შვილებთან, ქსენიასთან და საშასთან ერთად, თბილისში წამოსულიყო.

ამის შემდეგ ბართლომე ხარებავამ დიდხანს ველარ იცოცხლა. იგი გარდაიცვალა 1935 წელს, 72 წლისა. დაკრძალულია ვერის ძველ სასაფლაოზე.

## საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სამუშაო გეგმა-პროექტი

*დასამალი არ არის, რომ ამ ეტაპზე ქართული მხარის მიერ აფხაზეთის მომავალი სტატუსის დაკონკრეტება, გარკვეულწილად, ფორმალურ დატვირთვას იძენს, რადგან აფხაზური მხარე კატეგორიულად გამორიცხავს ამ თემაზე რაიმე მოლაპარაკების შესაძლებლობას საქართველოს ხელისუფლებასთან. მეორე მხრივ, ცხადია, დროულია ქართული მხარის მიერ კეთილი ნების გამოხატვა და აფხაზური მხარისა თუ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე აფხაზეთის მომავალი სტატუსის ამსახველი რეალური პროექტის წარმოდგენა, რომელშიც აფხაზეთს მინიჭებული ექნება მაქსიმალურად ფართო უფლებები საქართველოს შემადგენლობაში.*
*ამ საკითხებზე მსჯელობისას ხშირად ახსენებენ ხოლმე ფედერალურ მოდელს და გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციები დაჟინებით იმეორებენ, რომ აუცილებელია ფედერალური ურთიერთობის დამყარება არა მხოლოდ თბილისსა და სოხუმს შორის, არამედ თბილისსა და სხვა რეგიონებს შორისაც.*
*საქართველო იყო და არის უნიტარული სახელმწიფო, მსოფლიო პრაქტიკამ კი არ იცის უნიტარული სახელმწიფოს ფედერირების ანუ დევოლუციური ფედერალიზმის არც ერთი წარმატებული შემთხვევა, გარდა ბელგიისა, თუმცა ცნობილია, რომ ფედერალურმა მოწყობამ ბელგიაში ვერ მოხსნა არსებული პრობლემები და იქ "დუღილის" პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.*
*სახელმწიფოს ფედერალურად რეორგანიზაცია ყოველთვის ნაკარნახევია ობიექტური აუცილებლობით, საქართველოს შემთხვევაში კი ეს იქნება ქვეყნის ძალით ფედერალიზაცია.*
*ხშირად, როდესაც საქართველოს ფედერალურად მოწყობაზე საუბრობენ, პარალელს ავლებენ ისეთ წარმატებულ ფედერაციულ სახელმწიფოებთან, როგორებიცაა აშშ, გფრ და სხვა. ამ შემთხვევაში აღნიშნული სახელმწიფოების მაგალითად მოტანა გაუმართლებელია თუნდაც მათი მასშტაბების გამო. ეს ქვეყნები როგორც მოსახლეობის რაოდენობის, ისე ტერიტორიის სიდიდით მრავალჯერ აღემატება საქართველოს. საპირისპიროდ, ჩვენ ორიენტაცია უნდა ავიღოთ ევროპის შედარებით პატარა ქვეყნებზე, როგორებიცაა, მაგალითად, დანია, ნიდერლანდები და სხვა.*
*ფედერალიზმს აქვს მრავალი უარყოფითი ასპექტი: ფედერალიზმი ართულებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს; შეიცავს პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაქუცმაცების საფრთხეს; იგი რთული სისტემაა და ძალიან "ძვირია". გართულებული ბიუროკრატიული სისტემა კი შეიცავს კორუფციის მეტ ალბათობასაც; აღსანიშნავია, რომ თავისთავად ფედერალიზმს არსად შეუწყვია ხელი დემოკრატიისათვის; ასევე, ცნობილია, რომ ტერიტორიული მოწყობის ფედერალური მოდელი შეიცავს სეპარატისტული ტენდენციების წახალისების ლატენტურ საფრთხეს. ამასთან ერთად, დღეს საქართველოს ფედერალიზაციაზე საუბარი ეწინააღმდეგება თანამედროვე მსოფლიო ტენდენციებს, რაც გულისხმობს მცირე ხელისუფლებას, მცირე ბიუროკრატიას ანუ მცირე კორუფციულ სტრუქტურებს.*
*რაც შეეხება ასიმეტრიულ ფედერალიზმს, იგი ზოგჯერ გამოიყენება ფედერაციის სუბიექტის განზრახვის იურიდიულ ნიღბად გამოვიდეს ფედერაციის შემადგენლობიდან, რისი ალბათობაც საქართველოს პირობებში ძალზედ მაღალია. უნიტარული სახელმწიფოს ფორმა უფრო უწყობს ხელს დასაქმების მაღალი დონის და ფასების სტაბილურობის შენარჩუნებას. ამასთანავე თანამედროვე ეკონომიკა და ბაზარი ითხოვს ცენტრალიზაციას.*
*საქართველოს ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოს მოდელი, რომელშიც მეტი უფლებამოსილება და ფუნქციური დატვირთვა ექნებათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. ასეთ სახელმწიფოში აფხაზეთს მიენიჭება ასოცირებული წევრის სტატუსი ავტონომიის სახით. რაც შეეხება იმას, თუ ავტონომიის მრავალი ფორმიდან (ტერიტორიული, პერსონალური, რეგიონალური ავტონომია და ა.შ.) რომელი იქნეს არჩეული, მისი განსაზღვრა უნდა მოხდეს კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საფუძვლად აღებულ იქნეს დანიის მოდელი (ფარერის კუნძულებისა და გრენლანდიის ავტონომიები) ან ესპანეთის მოდელი (ბასკეთის ავტონომია) ან მათი მოდიფიცირებული ვარიანტი.*
*ჩვენს მიერ წარმოდგენილ გეგმა-პროექტში ნაკლებადაა ყურადღება გამახვილებული აფხაზეთის მომავალ სტატუსზე. ამჟამად, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია დღევანდელი გეოპოლიტიკური რეალობის ამსახველ სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომლის განხორციელების შემთხვევაში რუსულ-აფხაზური მხარე იძულებული გახდება დაიწყოს მოლაპარაკებები საქართველოს ხელისუფლებასთან აფხაზეთის სტატუსის კონკრეტული პუნქტების შესათანხმებლად. ჩვენი პროექტი, არსებითად სწორედ ასეთი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი სამუშაო ვარიანტია. აღსანიშნავია, რომ მასში ჩამოთვლილი ძირითადი მომენტების რეალიზაციისათვის, საწყის ეტაპზე, საკმარისია მხოლოდ ქართული მხარის ინიციატივა, რომელიც დღევანდელი ხელისუფლებისადმი გარე პოლიტიკური ძალების მხარდაჭერის გამო რეალურ შედეგს გამოიღებს.*

შოთა მალაშხია
საქართველოს ქრისტიანულ-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი

### გეგმა-პროექტი

**მსოფლიო საზოგადოება (გაერო, ეუთო და ა.შ.) საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ცნობს 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, რაც განმტკიცებულია 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმითა და იმავე წლის 9 აპრილის აქტით დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ;**

დღესდღეობით აფხაზეთში უშუალო ხელისუფლებას ახორციელებს სეპარატისტული რეჟიმი, რომელიც, ფაქტობრივად, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის იურისდიქციას აღიარებს (აღნიშნულ ტერიტორიაზე მიმოქცევაშია რუსული ფული, საზღვრებს აკონტროლებს რუსეთი, აქ მცხოვრები მოსახლეობის ნახევარზე მეტს რუსეთმა უკვე მიანიჭა თავისი მოქალაქეობა, აქაური სასამართლოების საქმიანობა, ძირითადად, ეფუძნება სსრკ-ის დროინდელ სამართლებრივ აქტებს და ა.შ.);

ქართული მხარე აფხაზეთის ტერიტორიაზე ავტოქტონურ მოსახლეობად ცნობს აფხაზებსა და ქართველებს. ქართული მხარე თანახმაა, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას საქართველოს შემადგენლობაში მიანიჭოს მაქსიმალურად ფართო უფლებები, როგორსაც ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკა ანალოგიურ შემთხვევებში;

ჩვენ მზად ვართ, ვაღიაროთ, რომ ქართული მხარის (ხელისუფლების) მიერ, აფხაზეთის კონფლიქტის მიმდინარეობისას, დაშვებულ იქნა, როგორც იურიდიული, ასევე სამხედრო ხასიათის შეცდომები, მაგრამ იმ დონის დანაშაული, რომელიც საერთაშორისო სამართლის მიხედვით, შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც დანაშაული კაცობრიობის წინაშე, ქართულ მხარეს არ ჩაუდენია. ვგულისხმობთ ეთნოწმენდას, რომელიც სწორედ ქართველების მიმართ განახორციელა არძინბას ხელისუფლებამ;

**კონფლიქტის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულთა სიმძიმიდან გამომდინარე, მოვითხოვთ აფხაზეთთან დაკავშირებით საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნას. ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი:**

**ა) შესაბამისი პროცედურების განხორციელება, რათა ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ დაიწყოს აფხაზეთში ჩადენილ დანაშაულთა გამოძიება.**

დამატება:

საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით საქართველო მიუერთდა რომის კონვენციას, რომლის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ ქვეყნის ხელისუფლება თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან სტატუტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის "c" და "e" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა გამო (სამხედრო დანაშაულები), თუ ეს ქმედებები მიმართულია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. მიუხედავად იმისა, რომ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს უფლებამოსილება მხოლოდ 2002 წლის ივნისის შემდგომ პერიოდზე ვრცელდება, მას შეუძლია დასვას საკითხი, კონფლიქტის დაწყებიდან ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების მიზნით, საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის შესახებ, აგრეთვე თავად მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები იმ დანაშაულებზე, რომელთა ჩადენაც გრძელდება დღემდე.

**ბ) საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააქტიუროს მუშაობა ევროსაბჭოში, რათა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაშიც დაისვას იგივე საკითხი.**

დამატება:

მსგავსი პრეცენდენტი არსებობს - 2003 წლის მარტ-აპრილში დიდი გამოხმაურება მოჰყვა ევროასამბლეის იურიდიული კომისიის წევრის რუდოლფ ბინდიგის ინიციატივას, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტთან დაკავშირებით შექმნილიყო საერთაშორისო ტრიბუნალი. ევროასამბლეამ, რუსეთის აქტიური წინააღმდეგობის მიუხედავად, მხარი დაუჭირა ბინდიგის წინადადებას და შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს. აქ მოსკოვმა მოახერხა აღნიშნული რეკომენდაციის ბლოკირება იმ მოტივით, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტი რუსეთის საშინაო პრობლემაა.

ჩვენ დავუკავშირდით ბატონ ბინდიგს და შევთავაზეთ, რომ ანალოგიური მოთხოვნით გამოსულიყო აფხაზეთთან მიმართებაში. აფხაზეთი არ არის რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილი და აფხაზეთთან დაკავშირებით საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა ვერ იქნება მის საშინაო საქმეებში ჩარევა. აქედან გამომდინარე, მოსკოვს გაუჭირდება ამ ინიციატივის ბლოკირება გაეროში.

არძინბას ხელისუფლების, ან მისი მემკვიდრე სეპარატისტული რეჟიმის მხილება საერთაშორისო სასამართლოს მიერ, ჩვენთვის ხელსაყრელ სამართლებრივ და საინფორმაციო მომენტებთან ერთად, ხელს შეუწყობს ამ რეჟიმისაგან საღად მოაზროვნე აფხაზი საზოგადოების (მათ შორის ამჟამად უცხოეთში მცხოვრები სათვისტომოების) გამიჯვნას, დააჩქარებს აფხაზური მხარის ამ ნაწილის გააქტიურებას და მასთან ფართო დიალოგის დაწყებას.

ქართული მხარის განცხადება, რომ იგი მზადაა საერთაშორისო სასამართლოს (ტრიბუნალს) გადასცეს დანაშაულში მხილებული ნებისმიერი პიროვნება (ვისზეც ხელი მიუწვდება), განურჩევლად მისი ეროვნებისა და თანამდებობისა, ცხადია, უფრო მეტ დამაჯერებლობას შესძენს ჩვენ პოზიციას. თუ გამოძიების შედეგად გამოირკვევა, რომ აფხაზეთის ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ 90-იანი წლების რუსეთის, საქართველოსა და სეპარატისტული სოხუმის უმაღლეს პოლიტიკურ თუ სამხედრო პირებს, ეს კიდევ უფრო დიდ რეზონანსს გამოიწვევს, ხელს შეუწყობს აფხაზეთის პრობლემის აქტუალიზაციას.

თუ საერთაშორისო სასამართლოებთან დაკავშირებით პროცესები ჩვენდა სასიკეთოდ განვითარდა და აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის უარყოფითი როლი გამოიკვეთა, ეს საშუალებას მოგვცემს, უფრო თამამად დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში (მოვითხოვოთ რუსეთისაგან მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება, სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი და ა.შ.). ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს ხელისუფლების მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების შესრულებას - აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთათვის კომპენსაციის გაცემას.

**6. ეთხოვოს ევროკავშირსა და გაეროს, რათა მოხერხდეს კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ჯარების ჩანაცვლება ევროკავშირის სწრაფი რეაგირების კორპუსით;**

დამატება:

2003 წლის ივლისში ევროკავშირის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის კომიტეტი უკვე განიხილავდა ეუთოს მაშინდელი თავმჯდომარის - ჰოლანდიის წინადადებას, რომელიც ითვალისწინებდა მოლდავეთში რუსეთის სამშვიდობო ჯარების ჩანაცვლებას სწორედ ამ სამხედრო შენაერთით.

2004 წლის იანვარში თბილისში ვიზიტისას კი, ხავიერ სოლანა კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე ასეთ განცხადებას აკეთებს: "თუკი გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება იქნება, ევროკავშირი აფხაზეთში სამშვიდობო მისიას განახორციელებს. ჩვენ უკან არ დავიხევთ." (თბილისში ჩამოსულ სოლანას ჩვენ წარვუდგინეთ ზემოხსენებული გეგმა-პროექტი და მისი მკაფიო განცხადება ერთგვარ გამოხმაურებადაც შეიძლება ჩაითვალოს ამ გეგმა-პროექტზე). 2004 წლის დასასრულს ევროკავშირის აღნიშნული სამხედრო ქვედანაყოფი უკვე შეუდგა სამშვიდობო მისიის შესრულებას ბოსნიაში და იქ მთლიანად ჩაენაცვლა NATO-ს ჯარებს.

**7. აფხაზეთის ტერიტორიაზე სრული დემილიტარიზებული ზონის შექმნამდე და იქ კონსტიტუციით განსაზღვრული არჩევნების ჩატარებამდე, შემოღებულ იქნეს გაეროს მმართველობა ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ქართული-აფხაზური შერეული ადმინისტრაცია, რომელიც პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნება (ამ ტერიტორიებზე ხელისუფლება განახორციელოს გაეროს მიერ დანიშნულმა ადმინისტრაციამ და ევროკავშირის ზემოხსენებულმა ქვედანაყოფებმა, მათვე უნდა უზრუნველყონ დევნილთა ეტაპობრივი დაბრუნება);**

დამატება:

რაც შეეხება აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას, მიზანშეწონილი იქნება მისი გადასვლა ზუგდიდში. ეს ხელს შეუწყობს ლოკალური პრობლემების სწრაფ გადაწყვეტას.

პროცესების გამწვავების შემთხვევაში ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ (ან სხვა სტრუქტურამ) შესაძლოა, იტვირთოს წარმმართველი ფუნქცია პრობლემის გადაწყვეტაში. ამ შემთხვევაში მას დაეკისრება კონკრეტულ ამოცანათა გადაჭრა ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება (სამხედრო და ა.შ.) აფხაზეთის ტერიტორიაზე (ერთ-ერთ თეორიულ ვარიანტად, დასაშვებია, განვიხილოთ მისთვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, წინააღმდეგობის ფრონტის სტატუსის მინიჭების საკითხიც, რადგან საერთაშორისო სამართალი ასეთ სუბიექტს ცნობს).

**2004 წლის საგაზაფხულო სესიაზე ეს გეგმა-პროექტი ამავე სახით განხილულ იქნა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში, ხოლო იმავე წლის ზაფხულში - საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას.**

ახალი თუ ძველის გადამღერება



B2

„დინამო„ „ცრვენა ზვეზდით„ იწყებს



B3

სულაქველიძის დარტყმულმა ბურთი დააოვალა



B4

*ინაუგურაცია*

# საინაუგურაციო სტრიპტიზი ჩაცმით



*ინაუგურაციის მთავარი გმირი*





*პრეზიდენტის შვილები*



*ლორა ბუში*

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ზოგჯერ სტრიპტიზი ჩაცმით გაცილებით გარყვნილად გამოიყურება, ვიდრე სტრიპტიზი გახდით. ზოგჯერ ყველაზე შიშველი ის მეფეა, რომელიც თავით ფეხებამდე მოოქროვილ მანტიაშია გახვეული.

გასულ შობამდე ცოტა ხნით ადრე ნიუ იორკელ დიზაინერს დერეკ ლემს თეთრი სახლიდან პრეზიდენტის მდივანმა დაურეკა და აცნობა, რომ მისი ბოსის ერთ-ერთი ქალიშვილი მასთან მისვლას აპირებს. მართლაც მალე ლემის სტუდიაში ბუშის ერთი კი არა, ორი ქალიშვილი გამოცხადდა და თანაც დედის, ამერიკის პირველი ლედის ლორას თანხლებით. ბარბარამ დიზაინერს უთხრა, რომ აპირებს რამე შეიძინოს მამის ინაუგურაციისთვის. დიდი ხნის შერჩევისა და განსჯის შემდეგ ბარბარამ შეიძინა ბლუზი ჰალსტუხით, თეთრი ქვედა კაბა და ქაშმირის პალტო, რომლის ანალოგი, ოღონდ ბამბის ქსოვილით, უნივერმაღებში 2 150 დოლარი ღირს. რამდენი გადაიხადა ბარბარამ ქაშმირისაში, ლემის სახლის მენეჯერმა რეპორტიორებს არ გაუმხილა.

ბუში-მამის, მეტიც, თავად უმცროსი ბუშის პირველი ინაუგურაციისგან განსხვავებით, ამ უკანასკნელმა ინაუგურაციამ მაღალ მოდაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ყველა მიწვეული ცდილობს, ერთმანეთს აჯობოს, მით უმეტეს, რომ ინაუგურაცია ჩაფიქრებულია, როგორც ვალპურგის ღამე, ოღონდ 40 მილიონ დოლარად ღირებული, რაც არც კი დაესიზმრებოდა ორიგინალური ვალპურგის ღამის მომწყობს - მეფისტოფელს, რომელიც მღეროდა: "ადამიანები იხოცებიან ლითონის გულისთვის". რასაკვირველია, ეს ლითონი ოქროა.

და აი, ამერიკის პირველი ოჯახი და მისი მრავალრიცხოვანი სტუმრები აპირებენ, საინაუგურაციო დღესასწაულზე უკანასკნელ მოდაზე იყვნენ ჩაცმული. როგორც ვაშინგტონის ერთ-ერთი ყველაზე ფეშენებელური ბუტიკის "საკე-ჟანდელის" მენეჯერი იტყობინება, მათ მაღაზიის ტრადიციული ასორტიმენტი - ფორმალური ცერემონიებისთვის განკუთვნილი მკაცრი სტილის კაბები - უფრო მოდური, თვალშისაცემი, გამომწვევი, შეიძლება ითქვას, ჯონ გალიანოსა და ზეკ პოზერის ჰიპური კაბებით შეავსეს. ბუშის მამაპაპისეულ შორეულ ტეხასურ ჰიუსტონში, მოდელების სახლმა "ელიზაბეთ ენტონიმ" უკვე 25 ტუალეტი მიჰყიდა იმ ტეხასელ ქალბატონებს, რომლებიც ვაშინგტონში ინაუგურაციაზე აპირებენ გამგზავრებას (ბუშის პირველი ინაუგურაციისას მხოლოდ 12 კაბა გაიყიდა).

ხშირად პრეზიდენტის ინაუგურაციას "ოსკარების" გადაცემის ცერემონიას ადარებენ ხოლმე. ეს შედარება მეტად ნიშანდობლივია, თუმცა არცთუ მართებული. როგორც წესი, დიზაინერები, რომლებიც საკუთარ ქმნილებებს ნიკოლ კიდმანს ან კამერონ დიასს აცმევენ, მათ ფულს არ ახდევინებენ. ტუალეტები ვარსკვლავებს რჩებათ, სანაცვლოდ დიზაინერები აღიარებას იღებენ და ყველა კმაყოფილია. მათთვის, სამწუხაროდ, ვაშინგტონის ფედერალური ისტებლიშმენტი დიზაინერთა ასეთი გულუხვობით ვერ სარგებლობს. ამას ეთიკური ქცევის ის ფედერალური წესები უკრძალავთ, რომელსაც კანონის ძალა აქვს. ამ წესების თანახმად, მინისტრებსა და სხვა ადმინისტრაციულ პირებს არათუ საჩუქრის მიღების, არამედ შეღავათზე დათანხმების უფლებაც კი არა აქვთ. ამ თვალსაზრისით პრეზიდენტის ოჯახი გამონაკლისია. მათ აქვთ საჩუქრის მიღების უფლება, თუ საჩუქრის გამღებს არ სურს, სანაცვლოდ გავლენა მოახდინოს "ოფიციალური აქტის განხორციელებაზე" და თუ ეს საჩუქარი გამოხატავს მხოლოდ და მხოლოდ პატივისცემას უმაღლესი პირისა და მისი ახლობლების მიმართ.

ეთიკის წესები უკრძალავს ყველა სახელისუფლებო ჩინოვნიკს და ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრეზიდენტსაც, რამენაირად გამოხატონ კეთილგანწყობა დამსაჩუქრებლის მიმართ. ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორის კეტლინ კლარკის განმარტებით, იმ ფაქტმა, რომ პრეზიდენტის ოჯახმა ლემს მიმართა და ცნობა, რომ მის ბუტიკს ესტუმრება, შესაძლოა, გარკვეული გაუგებრობა შექმნას, კერძოდ, ეს მიმართვა გაგებულ იქნას, როგორც მინიშნება საჩუქარზე ან დიდ ფასდაკლებაზე. თეთრი სახლის წარმომადგენლებმა ამ პრობლემის კომენტარზე უარი განაცხადეს. გაზეთი "უოლ-სტრიტ ჯორნელი", რომლის რეპორტიორმაც პროფესორს დახმარებისთვის მიმართა, წერს: **"ინაუგურაციის გადაყვანა მაღალი მოდის სიჩქარეზე უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ბუშის ოჯახის იმიჯის შეცვლაზე მეტყველებს. 1981 წლიდან პირველად, პრეზიდენტის ინაუგურაციაში მონაწილე მისი ტყუპი ქალიშვილები ასაკით 20 წელს გადაცილებულნი არიან"** (1981 წელს პრეზიდენტ რეიგანის ინაუგურაციაში მონაწილეობას იღებდა მისი 28 წლის ქალიშვილი პეტი დევისი - მ.ს.). სწორედ ამიტომ, მოდების ჟურნალ "ვოგის" იანვრის ნომერში გამოქვეყნდა რეკომენდაციები "ბუშის ქალებისთვის", რომელ დიზაინერთან ჩაიცვან მათ ინაუგურაციის ცერემონიისთვის. 2001 წელს "ვოგს" "ტეხასელი ქალებისთვის" ასეთი რეკომენდაციები არ მიუცია.

მას შემდეგ მომხდარი ცვლილებები ვაშინგტონის ისტებლიშმენტსაც ახარებს და დიზაინერებსაც. როგორც იქნა, მათ ქუჩაზეც მოვიდა გაზაფხული. "ყველაფერი დაიწყო ცნობილი ადამიანებით, მერე მაღალი საზოგადოებაც ჩაერთო, ახლა კი პოლიტიკის სამყაროც", - ამბობს დიზაინერი რობერტ დეეტისი.

წარსულში ამერიკის პირველი ქალბატონები რომელიმე კონკრეტულ დიზაინერთან "მუშაობდნენ" და საკმაოდ ხშირად შეკვეთილ "უსხეულო" კაბებს საჩუქრადაც იღებდნენ. ახლა კი ამერიკის პირველი ლედი ლორა საკუთარი გარდერობის საფასურს, მართალია, იხდის, მაგრამ უცნობია, მთლიანად თუ არა. ეს სახელმწიფო საიდუმლოა. ამერიკის მშენებლობის მინისტრის მეუღლემ პირველი ლედის მაგალითს მიბაძა და თავად გადაუხადა ფული მონრეალელ დიზაინერს ფარჩისგან შეკერილ "ლითონის კოსტიუმში". და ისიც უარს ამბობს კოსტიუმის ფასის დასახელებაზე. სამაგიეროდ, მინისტრის მეუღლე ამხელს, რომ საინაუგურაციო მეჯლისზე გამოცხადდება ფარჩის აბჯარში დევიზით "სმოკინგები და კოვბოის ჩექმები".

თუ სამთავრობო ჩინოვნიკებს ეკრძალებათ "ვინმეს მიეყიდონ", დიზაინერებს ეს თავად ღმერთმა უბრძანა. ნემსისა და ძაფის რაინდებმა რესპუბლიკელებზე იერიში მიიტანეს ჯერ კიდევ ზაფხულში, როცა ისინი ნაციონალურ ყრილობას ამერიკის მოდის დედაქალაქში, ნიუ იორკში ატარებდნენ. სწორედ ამ დროს მოდელად მომუშავე ბიძაშვილის ლორენის წყალობით გაიცნო ბუშის ქალიშვილები დიზაინერმა რებეკა ტეილორმა და თავის მაღაზიაშიც გაასეირნა, თანაც, განსაკუთრებულ დღეს, სამშაბათს, როდესაც მაღაზია სხვებისთვის დაკეტილი გახლდათ. ბუშის ქალიშვილები მაღაზიაში მეგობრებთან ერთად მივიდნენ და, თავად ტეილორის სიტყვებით თუ ვიტყვით, "შოპინგი გააჩაღეს". ამერიკის პირველი ქალიშვილები თურმე მკაცრად ითხოვდნენ, რომ შენაძენის საფასური მთლიანად გადაეხადათ. მაგრამ მაინც "მოახერხეს მათი დათანხმება", არც მეტი, არც ნაკლები, 70-პროცენტიან ფასდაკლებაზე. მიუხედავად ამისა, ტეილორი კმაყოფილი გახლდათ - პირველი ქალიშვილები მის ტუალეტებში გაზეთ "ნიუ იორკ პოსტისა" და ჟურნალ "პიპლის" ფურცლებზე გამოჩნდნენ. სწორედ ეს იყო საჭირო.



*"რებეკა ტეილორი"*





*დერეკ ლემის მოდელი*

დიზაინერების თქმით, შეუძლებელია ზუსტად გამოთვალო ის გავლენა, რასაც მათ ბიზნესზე პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელი კლიენტურა ახდენს. მაგრამ ითვლება, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანია მათი ბრენდის მარკეტინგისა და ახალი კლიენტურის მოსაზიდად. საინაუგურაციო ცერემონიები კი, იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისოა, აძლიერებს პოლიტიკური ელიტის გავლენას მოდაზე.

**"ინაუგურაცია ბრენდების პოპულარიზაციას უწყობს ხელს,** - ამბობს ლემის სახლის მთავარი მენეჯერი შლოტმანი, - **ჩვენ გლობალური ბრენდის შექმნა გვსურს და ინაუგურაცია ამისთვის შესანიშნავი შანსია"**.

ამერიკის ტრანსპორტის მინისტრის ნორმან მინეტას 50 წლის მეუღლე დემი მინეტა ყვება, რომ ბუში-ვაჟის პირველი ინაუგურაციის დროს მას "უღიმღამო, ნაცრისფერი კაბა ეცვა", ახლა კი პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების ცერემონიისთვის ვარდისფერი კაბა აირჩია და ასევე ვარდისფერი ბისერით გაწყობილი მხრებმოშიშვლებული კაბა - მეჯლისისთვის. ეს მისი მხრიდან არა მხოლოდ ესთეტიკური, არამედ პოლიტიკური არჩევანიცაა. ამჟამად ბუშის ადმინისტრაციის პერსპექტივა ნაცრისფერი კი არა, ვარდისფერია.

მინესოტადან რესპუბლიკელი სენატორის ნორმ კოულმენის მეუღლემ ლური კოულმენმა კი, საერთო აზრის თანახმად, არაპატრიოტული საქციელი ჩაიდინა. მან უარი თქვა თანამემამულე დიზაინერების მომსახურებაზე და საინაუგურაციო მეჯლისებზე პარიზის ბუტიკში - "პრადიში" შეძენილი შიფონის კაბით გამოცხადდება (გადახდით კი, კაბის საფასური სრულად გადაიხადა).

პრეზიდენტის ინაუგურაცია - ეს პოლიტიკური და მოდის ამაოების ბაზარია. ბუშის პირველი ინაუგურაცია შედარებით თავმდაბლური იყო, რადგან არჩევნებში მისი გამარჯვება არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებოდა და სკანდალიც ახლდა თან. ახლა მან დამაჯერებლად გაიმარჯვა და სურს, "გამარჯვებულთა ნადიმი" გამართოს. მაგრამ "გამარჯვებულთა ნადიმისთვის" დრო არც ისე ხელსაყრელია. ერაყსა და ავღანეთში თითქმის ყოველდღე ხოცავენ ამერიკელ ჯარისკაცებს, რომელთა დედები, დები, ცოლები ძაძებს დიზაინერებს არ უკვეთავენ. ინდოეთის ოკეანიდან მოვარდნილმა ცუნამიმ 200 ათასზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა და მილიონზე მეტი ობლად დატოვა. როგორც ჩანს, შავი ჭირის დროს ნადიმის გამო უხერხულობის გრძნობის გამო სცადა პირველმა ლედიმ ლორამ მისი უადგილო პომპეზურობის დაცვა. თეთრი სახლის გეოგრაფიული რუკების ოთახში მიცემულ ინტერვიუში მან თქვა: **"ინაუგურაციები ჩვენი ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს ჩვენი ხელისუფლების რიტუალია. და მე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ყოველ ჯერზე ინაუგურაციის ჩატარება. ის სასარგებლოა როგორც ვაშინგტონის ეკონომიკისთვის, ისე ჩვენი ქვეყნის ხალხისთვის. ის ავსებს სასტუმროებს, ის ავსებს რესტორნებს. ის სამუშაოს აძლევს მომწოდებლებს. და ეს ყველაფერი, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია"**.

ინაუგურაციის პროზის დასასრულს პირველი ლედი საინაუგურაციო პოეზიას დაუბრუნდა. **"ინაუგურაციას სიმბოლური ასპექტი აქვს, ამიტომაც არასოდეს გვსურდა მისი გაუქმება",** - განაცხადა ლორამ და საზოგადოებრივი დატვირთვიდან კერძოზე გადავიდა. მან რეპორტიორებს ამცნო, რომ ინაუგურაციისთვის ყველაფერი მზად აქვს. მართალია, დაამატა: **"ყველა ახალი კაბა ჯერ თეთრ სახლში არ მოუტანიათ, მაგრამ საბოლოო მოზომვები უკვე დამთავრებულიაო"**. იხარე, ამერიკავ!

პრეზიდენტი მეუღლეზე უფრო თვითკრიტიკული აღმოჩნდა. ის ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ გული სწყდება იმ ორ გახმაურებულ ფრაზაზე, რომელიც პირველი ვადით პრეზიდენტობის დროს თქვა. პირველია: **"მოიტათ, ერთი, ტერორისტები!"** მეორე - დანაპირები, რომ ოსამა ბინ ლადენს ცოცხალს ან მკვდარს დაიჭერდა. **"მოიტათ, ერთი" ცოტა უხეშად ჟღერდა,** - თქვა ბუშმა, - **მეორე კი არც მაინცდამაინც დიპლომატიურ ენაზე იყო ნათქვამი".** ესეც თქვენ! როდიდან გახდა მისტერ ბუში ასეთი მგრძნობიარე ტერორისტებისა და მათი თავკაცის მიმართ?! სხვა საქმეა, რომ დანაპირები ვერ შეასრულა - ბინ ლადენი ცოცხალიცაა და თავისუფალიც, ტერორისტები კი კერძი არ არის, რომ მოგართვან.

მიუხედავად ამისა, ინაუგურაციისთვის მზადება სრული სვლით მიდის. ჯენტლმენები მტვერსა და ნაფტალინს ფერთხავენ გამოუყენებლობისგან მოწყენილ სმოკინგებს, ქალბატონები კი დიზაინერებს ევედრებიან: **"მოიტათ ახალი კაბები! ეს თქვენთვის და ჩვენთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია!"**

პრობლემა

# ახალი თუ ძველის გადამღერება

## თანამედროვე თეატრი - ექსცენტრიკა და ეფექტები

სოფო კილასონია

როგორც თეატრის ყველა მოყვარული, 14 იანვარს რატომღაც ყოველთვის საგანგებოდ ველი, მაგრამ სათანადო მიზეზი არასდროს მაქვს. ამჯერად ეს დღე ნამდვილად დამამახსოვრდა, თუმცა, არა იმდენად თეატრალების, რამდენადაც ჩვენი ტელევიზიებისა და მათი ჟურნალისტების დამსახურებით. მაშინ, როცა ქვეყნის მთავრობამ ლიკანსა და ბაკურიანში მოაწყო სამუშაო არდადეგები, მთავარი სასაუბრო თემა "საქართველოს თეატრალური საზოგადოების" შემოქმედებითი კავშირის და ახლად შექმნილი თეატრალთა გილდიის ჯერ დაპირისპირება, შემდეგ კი მისი არარსებობის თემა გახდა ყველაზე საინტერესო და საჭირბოროტო. ვინ, სად და როგორ აღნიშნავდა ქართული პროფესიული თეატრის აღდგენის საზეიმო თარიღს. "ის ბათუმში წასულა, ის კი - გორში." - დაახლოებით ასეთი შინაარსის მატარებელი სიუჟეტები და ფრაზები: "ეს არ არის პარალელური ორგანიზაცია, ეს გილდიაა, სადაც..." და ა.შ. შესაძლოა, ვცოდავ, მაგრამ მაინც ღიმილის მომგვრელად მეჩვენება ეს ყოველივე. როგორც ყოველთვის, მედიის დაძახება, გეგმებისა და მომხიბვლელი იდეების პრეზენტაცია, ირიბი საუბარი "იმ ძველზე, რაც იყო" და საკუთარი უპირატესობის აფიშირება - ეს ყოველივე სიახლედ არ მომჩვენებია. ყველაფერი კარგი, თუმცა, რა იქნება შემდეგ? ვწუხვარ, მაგრამ, ვფიქრობ, არაფერი განსაკუთრებული, დაჯილდოებებისა და "საუკეთესოთა" ალიარების გარდა. რა სჯობია იმას, რომ ახალი იდეები ებადებათ ხელოვანებს და რაღაცრაღაცებს გეგმავენ? - არაფერი, თუმცა, რატომღაც სტერეოტიპებს ვერ სცილდებიან და ისევ კავშირებს, გაერთიანებებს ქმნიან და მათ პრეზენტაციებს აწყობენ. არადა, ყველას, ვინც ამ ინიციატივით ეკრანზე ჩნდებოდა (ისინი კი, ძირითადად, რეჟისორები იყვნენ), თავიანთი თეატრები და სცენები აქვთ, ანუ ყველაფერი იმისთვის, რათა საკუთარი სურვილი, გეგმა, იდეა უპრობლემოდ განახორციელონ და თანამოაზრე მსახიობებიც დააკავონ. მაშ, რა ხდება? რა სურთ მათ ისეთი, რის გატანასაც საკუთარ სცენებზე უცქალავენ? რა არის მთავარი - გაერთიანება, ამ კავშირის წევრთა მრავალრიცხოვნობა, თუ მართლაც ახალი ან, უბრალოდ, საინტერესო თეატრალური პროექტები? იბადება კითხვა, რომელზეც პასუხის გასაცემად გარჯა ნამდვილად სასაცილოა. პროექტებს და სირთულეებს ჯერ თავი დავანებოთ და სპექტაკლებს დავჯერდეთ.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ თეატრის დღე ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, სასცენო ხელოვნებასთან, სპექტაკლთან ასოცირდება და არა თეატრალთა დაპირისპირებასთან და რეჟისორთა და მსახიობთა ამბიციებთან. კარგი და "ახალი" სპექტაკლია ის, რაც მათგან, როგორც რიგით მაყურებელს მჭირდება. სად არის ისინი? ბევრი შემედავება და იმ კერძო თეატრებზე მიმითითებს, რომლებიც დღესდღეობით ფუნქციონირებს. მეც მანდ ვარ. ამ ბოლო დროს მეც მანდ დავდივარ, სწორედ იქ, სადაც თავის დროზე ალტერნატიულ თეატრალურ სივრცეს გვპირდებოდნენ. გავიმეორებ - "თეატრალურს", რაც ზოგიერთისთვის ჯერ კიდევ ხელოვნებას ნიშნავს და არა მხოლოდ კომერციული მიზნების დასაკმაყოფილებლად და მასის გამხიარულებისთვის განხორციელებულ წარმოდგენას.

ამ წერილის მიზანი არც უკვე ჩავლილი 14 იანვარი-თეატრის დღეა და არც თეატრალურ სივრცეში ვითომ თუ მართლაც არსებული განხეთქილების ანალიზი.

ყველაფერი უფრო მარტივადაა. საქმე ის არის, რომ რამდენიმე ხნის წინ სამეფო უბნის თეატრში მაყურებელმა გოგა თავაძის მიერ რუსთავის თეატრისთვის დადგმული სპექტაკლი, ლაშა ბუღაძის "თეატრი" იხილა. სპექტაკლის ნახვისა და პიესის წაკითხვის შემდეგ (რომელშიც სხვა მოვლენების პარალელურად, თანამედროვე ქართველი რეჟისორის სპექტაკლზე მუშაობის პროცესი ამ ავტორისთვის ჩვეული კომიზმითაა აღწერილი), ერთი მეტად ზოგადი და, შესაძლოა, ზედაპირული კითხვა დამებადა: მაინც რა ხდება თანამედროვე ქართულ თეატრში? მეჩვენება, თუ მართლაც მხოლოდ თემატიკა იცვლება, ხოლო პრობლემატიკა (თუ არის ეს უკანასკნელი სპექტაკლში საერთოდ დანახული), თეატრალური ფორმა და ხერხები კი ისევ ძველია? ამის გასარკვევად თეატრმცოდნეებს, სწორედ იმ პროფესიის ადამიანებს მივმართე, რომელთა აზრსაც დღევანდელი ყველაზე აქტიურად მომუშავე რეჟისორები და მსახიობები იშვიათად ითვალისწინებენ და რის აფიშირებასაც საკმაოდ ხშირად თამამად და ამაყადაც ახდენენ.

**"თანამედროვე ქართულ თეატრში ზუსტად იგივე ხდება, რაც ხდება ჩვენს სინამდვილეში საერთოდ. თეატრი ყოველთვის იმ რეალობის ამსახველი იყო, რომელშიც უწევდა მას ცხოვრება. ამაშია თეატრისა და ხელოვნების სხვა დარგების დროსთან მიმართება. იგი ერთგვარად ეკლექტურია და გარკვეულ კრიზისშიც იმყოფება. კრიზისში - უპირველეს ყოვლისა, შემოქმედებითი ძიებების თვალსაზრისით. ეს მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, მაგრამ კრიზისი აშკარად არის როგორც შემოქმედებითი ფანტაზიის, ისე იმ პრობლემატიკის მოძიების მხრივ, რომელიც სცენაზე პოულობს ასახვას. ეს ასეა, იმის მიუხედავად, რომ ძალიან მრავალფეროვანია რეპერტუარი, დგამენ როგორც თანამედროვე დასავლეთევროპულ პიესებს, ისე თანამედროვე ქართულ ნაწარმოებებს, სხვადასხვა სახის ინსცენირებებს, მიმართავენ კლასიკოსებს და, რაც მთავარია, დგამს ძალიან ბევრი ადამიანი"** - მიპასუხა საუბრის დასაწყისში ჩემმა მთავარმა მოსაუბრემ გოგა ჩართოლანმა.

შეიქმნა მრავალი ახალი სახელოვნებო სასწავლებელი, რომლებიც რეჟისორებსა და მსახიობებს ზრდის. მათთვის იოლად იღება თბილისში მომრავლებული პატარა, კერძო თეატრების კარი. იქ, სადაც, შესაძლოა, ხშირად დადიან ახალგაზრდები, მით უფრო, მაშინ, როცა აკადემიური თეატრები დახურულია, მთავარი სპექტაკლების შემოსავლიანობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ადგილი თეატრის რეპერტუარში ვერ მოიძებნება. ის, რომ ეს თეატრები მსურველს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას აძლევს, ძალიან კარგია, მაგრამ რა მიიღო მაყურებელმა საბოლოოდ ერთ დროს ალტერნატიულად წოდებული ამ კერძო თეატრების სახით და რას წარმოადგენენ ისინი საერთო თეატრალურ სივრცეში?

**"შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართველი მაყურებლის გემოვნების ფორმირებას ეს ახალი თეატრები 5-7 წლის წინ უფრო ახდენდნენ, ვიდრე დღეს. მაგალითისთვის, ადრე იყო სარდაფის თეატრი, რომელსაც ჰყავდა ჯგუფი და ეს ჯგუფი აყალიბებდა თავისი თაობის მაყურებლის გემოვნებას. დღეს იმ სარდაფის თეატრშიც იმდენი სპექტაკლი იდგმება იმდენი რეჟისორის მიერ, რომ ამ თეატრის სახე, მიმართულება, მისი ესთეტიკა არ არის გამოკვეთილი. დღესდღეობით ეს არის ის სივრცე, სადაც ბევრ რეჟისორსა და მსახიობს ეძლევა საშუალება, თავისი შემოქმედება წარმოადგინოს. ეს განსაკუთრებით ეხება რუსთაველის გამზირზე არსებულ სცენას და, ამდენად, მის ზოგად ესთეტიკაზე საუბარი სრულიად ზედმეტია. ეს არის დასავლური ორიენტაციის თეატრი და არა პოსტსაბჭოური ტიპისა, სადაც თეატრს გარკვეული სახე ჰქონდა. პრინციპში, ეს არის ადგილი წარმოდგენის გასამართავად. ამიტომ საუბარი იმაზე, თუ როგორ ტენდენციებს წარმოაჩენენ ეს თეატრები, ძალიან ძნელია. თანამედროვე თეატრები პირველ რიგში მუშაობენ კომერციული თვალსაზრისით, მომგებიანი პროექტების განხორციელებაზე. ამიტომ უმეტეს შემთხვევაში უკანა პლანზე გადადის შემოქმედებითი მხარე და მისი მხატვრული ღირებულება. სურათი ძალიან ჭრელია. ძირითადად, მუშაობენ კერძო თეატრები. მაყურებელი მიდის ამ თეატრებში და მე ვერ ვიტყვი, რომ მისი იქ მისვლის შემდეგ ზუსტად აქვს გათვლილი, თუ როგორ თეატრალურ გარემოში მოხვდა. ის მიდის კონკრეტულ სპექტაკლზე და არა თეატრში. მარჯანიშვილის თეატრის მაყურებელმა ყოველთვის იცოდა, რას მიიღებდა, როგორ სტილისტიკასა და ესთეტიკას შეხვდებოდა. ისინი მიდიოდნენ არა მარტო წარმოდგენებზე, არამედ თეატრებში, იმ თეატრალური ესთეტიკის შესაგრძნობად და მათი სათქმელის გასაგონად. სტურუას, ჩხეიძეს, თუმანიშვილს ჰქონდათ ერთი სპექტაკლიდან მეორეში გარდამავალი პრობლემატიკა, ჯაჭვი, რაც თეატრის სახეს ქმნიდა. ერთი თეატრი ერთი გარკვეული იდეის პროპაგანდას ეწეოდა, მეორე - მეორისას. მე მათი ესთეტიკისა და ხელწერის სანახავად დავდიოდი. დღეს თავისუფალ თეატრში (თუ სხვა ნებისმიერში - ასეთი ბევრია) მაყურებელი მიდის კონკრეტული სპექტაკლის სანახავად და არა თეატრში, რათა ნახოს, მაგალითად, სარდაფის "აზროვნება". თეატრმა ასეთი სახე დაკარგა. ადრე იყო სარეპერტუარო პოლიტიკა, რაც ძალიან კარგი იყო თეატრებისთვის. არ შეიძლებოდა იგი ეკლექტიკური ყოფილიყო, მას სახე უნდა ჰქონოდა. ახალი თეატრები დასავლური ხასიათისაა."**

ჩემი მოსაუბრე დამეთანხმა იმაში, რომ "დასავლური" ამ ბოლო დროს კარგთან, მოწინავესთან და პროგრესულთან ასოცირდება და ამიტომაც განმიმარტა: **"დასავლური - ეს მოდელია, კარგია ის თუ ცუდი, სხვა საქმეა. მოდელის ხარისხს განსაზღვრავს პერსონალი; ადამიანი, ვინც ამ მოდელში მუშაობს. ისინი რომ აკადემიურ თეატრში გადაიყვანოთ, ვერაფერს გააკეთებენ. დღეს სპექტაკლს მაკონტროლებელი არ ჰყავს. ის მხოლოდ საკუთარ შემოქმედებით პოტენციალზეა დამოკიდებული. ეს შემოქმედებითი პოტენციალი კი ძალიან მწირია. ესაა მთავარი. უბრალოდ, საქმე ის გახლავთ, რომ ნებისმიერ სივრცეში ნიჭიერი ადამიანი გააკეთებს ნიჭიერ სპექტაკლს. დღეს არის სერიოზული დეფიციტი ქართულ რეჟისორულ და სამსახიობო აზროვნებაში."**

ნუთუ "ახალი" სპექტაკლი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ უწინ ტაბუდადებულ თემებზე ახლა სცენიდან თამამად ისაუბრონ, ან სიშიშვლე გვიჩვენონ და ამით გაგვაკვირვონ? რამდენიმე წლის წინ, შესაძლოა, ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ, მგონი, "გავიზარდეთ", თანაც, კიდევ მრავალი პრობლემაა გასარკვევი თუ გადასაწყვეტი: მსახიობთა მეტყველების კულტურა, რატომღაც ყვირილით წაკითხული დიალოგები და მეტიც, ხშირად "ამოუკითხავი" დრამატურგიული ნაწარმოებები. რატომ ვიღებთ თითქმის ყოველთვის ერთნაირი ეფექტებით "გამდიდრებულ" წარმოდგენას? რასთან გვაქვს საქმე? შემოქმედებითი პოტენციალის უქონლობასთან თუ **"საერთოდ დაიკარგა სამსახიობო ნიჭი?"** სწორედ ეს კითხვა დასვა გოგა ჩართოლანმა და თავადვე გასცა პასუხი: **"არა, დაიკარგა სკოლა. მსახიობობა მარტო ნიჭი ხომ არაა. ბევრ ნიჭიერ მსახიობს ვხედავ სცენაზე, მაგრამ მათ სცენაზე მოქცევის ელემენტარული კულტურა არა აქვთ, არ იციან მიზანსცენირება, რეჟისორებმა არ იციან, როგორ ააგონ სპექტაკლი და ა.შ. მათ განათლება სჭირდებათ. დღეს ქართველი რეჟისორების დიდი ნაწილი, უბრალოდ, გაუნათლებელია. ანდა, თუ განათლებულია, არა აქვს შემოქმედებითი ფანტაზია, ან, უბრალოდ, არ არის განვითარებული. ამიტომ საქმე გვაქვს სერიოზულ დეფიციტთან მხატვრულ-შემოქმედებითი თვალსაზრისით. ამას ბევრი ფაქტორი განაპირობებს, თუმცა, უმთავრესად ის რომ, არ არის სრულყოფილი სკოლა, სასწავლებლებიდან არ გამოდიან პროფესიონალი რეჟისორები და მსახიობები. ამიტომაა აქცენტები ექსცენტრიკაზე, გარეგნულ ეფექტებზე, რათა "შეინარჩუნონ სპექტაკლი".**

აბა, როგორი უნდა იყოს თანამედროვე დადგმა? - იკითხავს ბევრი: **"თანამედროვე სპექტაკლი უნდა იყოს ისეთი, როგორიც არის თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნა იმ პრობლემის განხილვასა და მსჯელობაზე, რასაც სთავაზობენ სცენიდან. ეს არის ყველაზე მთავარი. თუ დგამ კლასიკურ რეპერტუარს, ზუსტად უნდა იცოდე, რატომ ირჩევ მას. უბრალოდ, მოგინდა მისი დადგმა, თუ ამ პიესაში დაინახე ის აუცილებელი სათქმელი, რომელიც დღევანდელ მაყურებელს სჭირდება. თუ დგამ თანამედროვე დრამატურგიას, რომელიც მრავალ ფაქტორს თავადვე განაპირობებს, ის შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური, ყოფითი, აბსურდი, ის თავად გკარნახობს თავის ფორმებს და უნდა ჩაჯდე მისი ესთეტიკის ჩარჩოში. სხვა შემთხვევაში ყველაფერი დაგენგრევა."**

ხშირად ამბობენ, რომ დგამენ იმას, რასაც ითხოვს მაყურებელი. ეჭვგარეშეა, რომ ეს იოლი გამოსავალი ახსნას მოითხოვს: ვინ განსაზღვრავს, რა უნდა მაყურებელს? ვფიქრობ, მაყურებელი იმის სანახავად არ მიდის თეატრში, რათა იხილოს, რას ფიქრობენ მისი ინტელექტისა და, საერთოდ, ფასეულობათა შესახებ. არც იმისთვის, რომ საათი თუ ორი საათი ბევრი იცინოს და მეტი არაფერი.

**"ჩვენი თანამედროვე თეატრები სწორედ მაყურებელს ითვალისწინებენ, თუმცა, ამ შემთხვევაში ეს არის დაშვება მაყურებლის დონეზე. თანაც, დაბალგემოვნებიანი მაყურებლის დონეზე. არამც და არამც არ ცდილობენ, ამოქაჩონ და გაზარდონ მაყურებელი. სამწუხაროდ, დღეს თანამედროვე თეატრი მაყურებელს არ ზრდის. შემეკამათებიან: როგორ, ჩვენ ვდგამთ უმაღლეს დრამატურგიას, საოცრად სერიოზულ სპექტაკლებს... მაგრამ ეს სპექტაკლები ხომ არ განაპირობებენ მაყურებლის ესთეტიკას. პროპორციულად ასეთი სპექტაკლები ძალიან ცოტაა. როდესაც შენ მის გვერდით დგამ საკასო, დაბალი გემოვნების წარმოდგენას, მაყურებელი იმაზე დადის, იმაზე იზრდება. შენ არა გაქვს უფლება, რომ ასეთი მდარე წარმოდგენებით ავად თუ კარგად დადგმული ის ღირებული სპექტაკლიც დაუკარგო"**, - აღნიშნა ჩემმა მოსაუბრემ, რამაც კიდევ ერთი კითხვა დაბადა: ნუთუ კარგი და მართლაც ღირებული სპექტაკლი კომერციულ წარმატებებს გამორიცხავს? **"რა თქმა უნდა, არა. თუ კარგ სპექტაკლს დადგამ, მაყურებელი ყოველთვის გეყოლება და ის თავისთავად გახდება შემოსავლიანი და მომგებიანი, მაგრამ როცა დგამ საშინელ წარმოდგენას, ეს იმაზე მეტყველებს, რომ პრობლემა შენშია, შენშია ნიჭიერების დეფიციტი... როცა სტურუასა და ჩხეიძის თაობა თანდათან გავა აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებიდან, მე არ ვიცი, ქართულ თეატრში ვინ მოვა ისეთი, რომელიც შეძლებს იმ რანგის თეატრის შექმნას, როგორიც ამ ორმა რეჟისორმა და მიხეილ თუმანიშვილმა შექმნეს. მათ მსოფლიოს დაუმტკიცეს, რომ არა ერთ-ერთი, არამედ ხშირად ერთადერთი საუკეთესო თეატრი იყო მსოფლიო მასშტაბით. უნიკალური ქართული თეატრალური ხელოვნების შექმნის პერსპექტივას მე ვერ ვხედავ. სტურუასა და ჩხეიძისგან სასწაულების მოხდენას არც თვითონ ელიან და არც სხვა უნდა ელოდოს. მთავარია, მათ შეინარჩუნონ საკუთარი მდგომარეობა. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ მიერ შექმნილი უნიკალური თეატრის მსგავსის შექმნის პოტენციალს ვერ ვხედავ"**

იმის მიუხედავად, რომ გოგა ჩართოლანთან საუბრისას ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი მივიღე, საჭიროდ ჩავთვალე, იმ ადამიანსაც გავსაუბრებოდი, ვისმა ქმნილებამაც ამ განსაცდელში ჩამაგდო და ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა. ლაშა ბუღაძემაც, უკვე "საქართველოს თეატრალური კავშირის" ერთ-ერთმა დაჯილდოებულმა (პიესისთვის "ნუგზარი და მეფისტოფელი") და თითქმის ყველა თაობის რჩეულმა დრამატურგმაც თეატრალურ სივრცეში არსებულ კრიზისზე დაიწყო საუბარი: **"ვგულისხმობ ესთეტიკურ, ფორმისეულ და მსოფლმხედველურ კრიზისს. თანამედროვე ქართული თეატრი მოკლებულია ყოველგვარ მოულოდნელობებს. ვფიქრობ, სრულიად მოწყვეტილია ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებსა და პროცესებს. მათგან სრულიად განყენებულია. თეატრი დღეს მკვეთრად მასკულტურულია. მე, როგორც მაყურებელს, გამიჭირდება, ზღვარი გავავლო თეატრსა და საესტრადო ტიპის ხელოვნებას შორის. დაკვეთა ესთეტიკასა და ფორმაზე მაყურებლისგან მოდის, ეს ყოველთვის ასე იყო და დღესაც ასე უნდა იყოს. ეს ორმხრივი პროცესია, მაგრამ მე ღირებულებებსა და ინტელექტუალურ კატეგორიებზე ვსაუბრობ. არ არის ახალი ფორმები, არც ერთი თანამედროვე ქართული სპექტაკლი არ მოიაზრება, როგორც მოვლენა** (თუმცა, მან მაინც გამოყო დავით დოიაშვილის "ცხოვრება იდიოტისა" და დავით საყვარელიძის "პირდაღებულნი", როგორც ყველაზე საინტერესო და ახალ ფორმებზე მიმანიშნებელი სპექტაკლები). **ეს არის რიგითი საღამოს გატარების მცდელობა. ის, რომ რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძის სპექტაკლები დღემდე სიახლედ ითვლება, მხოლოდ მათ საპრემიერო სპექტაკლებზე გამოჟონავს ინფორმაცია, - პარადოქსია. ეს ორი რეჟისორი ხომ უკვე თეატრის კლასიკაა... რეჟისორებისთვის ახალი ფორმები ოინებია. მათი სიღრმის კატეგორია არ სცილდება შოუს ელემენტებს. რეჟისორმა არ იცის, როგორ მიაღწიოს დამაჯერებლობას. მათ ხშირ შემთხვევაში ვერ გაურკვევიათ, რისი თქმა სურთ თავიანთი ხელობით. ჩვენი თეატრის ჩაკეტილობა, კერძო ლოკალური თეატრალური მსოფლმხედველობა აბსოლუტურად გამორიცხავს ესთეტიკურ კოსმოპოლიტიზმს, თუნდაც, ინტელექტუალურს. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა".** კიდევ მრავალი რამ ითქვა, თუმცა, იმისთვის, რომ რეჟისორებმა არაობიექტურობაში ბრალი არ დამდონ (რასაც, ფაქტია, ვერ გავექცევი) დრამატურგის ციტირებას აქ მაინც შევწყვეტ, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ, ბუღაძის აზრით, ხშირად საქმე გვაქვს რუსთაველის თეატრის ესთეტიკის გადამღერებასთან. ის კი, რაც ერთ დროს ალტერნატივა იყო, დღეს ახალგაზრდა რეჟისორთათვის ყველაზე ახლობელი და მისაღებია. ისინი დღემდე სწორედ სტურუას თეატრისგან იღებენ მთავარ იმპულსებს. მისი აზრით, გზა გადარჩენისკენ თანამედროვე დრამატურგიაშია, ოღონდ თანამედროვე ამბებისა და თანამედროვე სიუჟეტების არა ილუსტრაციულ, არამედ დამაჯერებელი მოტივაციით გადმოცემაში.

წერილი, რომელიც მოცულობით ნამდვილად გამოირჩევა, შესაძლოა, საკითხისადმი მრავალმხივ დამოკიდებულებას ნამდვილად ვერ წარმოაჩენს და ვერც იმ ცოტა, მაგრამ მაინც არსებულ სპექტაკლებს ითვალისწინებს, რომლებსაც ყოველივე ზემოთქმული, შესაძლოა, ნაკლებად ეხება. მკითხველისთვის გასაგები უნდა იყოს: ეს სტატია ხომ თანამედროვე თეატრის მხოლოდ ზოგადი ფორმისა და სახის დანახვის მცდელობაა და მეტი არაფერი. აქ, შესაძლოა, ცალმხრივი, მაგრამ მაინც გამოკვეთილი პოზიციაა ნაჩვენები, რომელსაც არათუ არსებობის უფლება აქვს, არამედ, ვფიქრობ, აუცილებლად გასათვალისწინებელია.





*"ჩვენი თანამედროვე თეატრები სწორედ მაყურებელს ითვალისწინებენ, თუმცა ამ შემთხვევაში ეს არის დაშვება მაყურებლის დონეზე. თანაც, დაბალგემოვნებიანი მაყურებლის დონეზე."*

იუბილე

# "რა მოსაწყენია ცხოვრება მათთვის, ვინც არ ცეკვავს"

## ნინო რამიშვილი - 95

ვერა ნეფარიძე

*19 იანვარი ნინო რამიშვილის დაბადების დღეა. დღეს ლეგენდარულ მოცეკვავეს დაბადებიდან 95 წელიწადი შეუსრულდებოდა.*







იყო პოპულარული და დარჩე ლეგენდად, რა თქმა უნდა, მცირედთა ხვედრია. არც იმის თქმაა იოლი, თუ რა განსაზღვრავს ამგვარ სტატუსს. რატომღაც მგონია, რომ ამისათვის მხოლოდ პროფესიონალიზმი არაა საკმარისი. და კიდევ, ასეთ ადამიანებთან ყველაზე ხანმოკლე შეხვედრაც საკმარისია, იგრძნო, რომ განსაკუთრებულთან გაქვს საქმე. ამაში პირადად დავრწმუნდი ხუთი წლის წინათ. თუ არ ვცდები, მაშინდელი ხანმოკლე გასაუბრება ნინო რამიშვილის ერთ-ერთი (ერთადერთი თუ არა) უკანასკნელი ინტერვიუ იყო. მე კი, იმით დამამახსოვრდა, რომ განსაკუთრებულ შეხვედრად დარჩა. ლეგენდასთან ყოფნას უფრო ვგრძნობდი, ვიდრე გააზრებულად ვხვდებოდი.

ლეგენდარული ადამიანების ბედი უფრო მეტად არის ხოლმე ქვეყნის ისტორიასთან, მის ბედთან კავშირში. ასეა ამ შემთხვევაშიც - სახელოვანი მოცეკვავის (უფრო კი, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის) ბიოგრაფიაც ხომ არ არის რიგითი ისტორია - დაბადებიდან გარდაცვალებამდე. მისი ცხოვრება მისივე ქვეყნის მთელი ეპოქაა - 1910 წლიდან დაწყებული.

ბაქოში დაბადებული ნინო რამიშვილის ოჯახი აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის შეტაკების შემდეგ, როდესაც დამოუკიდებელი საქართველო დღეებს ითვლიდა, სამშობლოში გადმოსახლდა. **"მახსოვს, კოჯორთან როგორ შეაწყდა კადეტთა კორპუსი მე-11 არმიას, როგორ ჩამოდიოდა ქალაქში სროლის ხმა. რა უნდა ექნა პატარა საქართველოს ამხელა ძალის წინაშე, რა შეგვეძლო?..."**, - იგონებდა ავბედით დღეებს მოცეკვავე. სამშობლოზე ტრაფარეტული და მრავალსიტყვიანი საუბრები არ უყვარდაო, - ამბობენ ახლობლები.

და კიდევ, ანსამბლი იყო მისთვის ყველაფერი. საკუთარი წელთაღრიცხვაც ჰქონდა; როდესაც იხსენებდა, ასე იცოდა: **"ეს ანსამბლის შექმნამდე იყო... ეს კი, ანსამბლის შექმნის შემდეგო..."**

მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი ილიკო სუხიშვილთან შეხვედრა იყო, ოპერის თეატრში. მას უკვე დამთავრებული ჰქონდა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზია და მარია პერინის საბალეტო სტუდია. **"თავიდან არავითარი ყურადღება არ მიმიქცევია, მერე შევნიშნე, რომ საპატიო მანძილზე უკან მომდევს და სახლამდე მაცილებს, უხმოდ... უთქმელად. თანდათან მანძილი მცირდებოდა, უკვე გვერდიგვერდ მივუყვებოდით ერთმანეთს... მერე სიყვარულში გამომიტყდა და ჩვენ ერთმანეთს ვაკოცეთ"...**

**"როდესაც ილიკოს მივყვებოდი, ყველა წინააღმდეგი იყო. ამბობდნენ, ვინ არის, მოცეკვავე რად გინდაო... მამაჩემმა კი მითხრა: გინდა? გაყევი, არა და სახლი გაქვს და უკან მოხვალო. ილიკოს ზურგდაკემსილი პერანგი ეცვა და მეც, ყველას ჯიბრზე, ამ ზურგდაკემსილს გავყევი".** წყვილმა ქორწინების რეგისტრაცია არ გაიარა: **"არ შემეძლო... ვერ გეტყვით, რა საშინელება იყო ეს "ზაგსის" ოთახები, ფეხმოქცეული მაგიდა, ჩამოძონძილი კედლები, თანაც ასე რომ ერქვა - "რეგისტრაცია".**

**"სულ ვცეკვავდი, სულ... ეს ჩემში ადრეული ბავშვობიდან იდო. დედა ხედავდა ამას და საბალეტო სტუდიაში მიმაბარა. ბავშვობაში, როდესაც პერინის სტუდიაში მივდიოდი, ხშირად სრული სერიოზულობით მიფიქრია: ალბათ, რა მოსაწყენია ცხოვრება მათთვის, ვინც არ ცეკვავს".**

გარშემომყოფებს ატყვევებდა. მისი დახვეწილი მანერები ცალკე თემაა. საოცარია, რომ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა ის მოძრაობები, რაც ყველა შემხვედრში უდიდეს მოწიწებას იწვევდა. ამასთან დაკავშირებით საყოველთაოდ ცნობილია ერთი ისტორია, რომელიც 40-იანი წლების დასაწყისში მოხდა. როდესაც კონფერანსიე ბარუშნოიმ საიდუმლოდ გაიხმო და ჰკითხა: Нина Шалвовна, скажите, вы княжна? Я никому не скажу. მოცეკვავემ იუარა. თუმცა, ბარუშნოიმ მაინც ამგვარად ახსნა თავისთვის მოცეკვავის მიმოხვრის საიდუმლო.

# პირველები




ელვის პრესლიმ გუშინ კიდევ ერთი მუსიკალური რეკორდი მოხსნა. მისი 1959 წლის ჰიტი One Night თავიდან გამოუშვეს და ბრიტანულ პოპ-ჩარტებში მაშინვე პირველ ადგილზე მოექცა.

შეზღუდული რაოდენობით გამოსული სიმღერა ბრიტანეთში უმალ დაიტაცეს, მერე კი აუქციონის ვებ-გვერდებზე, მაგალითად, იგივე eBay-ზე ერთ ეგზემპლარს 74 დოლარად ჰყიდდნენ.

ეს გამარჯვება კიდევ ერთი დეტალის გამო გახდა აღსანიშნავი. One Night ბრიტანული პოპ-ჩარტებში პირველ ადგილზე გასული რიგით მეათასე სიმღერა აღმოჩნდა. პირველი ალ მარტინოს Here In My Heart იყო, მრავალი წლის წინ...

ეს სიმღერა ელვისის ჰიტებიდან რიგით მეოცეა, რომელიც კი ბრიტანული ჩარტების ლიდერი გახდა. ასეთი რეკორდი კი არც ერთ სოლო შემსრულებელს არ დაუმყარებია. ეს ახალი ტენდენცია კი იმის დასტურია, რომ, ახალ-ახალი მუსიკოსების გამოჩენის მიუხედავად, მელომანები კვლავაც როკ-ენ-როლის ძველ მეფეზე - ელვის პრესლიზე გიჟდებიან. მისი One Night ხომ მარტო არ არის. მის გამოჩენამდე ერთი კვირით ადრე თავიდან გამოუშვეს 1957 წლის კლასიკა Jailhouse Rock და ისიც ჩარტების სათავეში მოექცა.

მალე ელვისომანია კიდევ უფრო დიდ ეშხში შევა. მომღერლის ხმის ჩამწერი კომპანია ხომ ხელახლა უშვებს პირველ ადგილზე გასულ მის 18 ჰიტს.

"ის საუკეთესო იყო. ასეთი აღარ დაიბადება. ამის დასტურია ისიც, რომ ელვისი დღემდე ისეთი პოპულარულია, როგორც არავინ, განსაკუთრებით კი ბრიტანეთში. რაღაც განსაკუთრებულია მის ხმაში, სიმღერებში, მოძრაობაში. უბრალოდ, დავიწყების, გულგრილად ჩავლის საშუალებას არ გაძლევს", - ემოციებს ვერ მალავს ლონდონელი სიდ შოუ, რომელსაც ელვის პრესლიზე რამდენიმე წიგნი აქვს გამოცემული, ლონდონში კი მისი სახელობის მაღაზიას ფლობს.

უელსური ჯგუფი Manic Street Preachers, უბრალოდ, დარცხვენილია იმის გამო, რომ ბრიტანულ ჩარტებში მათი ჰიტი Empty Souls მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა, პირველობა კი ელვისის One Night-ს დაუთმო.

თუ რეკორდების ხაზს გავყვებით, არ შეიძლება, არ ვახსენოთ პოლ მაკარტნი. თუ ელვის პრესლი სოლო შემსრულებლებშია რეკორდსმენი, პოლ მაკარტნი უფრო შერეული "ანგარიშით" აღწევს სასურველ შედეგს: მას ბრიტანულ ჩარტებში მთელი მუსიკალური კარიერის მანძილზე დაგროვებული 22 №1 ჰიტი აქვს - სოლო მოღვაწეობის, "ბითლზისა" და "უინგზის" სიმღერების გათვალისწინებით.

თავისებური რეკორდსმენია კანადელი მუსიკოსი ბრაიან ადამსიც. ის რეკორდს ჩარტების №1 ადგილზე ყველაზე ხანგრძლივად დარჩენის გამო ფლობს. მისი Everything I Do (I Do It For You) პირველობას მთელი 16 კვირის განმავლობაში ინარჩუნებდა. ეს 1991 წელს იყო.

თუმცა, მაშინ, როცა ელვის პრესლი კვლავაც მოდის მთავარ გამოძახილად გვევლინება, მუსიკალურ ინდუსტრიაში კიდევ ერთი დიდი ცვლილება ხდება. ჩარტების შემდგენლები იძულებული ხდებიან, გაითვალისწინონ ის მუსიკა, რომელსაც ყველაზე ხშირად იწერენ ინტერნეტით (გაყიდულ დისკებთან ერთად), რათა უფრო ნათელი სურათი შექმნან და უფრო ზუსტად განსაზღვრონ, თუ მაინც რას აქცევს ჰიტებად მსმენელი ყველაზე მეტად. ამ სიახლეს რადიო დიჯეი და პოპ-მუსიკის ისტორიკოსი პოლ გამბაჩინიც მიესალმება და აცხადებს, რომ "დღეს ოფიციალური ბრიტანული ჩარტი მსმენელის მუსიკალური გემოვნების სწორი ინდიკატორი არ არის".

ასე რომ, მალე ბრიტანულ ცხელ ნუსხებს დახვეწაში ინტერნეტი დაეხმარება.

სამსონ ლეჟავას სვეტი

# ტრადიციული ქართული ცეკვა - სხეულის განსულიერების გამოხატულება



ტრადიციული ქართული ცეკვის ნამდვილი მახასიათებლები ჩამოაყალიბა იმგვარ ორიენტირთა მატარებელმა კულტურამ, რომლისაგანაც დღეს დაცილებულნი ვართ. ასეთი იყო ქორეოგრაფიაც, რომლისთვისაც ოდითგანვე წამყვანი გახლდათ მისწრაფება საკრალური სფეროსკენ.

საზოგადოდ ქართულ ცეკვაში სხეულის "რიტმოლოგია" უმაღლეს სულიერ მონაპოვრად გარდაისახება.

თუკი ადამიანის სხეული ურთულესი "მიკროკოსმია", შესაბამისად, ქორეორგაფიაშიც უზარმაზარი სიღრმეა ჩაქსოვილი - მათ შორის ქართულშიც. გრიგოლ რობაქიძე უზუსტესად აფასებს ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მიერ ჩამოყალიბებული, ამჟამად "ნაციონალურ ბალეტად" წოდებული (კოტე ჯანდიერი) და ქართული ცეკვის უძველეს ტრადიციათა ამაღორძინებელი ანსამბლის მონაპოვარს, როდესაც უზღვაროს ზღვარდადებაზე საუბრობს. ჩვენი ცეკვის "ვულკანური" ენერგია მართლაც მოთოკილია, ნებას დამორჩილებული და მით უფრო შთამბეჭდავი. აქ ჩანს არა ემოციების ნაკადისთვის თავმინებება, არამედ შეიგრძნობა ხერხემალი, შინაგანი, მტკიცე ორგანიზებულობა - პლასტიკაც თავდაოკებულია და სწორედ ამაშია "ვნების სიმძაფრე" (გურამ რჩეულიშვილი). ამრიგად, სულიერი კულტურა მართავს ბიოლოგიურსა და ვიტალურს, თანაც, კი არ თრგუნავს, არამედ ანიჭებს გეზს, აწესრიგებს.

ქართული ცეკვის მოძრაობა (რომელსაც, ცხადია, ბევრი რამ აკავშირებს ჩრდილოეთ კავკასიის ქორეოგრაფიასთან, როგორც თავადაც ძირეულად კავკასიურ ფენომენს) გამოირჩევა როგორც "სკულპტურულ-პლასტიკური" სრულყოფით, ისე სილუეტთა "გრაფიკულ-პლასტიკური" ამომწურავი გამომხატველობით. ტემპერამენტის სისავსისას ძალზე მკაფიოა მისი არტიკულაცია და, შესაბამისად, ქაოსურობაც გამოირიცხება. თვით "ხანჯლურის" დაუოკებლობის დროსაც კი, დინამიკურ მუხტს განსაზღვრავს სტრუქტურულობა. "აფეთქებანი" და მკვეთრი თვითმოთოკვა ნაირგვარი რიტმული სვლებითა და არტისტული ბრწყინვალებით ენაცვლება ერთმანეთს. ისევ და ისევ გრიგოლ რობაქიძის თანახმად, ქართველთა ცეკვის მგზნებარებას სულიერება აწონასწორებს.

ნებითი მოგვარებულობა ცხადია სვანურ ცეკვაში, სადაც ხერხემალზე ასხმული კორპუსი თავმოყრილად "სტატიკურია", ხოლო ფეხები ვირტუოზულ, მაგრამ გამონაკვთულ მოძრაობათა მთელ კასკადს ასრულებს. "კოსმიური" ძალის სვანურ სიმღერასთან ერთობლივად, ეს არის გრანდიოზული სანახაობა.

ილია ზურაბიშვილი კი გვესაუბრება ცეკვა "ქართულის" თავისებურ ამაღლებულ ლირიზმზე, სადაც წყვილედი შესრულებისას, შთამბეჭდავად მჟღავნდება სწორედ ღირსება, პლასტიკური მოხდენილობა, კეთილშობილება რბილი, ზედმეტ გართულებას მოკლებული, მსუბუქად გრაციოზული და უმანკოების მანიშნებელი ქალის მოძრაობისა - შეხამებით მამაკაცის თვითფლობით გამორჩეულ, საზეიმო, შემართულ და ლაზათით სავსე ჟესტებთან თუ მოძრაობებთან, როდესაც ფილიგრანული და თანაც უსხარტესი "გასმა" თითქოსდა სიმძიმის განცდას აქრობს. ეს ცეკვა დიადი ქორეოგრაფიული პოემაა, ლამისაა იდეალური პლასტიკური ხატია "ვეფხისტყაოსანში" ჩენილი მსოფლმხედველობისა. მასში მიწიერი და მარადიული იმავე რიგის ერთობას აყალიბებს, როგორსაც ჩვენ შევიგრძნობთ დარბაზის ინტერიერში ყოფნისას; ჭუნირისა და ჩანგის თანახმიერებისას; "მრავალჟამიერისა" და "ჩვენ მშვიდობას" მიყურადების დროს.

თვითფლობის საყოველთაო საწყისი აჭარულ ცეკვაშიც ცხადია. მისი რიტმულად მდიდარი "ტალღურობა" აგრეთვე წარმოაჩენს ჩვენს ქორეოგრაფიაში მოგვარებულობის, თავმოყრილობის უმაღლეს ხარისხს.

რაც შეეხება თავად ქართული ცეკვის რიტმს: მაგალითად, ხორუმში მკაფიოდ ჩენილი, მკვეთრი აქცენტები დიდი ემოციური ძალითაა აღსავსე, თითქოსდა "შეკუმშულია" უძლიერესი ნებით.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანს გამოვლინდა ჩვენი ცეკვის მთელი ფუძე-პარადიგმის გადასინჯვა, მაგალითად, ქართული ნაციონალური ბალეტის ახალი, უდავოდ ნიჭიერი თაობის მოღვაწეობაში, რომელიც, ერთი მხრივ, ტრადიციულ მონაპოვარს მართებულად მიაგებს პატივს, მაგრამ, მეორე მხრივ, მათი ექსპერიმენტი კითხვის ნიშნებს ბადებს: ცეკვაში "ზეკარი" ქალის როლი მეტისმეტად გააქტიურდა - ქალმა თითქოსდა უკანმოუხედავად "აიწყვიტა" კიდეც. ჩემი (და ბევრის) თვალსაზრისით, აქ გამჟღავნდა დღევანდელი რეალური სიტუაცია, ანუ ქალურსა და მამაკაცურს შორის თვისებრივი სხვაობის შესუსტების სურვილი; პირობითად, ინისა და იანის ქრობის ტენდენცია. მახსენდება ერიჰ ფრომი, რომელიც აღნიშნავს, რომ ქალი ცდილობს, მამაკაცს გაუტოლდეს არა ქალურობის წინ წამოწევით, არამედ მამაკაცისგან განუსხვავებლობისკენ სწრაფვით. ეს ყოველივე ძნელად გასაანალიზებელი, კრიზისულობის გამომხატავი, სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენაა, მაგრამ ამჯერად ჩვენი ამოცანა ის არის, რომ დავაკვირდეთ ზემოაღნიშნული ფენომენის მიერ ცეკვისთვის მოტანილ შედეგს: ახალი მაღალპროფესიული დადგმა არ ტყუის დღევანდელობისთვის სპეციფიკური სიტუაციის "ქორეოგრაფიზაციით", მაგრამ აქ საკუთრივ საცეკვაო ხელოვნების სიმაღლის დაქვეითებაა: ვფიქრობ, ჰარმონია აშკარად გაღარიბდა, გაბრტყელდა (ჰარმონია ხომ სხვაობრივთა გარკვეული შინაგანი ძაბვის მატარებელი ერთობაა და არა იგივეობრივთა მარტივი სიმეტრიული ჯამი). უთუოდ არსებობს მოდერნიზაცია-განახლების სხვა, უმჯობესი შესაძლებლობები, რომლებშიც მასშტაბური სინთეზის ამოცანა კვლავ აქტუალური გახდება.

დავასრულებ ცნობილი ფილოსოფოსის გაბრიელ მარსელის შეხედულებით: ერთობა არსებობს იქ, სადაც ურთიერთაღიარებული სხვაობაა, და ამ სხვაობაში გამოვლენილი თანამყოფობა.

**P.S.** ძველ ქართულში სიტყვა "სახიერი" (ანუ ფორმის მქონე) სიკეთის ცნების ერთ-ერთი ძლიერი გამომხატველია.

**აქ წარმოდგენილი ნამუშევარი "ცერული" ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ მხატვარს რევაზ თარხან-მოურავს.**

ინფოთეკა

### "თბილისი" თბილისში ხელცარიელი ბრუნდება

გუშინ მოსკოვში გაიმართა თანამეგობრობის თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის დასკვნითი ტური. იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელს, თბილისის "თბილისს" ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაეკავებინა და მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოეპოვებინა, ორი პირობა უნდა შესრულებულიყო. კერძოდ, "თბილისს" თავისი მატჩი ორი, ან მეტბურთიანი სხვაობით მოეგო და შეხვედრა მის უშუალო კონკურენტებს, "ფახთაქორსა" და "კაუნასს" შორის შუააზიელების მინიმალურანგარიშიანი გამარჯვებით დასრულებულიყო. სამწუხაროდ, არცერთი ეს პირობა არ შესრულდა. მიუხედავად იმისა, რომ "თბილისი" მატჩის მსვლელობაში ყირგიზულ "დორდოი დინამოს" 2:0-ს ამარცხებდა, საბოლოოდ თამაში ფრედ, 2:2 დასარულდა. რაც შეეხება დაპირისპირებას "კაუნასსა" და "ფახთაქორს" შორის, ლიტვურმა კლუბმა თავის მესამე ჯგუფური შეხვედრაც მოიგო და ქულათა მაქსიმალური მარაგით ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. "თბილისი" ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა და უსახელოდ ტოვებს ტურნირს. გუნდი სამშობლოში დღეს დაბრუნდება.

### აბრამოვიჩმა რონალდინიო შეაფასა

სატრანსფერო ბაზარზე ლონდონის “ჩელსის” მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა გადაწყვიტა, ახალი გახმაურებული შენაძენი გააკეთოს. რუსი ოლიგარქის თვალსაწიერში ამჯერად ესპანეთის “ბარსელონას” ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველი რონალდინიო მოხვდა.

რომან აბრამოვიჩი გუნდის მწვრთნელ ჟოზე მოურინიოსთან ერთად ესპანეთის ჩემპიონატის მატჩს დაესწრო, სადაც “ბარსელონამ” “რეალ სოსიედადი” მიიღო. ამ მატჩის შემდეგ ლონდონელი სტუმრები “ბარსას” ხელმძღვანელობას შეხვდნენ.

პრესის ცნობით, აბრამოვიჩმა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელში კატალონიელებს 86 მილიონი ევრო შესთავაზა. თუ შეთანხმება შედგება, ის მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მსხვილი გარიგება იქნება.

რუსი ბიზნესმენი კიდევ ერთ მიზანს აისრულებს. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში “ბარსელონა” სწორედ “ჩელსის” დაუპირისპირდება და კატალონიელები თავისი ლიდერის გარეშე ბევრად უფრო სუსტნი იქნებიან, ვიდრე რონალდინიოსთან ერთად.

### "არსენალი" სტადიონს ააშენებს

ლონდონის “არსენალმა” ადგილობრივ მეწარმეთა ჯგუფს სასამართლო პროცესი მოუგო და უფლება ახალი, სტადიონი ააგოს. “როიტერის” ცნობით, ლონდონის უმაღლესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, ახალი სტადიონის მშენებლობისთვის, რომელიც 60 ათას ადგილზე იქნება გათვალისწინებული, გუნდს მიწის დამატებითი ნაკვეთი გამოუყოს. “სასამართლომ არ გაითვალისწინა მოსარჩელეთა არგუმენტები, რადგან სტადიონის აგება არ შეიძლება ჩაითვალოს ტერიტორიის კომპლექსურ მშენებლობად, რომელიც საზოგადოების ინტერესებს დაარღვევს”, - ნათქვამია სასამართლო ვერდიქტში. ლონდონის “არსენალი” ახალ სტადიონზე 2006-2007 წლების სეზონში მიიღებს სტუმრებს. ამ სპორტული ნაგებობის მშენებლობა 357 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდება.

### ფიგუ შეიძლება დაისაჯოს

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ შეიძლება დასაჯოს მადრიდის “რეალის” პორტუგალიელი ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ, რომელმაც “სარაგოსას” ფეხბურთელს სეზარ ხიმენესს ტრავმა მიაყენა. ხიმენესი სეზონის ბოლომდე გამოეთიშა ფეხბურთს. ფიგუ შეიძლება დაისაჯოს იმის მიუხედავად, რომ ამ ინციდენტის შემდეგ მატჩის არბიტრმა ფიგუ მინდვრიდან არ გააძევა.

თვითონ ლუიშ ფიგუმ ადგილობრივ პრესას განუცხადა, რომ მას არ უნდოდა, მეტოქისთვის ასეთი სერიოზული ტრავმა მიეყენებინა და მიიჩნევს, რომ ეს, უბრალოდ, სათამაშო მომენტი იყო. “ორივე ბურთისთვის ვიბრძოდით. შეჯახებისას მეც ძლიერი ტკივილი ვიგრძენი. რასაკვირველია, არ მინდოდა, მისთვის ესოდენ სერიოზული ტრავმა მიმეყენებინა”, - განაცხადა ლუიშ ფიგუმ.

### ფიოლერი ძველ სამუშაოს დაუბრუნდა

გერმანიის ნაკრებისა და იტალიური “რომას” ყოფილი მწვრთნელი რუდი ფიოლერი ძველ სამუშაოს დაუბრუნდა და ლევერკუზენის “ბაიერის” სპორტული დირექტორის პოსტზე დაიწყო მუშაობა. ფიოლერმა კლუბთან 2,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ფეხბურთი

# „დინამო” „ცრვენა ზვეზდით” იწყებს

მიხეილ აბაიშვილი



"დინამო" მზადებას კვიპროსში განაგრძობს.

ხვალ თბილისის “დინამო” გეზს აიღებს კვიპროსისკენ, სადაც საგაზაფხულო სეზონისათვის მოსამზადებელ შეკრებას გამართავს. გამგზავრებამდე ორი დღით ადრე კლუბის ხელმძღვანელობამ, კერძოდ, “დინამოს” მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა და მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე პრესკონფერენცია მოაწყვეს. ბრიფინგის მთავარი თემა მომავალი საწვრთნელი შეკრებები და “დინამოში” განხორციელებულ-განსახორციელებელი სატრანსფერო ცვლილებები გახლდათ.

კვიპროსზე “დინამო” 30 იანვრამდე დარჩება. როგორც მმართველმა დირექტორმა განაცხადა, უკვე ცნობილია იმ გუნდების ვინაობა, რომლებსაც მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი ამხანაგურ მატჩებში დაუპირისპირდება.

“მომავალი სეზონისთვის მზადების პირველ, თბილისურ ეტაპს “დინამო” ხვალ ბოლნისის “სიონთან” ამხანაგური თამაშით დაასრულებს. გუნდი კვიპროსზე ოთხ სპარინგმატჩსაც გამართავს, რისთვისაც მეტოქეები უკვე შერჩეული გვყავს. 22 იანვარს ვეთამაშებით ბელგრადის “ცრვენა ზვეზდას”, 24 იანვარს - ვლადივასტოკის “ლუჩ ენერგიას”, 26 იანვარს - სერბიის “სარტიდს”. ტესტმატჩებს დავასრულებთ 29 იანვარს რუმინულ “არჯეშ რომანთან” მატჩით. 30 იანვარს გუნდი სამშობლოში გამოემგზავრება, ორ დღეს დავისვენებთ, ხოლო 1 თებერვალს ესპანეთში, მალიორკაზე გავემგზავრებით, სადაც “მარბელას თასად” წოდებულ საერთაშორისო ტურნირში ვითამაშებთ. პირინეებზე სამ მატჩს გავმართავთ - 5, 7 და 9 თებერვალს. ამჯერად ჩვენი მეტოქეები იქნებიან პოსტსაბჭოური სივრცის, თუმცა, მაღალი კლასის გუნდები - მოსკოვის “სპარტაკი”, სანკტ პეტერბურგის “ზენიტი” და დონეცკის “შახტარი”, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა. თბილისში 10 თებერვალს დავბრუნდებით, ხოლო 14-ში სეზონის სადებიუტო მატჩში ზესტაფონში გვიწევს თამაში. ეს გახლავთ საქართველოს თასის განმეორებითი მერვედფინალური მატჩი”, - გვითხრა პეტრიაშვილმა.

“დინამომ” ახალი წლის პირველივე დღეებში განაახლა ვარჯიში. გია გეგუჩაძის თქმით, ყველა ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა.

“დიღმის ბაზაზე შეკრება 5 იანვარს დავიწყეთ. პირველი სამი დღე სამედიცინო შემოწმებას მოვანდომეთ. გუნდში 28 ფეხბურთელი ვარჯიშობს. როგორც წესი, ასეთ ვარჯიშებს თან ახლავს მიკროტრავმები, რაც თავიდან ვერ აიცილა რამდენიმე დინამოელმა, თუმცა, სერიოზული არაფერია და ყველა მოემგზავრება კვიპროსზე. ტრავმა ბოლომდე ვერ მოიშუშა კაშიამ, რომელმაც შემოდგომაზე ოპერაცია გაიკეთა და ახლა ნელ-ნელა იწყებს ვარჯიშს. გრიგალაშვილიც, რომელსაც ფეხი ჰქონდა მოტეხილი, გუნდთან ერთად იღებს მონაწილეობას საწვრთნელ პროცესში”, - აღნიშნა გეგუჩაძემ.

შეგახსენებთ, რომ ფიფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, დინამოელი კახა ალადაშვილი ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. გუნდის ხელმძღვანელობა მუშაობს იმ საკითხზე, რომ ალადაშვილს დისკვალიფიკაციის ვადა შეუმცირონ.

“როგორც გახსოვთ, “ფიფამ” მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო - კახას ყველა დონეზე აუკრძალა თამაში. საპელაციო კომიტეტში წარდგენილი ჩვენი საჩივარი არ დააკმაყოფილეს. ჩვენ ბოლო ინსტანციაში, სპორტულ-საარბიტრაჟო სასამართლოში შევიტანეთ აპელაცია. იმედი გვაქვს, ალადაშვილს დისკვალიფიკაციის ვადას შეუმცირებენ. თუ ასე არ მოხდა, 13 მაისამდე მოუწევს დასვენება. არბიტრაჟი იანვრის ბოლოს მიიღებს გადაწყვეტილებას, თუმცა, ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, იგი მაინც მოემგზავრება კვიპროსზე”, - განაცხადა დავით პეტრიაშვილმა.

ყველაზე საინტერესო ტრანსფერების თემაა, რაზეც ისაუბრა მმართველმა დირექტორმა და ერთი მოულოდნელი ამბავიც გვამცნო: ჩემპიონატის ბომბარდირი, ყოფილი ტორპედოელი გია მეგრელაძე, რომლის “დინამოში” გადასვლის საკითხი ყველას გადაწყვეტილი ეგონა, გუნდში აღარ არის.

“ეს ჩვენთვისაც დიდი მოულოდნელობაა. მეგრელაძესთან კონტრაქტის ყველა დეტალზე შევთანხმდით და მისი ყველა მოთხოვნა დავაკმაყოფილეთ. როდესაც კონტრაქტის ხელმოწერამდე მივიდა საქმე, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო მან “დინამოში” თამაში აღარ ისურვა და ბაზა დატოვა. დიდი მადლობა გადაგვიხადა ყველაფრისთვის და ბოდიშიც მოგვიხადა. როგორც ჩანს, სხვა კლუბში გააგრძელებს კარიერას. ქართულია თუ უცხოური ეს კლუბი, ვერ გეტყვით. რაც შეეხება დანარჩენ ახალწვეულებს. ნოზაძესთან კონტრაქტი უკვე გავაფორმეთ, ბაბუნაშვილთან დაკავშირებით მოლაპარაკების სტადიაში ვართ - ზოგიერთი დეტალია შესათანხმებელი, ჭელიძე და შალამბერიძე კვიპროსში მიგვყავს და მათ საკითხს იქ დაკვირვების შემდეგ გადავწყვეტთ. რაც შეეხება ჯამარაულს, მასთან კონტრაქტის გაფორმებას ნებისმიერი გუნდი ისურვებდა და არც “დინამოა” გამონაკლისი. ამის მეტს ჯერ ვერაფერს გეტყვით. დაუბრუნდება თუ არა ჯამარაული “დინამოს”, მალე გაირკვევა. სავარაუდოდ, იგი კვიპროსზე არ წამოვა”, - აღნიშნა პეტრიაშვილმა.

აქვე უნდა ითქვას, რომ “დინამოს” დაუბრუნდა ავსტრიაში “პაშინგთან” კონტრაქტის გასაფორმებლად წასული გიორგი შაშიაშვილი, რომელიც სეზონის ბოლომდე საქართველოში დარჩება და მშობლიურ კლუბში ითამაშებს. ახალაია კვლავაც შვეიცარიაშია და “ციურიხთან” აფორმებს კონტრაქტს, სანდრო იაშვილი ისევ “დინამოს” სატრანსფერო სიაშია, თუმცა, იჯარის წესით “თბილისში” თამაშობს, გონჩაროვი კი დაბრუნდა მოლდოვიდან, სადაც “შერიფის” რიგებში სინჯავდნენ. ის ჯერაც “დინამოს” ფეხბურთელად ითვლება, თუმცა, როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობა მასზე დიდ იმედებს აღარ ამყარებს - გონჩაროვი კვიპროსულ შეკრებაზე არ მიჰყავთ.

# ფერგიუსონმა ხმა ამოიღო

"ცხვარი ცხვარიაო, მაგრამ თუ გაცხარდა, ცხარეაო"

ნინო ტიკარაძე

*“მანჩესტერ იუნაიტედის” გაწონასწორებულმა, მშვიდმა და აუღელვებელმა თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა დუმილი დაარღვია და რამდენიმე თვის დაგვიანებით პასუხი გასცა “არსენალის” მთავარი მწვრთნელის არსენ ვენგერის მიერ მისი მისამართით წარმოთქმულ დაუსრულებელ ბრალდებებს და ამით კლუბებს შორის არსებული, მაგრამ დროებით შეჩერებული ე.წ “ვერბალური ომი” განაახლა.*



ფერგიუსონმა ვენგერს უსინდისო უწოდა.

გასულ ოქტომბერს “ოლდ ტრაფორდზე” “მანჩესტერ იუნაიტედსა” და “არსენალს” შორის ფეხბურთის მოედანზე დაწყებული “ბრძოლა” რეალურ ცხოვრებაშიც გაგრძელდა. დაპირისპირების ინიციატორები “მეთოფეები” იყვნენ, კერძოდ კი, მთავარი “მეთოფე”, მატჩის წაგებით (0:2) განრისხებული არსენ ვენგერი, რომელიც დაუფარავად თავს ესხმოდა მანჩესტერელებს.

პირველი შეხლა-შემოხლა იმით დამთავრდა, რომ მატჩის შემდეგ, გვირაბში, სერ ალექს ფერგიუსონს პიცის ნაჭრითა და წვნიანით “გაუმასპინძლდნენ” (ბრიტანულ პრესაში ეს ინციდენტი “გასტრონომიული ბრძოლის” სახელით მონათლეს). ეს დღე ამ ე.წ. “ომის” დასაწყისი გახდა.

“მოთოფეთა” მხრიდან შეურაცხმყოფელ სიტყვებსა და ქმედებებს ბოლო არ უჩანდა, ამიტომაც ხალხი ფერგიუსონისგან თავდასხმას თუ არა, თავდაცვას მაინც მოელოდა, მაგრამ “მანჩესტერ იუნაიტედის” თავკაცი ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა და დუმილს ჯიუტად არა და არ არღვევდა.

მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელის მიერ “პატივნაცემმა” ფერგიუსონმა, თითქოს არაფერი მომხდარაო, აუღელვებლად გამოიცვალა ტანსაცმელი და ისე ჩაატარა მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია, რომ მომხდარზე კრინტიც კი არ დაუძრავს, თუმცა, ეს ამბავი მაინც გახმაურდა. “მანჩესტერ იუნაიტედის” მწვრთნელმა არც მაშინ დაიცვა თავი, როცა გვირაბში უკვე გახმაურებულ ინციდენტს არსენ ვენგერმა ფერგიუსონის “ფანტაზიის ნაყოფი” უწოდა. მან არც მაშინ დაარღვია დუმილი, როცა ვენგერმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ეშლი კოულთან უხეში თამაშის გამო რუდ ვან ნისტელროის დასჯა მოსთხოვა, თავად ფეხბურთელი კი “მატყუარად” მონათლა.

დრო გადიოდა, ფერგიუსონის სიმშვიდე კი თანდათან გამაღიზიანებელიც ხდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მწვრთნელი შესაფერის მომენტს ეძებდა იმისთვის, რომ არსენ ვენგერისთვის საკადრისი პასუხი გაეცა. და აი, ეს მომენტიც დადგა. ფერგიუსონმა არათუ თავი დაიცვა, არამედ პირდაპირ შეტევაზე გადავიდა და გუშინწინ “Independent”-თან საუბარში ვენგერს, არც მეტი, არც ნაკლები, “უსინდისო” უწოდა: “გვირაბში ვენგერი ხმამაღლა აკრიტიკებდა ჩემს ფეხბურთელებს, მატყუარებს უწოდებდა. იმ დროს იქ არ ვიყავი. ამის შესახებ გასახდელ ოთახში დაბრუნებული ფეხბურთელებისგან შევიტყვე. გვირაბში გავედი და ვენგერს მოვუწოდე, წესიერად მოქცეულიყო და ჩემი ბიჭებისთვის თავი დაენებებინა. წესით, ვენგერს, როგორც გუნდის თავკაცს, ბოდიში უნდა მოეხადა, მაგრამ ვენგერისნაირი ადამიანისგან ასეთ საქციელს არც უნდა მოელოდე,” - განაცხადა ფერგიუსონმა.

მწვრთნელმა მატჩის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზეც ისაუბრა. მისი თქმით, ამ ინციდენტის შემდეგ კლუბები დირექტორთა საბჭოს სხდომაზე შეთანხმდნენ, რომ ეს ინციდენტი აღარასოდეს გაეხსენებინათ, მაგრამ ვენგერმა შეთანხმება დაარღვია: “დირექტორთა საბჭოში “მანჩესტერ იუნაიტედის” აღმასრულებელი დირექტორი დევიდ გილი და “არსენალის” ვიცე-პრეზიდენტი დევიდ დეინი შეხვდნენ ერთმანეთს. მათ პირობა დადეს, რომ ეს შემთხვევა არც ერთი კლუბისთვის არ გახდებოდა განხილვის საგანი, მაგრამ ყველამ კარგად დაინახეთ, რაც შემდეგ მოხდა. “მეთოფეებმა” დაჩაგრულის როლის თამაში დაიწყეს და ჩვენი დადანაშაულება მოინდომეს. რუდ ვან ნისტელროი უსამართლოდ დაისაჯა. “არსენალის” ფეხბურთელები გაცილებით უხეშად თამაშობდნენ, თუმცა, ეს არავის დაუნახავს. და მაინც, მათი უხეშობა არ უნდა გაგვკვირვებოდა, რადგან ვენგერმა ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოაცხადა: “ვერ შეგპირდებით, რომ ჩემი ფეხბურთელები კარგად მოიქცევიან”. ეს იყო გამოწვევა, რომელიც მივიღეთ. ვფიქრობ, “მეთოფეთა” მთავარი პრობლემაა: მათ არ იციან, რომ ღირსეულად წაგებაც შეიძლება, რომ პრობლემა საკუთარ თავში უნდა ეძებო და სხვათა დადანაშაულებით ფონს ვერასოდეს გახვალ”.

ვენგერსაც მეტი რაღა უნდოდა. ფერგიუსონისგან განსხვავებით, მან მოწინააღმდეგე მხარის ბრალდებას მაშინვე უპასუხა: “ფერგიუსონი ჭკუაზე აღარ არის. მან რეალობის შეგრძნება დაკარგა. ჩემთვის ამ ადამიანის აზრი საინტერესო არასოდეს ყოფილა და არც ახლაა. მის პროვოკაციას აღარ ავყვები და არც მის შესახებ დასმულ შეკითხვას ვუპასუხებ. ფერგიუსონი ინგლისში იმას აკეთებს, რაც მოესურვება და თქვენ, ჟურნალისტები, მას ფეხქვეშ ეგებით. ახლა ყველაფერი თავიდან იწყება. ამ თამაშში მონაწილეობას აღარ მივიღებ. მე ფეხბურთის გუნდის მთავარი მწვრთნელი ვარ და ფეხბურთს ყველაზე მაღლა ვაყენებ. ჩემთვის სულერთია, რას იტყვის ხალხი”, - განაცხადა “მეთოფეთა” თავკაცმა, რომელმაც, მისი მისამართით გაკეთებული განცხადებების გამო, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას (FA) ფერგიუსონის დასჯისკენ მოუწოდა.

ჯერჯერობით უცნობია, რას მოიმოქმედებს FA-ს ხელმძღვანელობა. სამაგიეროდ, ცნობილია მწვრთნელთა ასოციაციის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის ჯონ ბარველის თქმით, იგი მზადაა დაეთანხმოს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რადგან მას პირდაპირი უფლება არა აქვს, ფერგიუსონსა თუ ვენგერთან დაკავშირებით რაიმე სახის დისციპლინარული ქმედება განახორციელოს.

შეგახსენებთ, რომ “მანჩესტერ იუნაიტედსა” და “არსენალს” შორის მატჩი 1 თებერვალს “მეთოფეთა” სტადიონზე “ჰაიბერიზე” გაიმართება. არავინ იცის, რა ექსცესებს უნდა ველოდოთ ამ მატჩისგან, რადგან ვენგერ-ფერგიუსონის “ვერბალური ომი” უკვე დაემსგავსა მრავალსერიიან ფილმს, რომლის დამთავრებასაც არც ერთი მხარე არ ფიქრობს.

ინფოთეკა

### ტორესს ინგლისში არ უნდა

მადრიდის “ატლეტიკოს” ფორვარდმა ფერნანდო ტორესმა განაცხადა, რომ მას ურჩევნია, საფეხბურთო კარიერა არა ინგლისში, არამედ იტალიის ჩემპიონატში გააგრძელოს. ამის შესახებ ფეხბურთელმა ადგილობრივ პრესას განუცხადა. “ვიცი, რომ ჩემით აქტიურად არიან დაინტერესებული “მანჩესტერ იუნაიტედი” და “ჩელსი”. თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ, თუ არჩევანზე მიდგება საქმე, მაშინ საფეხბურთო კარიერის გაგრძელება იტალიაში მირჩევნია. მიმაჩნია, რომ იტალიის ჩემპიონატი უფრო მეტ საშუალებას მომცემს, მომავალში პროფესიონალ ფეხბურთელად ჩამოვყალიბდე”, - განაცხადა ტორესმა.

### მუტუ "ლივორნოში" ითამაშებს

იტალიური პრესის ცნობით, რუმინელი ფორვარდი ადრიან მუტუ, რომელიც დისკვალიფიკაციის ვადას იხდის, ტურინის “იუვენტუსში” კი არ ითამაშებს, რომელთანაც ახლახან კონტრაქტი გააფორმა, არამედ “ლივორნოში”. “ლივორნოს” პრეზიდენტის ალდო სპინელის თქმით, უახლოეს სეზონში კლუბი მხოლოდ “იუვენტუსის” ორი ფეხბურთელით გაძლიერდება. სწორედ ამ მიზეზით “ლივორნოს” ღირსებას არ დაიცავს ბრაზილიელი პაულინიო.

### "ფეიენოორდმა" შვედი შეიძინა

როტერდამის “ფეიენოორდმა” 4,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა გააფორმა შვედ მცველ ალექსანდრ ოსტლუნდთან. ოსტლუნდმა უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება ახალ კლუბში და შეუძლია, დებიუტი უკვე კვირას ჰქონდეს, როცა ჰოლანდიის ჩემპიონატის მატჩში “ფეიენოორდი” “ვიტესს” შეხვდება. შეთანხმების ფინანსურ მხარეზე არაფერია ნათქვამი.

### "ფიორენტინამ" მოლაპარაკება დაიწყო

ფლორენციის “ფიორენტინას” გენერალურმა დირექტორმა ფაბრიციო ლუჩეზიმ მოლაპარაკებები დაიწყო ევრო 2004-ის საუკეთესო ბომბარდირთან, “ლივერპულის” ფორვარდთან, ჩეხ მილან ბაროშთან. ბაროშის გარდა, ლუჩეზი განიხილავს ვარიანტებს “ვალენსიას” იტალიელი ფორვარდის ბერნარდო კორადის შესაძენად. თავის მხრივ, კორადის აგენტმაც დაადასტურა ფეხბურთელის ინტერესი იტალიაში შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით. ორივე ფეხბურთელი შეიძლება “ფიორეს” მიერ იჯარით ნახევარი წლით იქნეს აყვანილი.

### ფილიპსი სამი კვირით დაისვენებს

ტრავმის გამო ინგლისის “საუთჰემპტონის” ფორვარდი კევინ ფილიპსი იძულებულია, სამი კვირით დაისვენოს. კევინ ფილიპსმა არ მიიღო მონაწილეობა ინგლისის ჩემპიონატის 23-ე ტურის შეხვედრაში “ნიუკასლის” წინააღმდეგ და ამ შაბათს არ ითამაშებს არც “ლივერპულთა”. ფორვარდი მწყობრში უნდა ჩადგეს 29 იანვრისთვის, როცა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის გათამაშებაში “საუთჰემპტონი” “პორტსმუთს” შეხვდება.

### რობინიო "რეალს" სეზონის ბოლოს შეუერთდება

მადრიდის “რეალი” უახლოეს მომავალში ბრაზილიელ რობინიოსთან გააფორმებს კონტრაქტს. ამის თაობაზე მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. რობინიო “სამეფო კლუბს” 30 ივნისს შეუერთდება.

### "ბარსელონა" ალბერტინის ყიდულობს

კატალონიური “ბარსელონა” აპირებს შეიძინოს დემეტრიო ალბერტინი. ერთ დროს იტალიის ნაკრების სახელგანთქმული ნახევარმცველი ამჟამად ბერგამოს “ატალანტას” ღირსებას იცავს. “ბარსელონა” ალბერტინის იჯარის წესით აყვანას აპირებს.

### რობერტო ბაჯო არგენტინას გაახსენდა

არგენტინის ფეხბურთის კლუბი “ბოკა ხუნიორსი” ლეგენდარული იტალიელი ფორვარდის რობერტო ბაჯოს მიწვევას გეგმავს. კლუბის ხელმძღვანელობის აზრით, ბაჯო კლუბს ქვეყნის ჩემპიონატის მეორე ტურში დაეხმარება.

ოფიციალურად ბაჯომ გასულ სეზონზე დაასრულა კარიერა.

ალსანიშნავია, რომ არგენტინა მის მეორე სამშობლოდ ითვლება. ფეხბურთელს ბუენოს აირესთან ახლოს სახლი აქვს, ამიტომაც იქ ხშირად ჩადის.

“ყველაფერი შეიძლება მოხდეს”, - განაცხადა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა, რომელსაც ჟურნალისტებმა ამ ინფორმაციაზე კომენტარი სთხოვეს.

*რაგბი*

# სულაქველიძის დარტყმულმა ბურთი დააოვალა

## კარგი მორაგბე უცხოეთში არ უნდა მიდიოდეს

პაატა თოთაძე

ნაკრები ნელ-ნელა უნდა გაახალგაზრდავდესო, არაერთხელ უთქვამთ ქართული რაგბის ხელმძღვანელებს. ერთ-ერთი ახალგაზრდა, რომელსაც ალბათ მომავალში მოუწევს ნაკრების მაისურის მორგება, ჯაბა მალაღურაძეა. ყოველ შემთხვევაში, საამისოდ ყველა პირობაა შექმნილი. დღემდე მას ყველა ასაკის ნაკრებში უთამაშია.

- მამაჩემი მორაგბე იყო. პირველად ფეხბურთს ვთამაშობდი, მაგრამ არ გამომივიდა. მივედი თენგიზ სულაქველიძესთან, ვუთხარი, მეკარეობა მინდა-მეთქი. შემამოწმა. არ გამოვა შენგან მეკარეო. ისეთი დამირტყა, რომ... მერე ჩემმა მეგობარმა დათი კაჭარავამ შემომთავაზა, რაგბიზე წამოდიო. ცხრა წლის ვიყავი. თავიდანვე მომეწონა. ეტყობა, მამაჩემის ფაქტორმაც იმოქმედა. ერთი წლის შემდეგ მამა ჩემი მწვრთნელი გახდა, - ასე დაიწყო საუბარი ახალგაზრდა მორაგბემ.

- მამას გაუხარდა, თან ცოტა გაუკვირდა კიდეც. ერთხანს, როცა რაგბის თავი დაანება, ლაშა გეგენავამ მწვრთელობა შესთავაზა - მაინც დადიხარ და ბარემ დაგვეხმარეო. ასე დაიწყო მწვრთნელობა. ჯერ პატარებში იყო, მერე - დიდებშიც. მოკლედ, სულ თან დამყვებოდა

- მერე კადეტთა ნაკრებში მოვხვდი. ფოთის საერთაშორისო ტურნირი მოვიგეთ. ამის შემდეგ ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატზე ვითამაშე. A ჯგუფში მეათე ადგილზე გავედით. ჩვენი ამოცანა ჯგუფში ადგილის შენარჩუნება იყო.მოვახერხეთ კიდეც. მერე უკვე სტუდენტურ ნაკრებში მომიხდა თამაში. პარალელურად საქართველოს ჩემპიონატში გამოვდიოდი. 17 წლისა უმაღლეს ლიგაში მოვხვდი. მალევე გავხდი გუნდის კაპიტანი, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე პატარა ვიყავი. ერთი წლის შემდეგ მენისკის ოპერაცია გავიკეთე, მერე კი საფრანგეთში წავედი სათამაშოდ. სტუდენტურ ნაკრებთან ერთად გამოვედი ევროპის ჩემპიონატზე რუმინეთში, რომელიც იმავდროულად მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიც იყო. მეორე ადგილზე გავედით - ფინალში რუმინელებთან დავმარცხდით და დავრჩით მსოფლიო ჩემპიონატის გარეშე. რუმინელებმა ყველა ხერხი იხმარეს ჩვენს დასამარცხებლად, ქვებიც კი გვესროლეს. მოკლედ, დიდი ამბავი იყო. ამ დროს ფეხი მტკიოდა და ტურნირმა კიდევ უფრო გამირთულა ტრავმა. ამის მერე გავიკეთე ოპერაცია, შემდეგ კი პირდაპირ წავედი საფრანგეთში. ორჯერ გავხდი უმაღლესი ლიგის ვერცხლის პრიზიორი.



*ჯაბა მალაღურაძე: "მეკარეობა მინდოდა, მაგრამ მორაგბე გამოვედი".*

- ჩვენთან ცუდი პირობებია და უმეტესობას უცხოეთზე უჭირავს თვალი. არც სავარჯიშო მოედანი გვაქვს, არც ბურთები და ბალიშებია საკმარისი. გარდა ამისა, სემინარებია საჭირო, რომ რაგბის სიახლეები შევიტყოთ...

- ახლა ვთამაშობ საფრანგეთში, ფედერალ 3-ში. მინდა მივეჩვიო იქაურობას, ენა ვისწავლო, რომ წინსვლის საშუალება მქონდეს...

- ოთხი თვეა საფრანგეთში ვარ და ბევრი რამ შეიცვალა ჩემთვის. პირველ რიგში შეიცვალა თამაშის ტემპი. იქ გაცილებით მაღალი ტემპია. ჩვენი რაგბი უფრო კონტაქტურია, იქ კი უფრო გაშლილ რაგბის მათამაშებენ, შესაბამისად, ბურთის ფლობის ტექნიკას ვხვეწ. საერთოდ, ვიმაღლებ კლასს. სავარჯიშო პირობები უკეთესია, ამიტომ უკეთ და მეტს ვვარჯიშობ...

- "ყოჩების" დონე უფრო მაღალია, ვიდრე ფრანგული კლუბისა, მაგრამ იქ იმიტომ წავედი, რომ უფრო მაღალ დონეზე ვითამაშო მომავალში. იქ მორაგბეებს სელექციონერები მეტ ყურადღებას აქცევენ, უფრო ადვილი დასანახი ხარ. მიმაჩნია, რომ ჩვენი დონე ფედერალ 1-ის დონეს უთანაბრდება...

- ჩემთან ერთად თამაშობს ემზარ ძაგნიძე. მასზე დიდი გამოცდილების იქ ალბათ არავინაა. თავისი სიამოვნებისთვის თამაშობს და ვარჯიშობს. სხვათა შორის, საფრანგეთში ამპლუა შემიცვალეს. აქ რვა ნომრით ვთამაშობდი, იქ შვიდით და თორმეტითაც კი. ესეც კარგია, რომ ხაზში თამაშის გამოცდილება მაქვს...

- ამჟამად გვაქვს ხუთი მოგება და ექვსი წაგება, მაგრამ განსხვავება ლიდერებსა და აუტსაიდერებს შორის ძალიან მცირეა - ერთი მოგებით შეიძლება ცხრილის სათავეში მოექცე, შეიძლება ძირში. კლუბის ხელმძღვანელობას აღზევება სურს და ამის შანსი ნამდვილად არსებობს. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. სამი მწვრთნელი გვყავს. ერთ-ერთი საფრანგეთის ნაკრებში თამაშობდა.

- სამსახური არა მაქვს. სწავლა მინდა, მაგრამ ჯერ ენა ისე კარგად არ ვიცი. ამ პრობლემას რომ მოვაგვარებ, სწავლასაც მივხედავ. გუნდის შეცვლასაც ვაპირებ, უფრო მაღალი დონის კლუბში მინდა თამაში. ამიტომ იმ ქალაქის უნივერსიტეტში ჩაბარებას აზრიც არა აქვს. ნახევრად პროფესიული კლუბია. კვირაში სამჯერ გვაქვს ვარჯიში. მაღალ დივიზიონებში, ბუნებრივია, უფრო მეტი დატვირთვაა. დანარჩენ დღეებში ჩემით ვვარჯიშობ, ესე იგი, თავისუფალი ვარ...

- საქართველოში ჩამოსვლაზე ჯერ არ ვფიქრობ. იმიტომ რომ პირობები არ არის. თუ პირობები იქნება, ბუნებრივია, არავინ წავა საზღვარგარეთ.

- ზაზა ქასაშვილმა მომიხერხა კლუბი. ისაა ჩემი მენეჯერი...

- მამა, ბუნებრივია, ერევა ჩემს საქმეებში, თავის აზრს მიზიარებს. სულ კრიტიკულია, არასდროს არ მოსწონს ჩემი თამაში. ჩემი ძმაც ძალიან კრიტიკულია. ძალიან მინდა, მასთან ერთად ვითამაშო. მაისში რომ ჩამოვალ, ვითამაშებ. კარგი იქნება, თუ სხვებიც მოგვბაძავენ და ყველა ძმა ითამაშებს - მალაღურაძეები, მაისურაძეები, კაჭარავები, სოხაძეები...

- საქართველოს ჩემპიონატის დონემ დაიწია. კარგები უცხოეთში მიდიან, დარჩენილებს კი გამოცდილება არა აქვთ, ახალგაზრდები არიან, შესაბამისად, არც კლასი აქვთ მაღალი.

- იმედია, ეროვნულ ნაკრებშიც მომიწევს. ეს მწვრთნელებზეა დამოკიდებული. ნაკრების მწვრთნელებთან ადრეც მითამაშია: ჩავლეიშვილთან - სტუდენტურში, ჭეიშვილთან - კლუბში. ორივე მიცნობს და თუ საჭიროდ ჩათვლიან, მათამაშებენ...

- ლიგა კარგია, მე მგონი, წაადგება ქართულ რაგბის. მხოლოდ ის იქნება ცუდი, თუ მოთამაშეთა გადანაწილება დაიწყო. ისე არ მოხდეს, რომ ვერც ერთ საქმეში ვერ ვივარგოთ...

*ჭადრაკი*

# ესტონეთის პირველი დაფა ქართველია



*თორმეტი წლის გიორგი ჭანიაშვილი საქართველოში ჩამოსვლაზე ფიქრობს.*

12 წლის გიორგი ჯანიაშვილი ქართული საჭადრაკო სკოლისთვის უცხოა. სამაგიეროდ პატარა ქართველს კარგად იცნობენ ესტონეთში. მეტიც, ათი წლის წინათ ესტონეთში საცხოვრებლად წასული ჯანიაშვილების ოჯახის პატარა წევრი თანატოლებს შორის ესტონეთის ჩემპიონია ჭადრაკში. თუმცა, ქვეყნის ჩემპიონობა ერთადერთი არაა მის საჭადრაკო კარიერაში - რიგი ტურნირების გამარჯვებულიცაა და თასების მფლობელიც. მართალია, ესტონეთის მოქალაქეა და ათი წელიწადია, ბალტიისპირეთში ცხოვრობს, მაგრამ ჭადრაკის სიყვარული მაინც საქართველოში შეიძინა. საქმე ისაა, რომ ზაფხულობით გიორგი საქართველოში ჩამოდის. ერთ ზაფხულსაც, როდესაც ახლო ნათესავებს სტუმრობდა, დეიდამ გიორგის ჭადრაკის თამაში ასწავლა.

შარშან, წლის მიწურულს, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბალტიის ქვეყნებში იყო, ესტონეთში, ქართულ დიასპორასთან შეხვედრისას, სააკაშვილს გიორგი ჯანიაშვილი წარუდგინეს. საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრას იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია გიორგიზე, რომ მოგვიანებით მიხეილ სააკაშვილს გამოუგზავნა წერილი, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.

### სალამი საქართველოს პრეზიდენტს!

წერილს გწერთ ესტონეთის დედაქალაქიდან - ტალინიდან.

თქვენმა ჩამოსვლამ ესტონეთში ყველა ქართველზე და პირადად ჩემზე დიდი გავლენა იქონია. აქ მცხოვრებ ქართველებს საქართველო ძალიან გვიყვარს და ყოველთვის მის ბედ-იღბალზე ვფიქრობთ. ტელევიზიისა და ახლობლების გადმოცემით, თქვენზე კარგი შთაბეჭდილება მქონდა. ქართულ დიასპორასთან თქვენმა გულთბილმა შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ საქართველოს თქვენი სახით ჰყავს ძალიან ლამაზი, ნიჭიერი და ენერგიული ხელმძღვანელი. მივხვდი, რომ თქვენ საქართველო, ქართველი ხალხი გიყვართ და ყველა ღონეს ხმარობთ მისი კეთილდღეობისთვის. მე აქ თქვენით ვამაყობ.

ვარ 12 წლის, გიორგი ჯანიაშვილი. ვსწავლობ მეშვიდე კალსში. ვსწავლობ კარგად. მყავს უფროსი და მარინა. დიდი წარმატებები მაქვს ჭადრაკში. მრავალჯერ ვარ დაჯილდოებული საპატიო სიგელებით, მედლებითა და თასებით. 2004 წლის დეკემბერში 12-წლამდელთა შორის "საუკეთესო მოჭადრაკის" წოდება მომანიჭეს. დამატებით ვსწავლობ უცხო ენებს. უკვე მინდა საქართველოში დაბრუნება. მინდა, გავიზარდო სასახელო ქართველი, რომ მეც შევიტანო გარკვეული წვლილი საქართველოს კეთილდღეობაში.

მე და ჩვენი ოჯახი ყოველთვის ვცდილობთ, არ დავივიწყოთ საქართველო და ქართული ტრადიციები. დედა ქართულ საკვირაო სკოლას ხელმძღვანელობს. ხშირად ვმონაწილეობთ ტრადიციულ ნაციონალურ ფესტივალებში. მჯერა და იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში ყველაფერი კარგად იქნება. ვოცნებობ, მალე მოვიდეს ზაფხული, რომ საქართველოში ჩამოვიდე.

*ჩოგბურთი*

# ლაბაძე დამარცხდა



*ირაკლი ლაბაძისთვის ენდი როდიკი მეტისმეტი აღმოჩნდა.*

ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე ძალიან არ გაუმართლა ირაკლი ლაბაძეს - პირველივე წრეში ერთ დროს მსოფლიოს პირველი ჩოგანი ამერიკელი ენდი როდიკი ერგო მეტოქედ. როდიკს თავისი კარიერის განამვლობაში ერთეულთა თანრიგში 15 ტურნირი აქვს მოგებული და 7 746 881 მილიონი დოლარის საპრიზო თანხა გამოუმუშავებია.

როდიკი მელბურნშიც ამბიციებით სავსე ჩავიდა. ის ამერიკელ ჩოგბურთელთა შორის ტურნირის უმთავრეს ფავორიტად არის მიჩნეული. 2003 წელს ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე როდიკი ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ნახევარფინალში ფარ-ხმალი დაყარა. იმავე წელიწადს აშშ-ის ღია პირველობა მოიგო და უიმბლდონზეც ნახევარფინალში გავიდა.

წელს კი ამერიკელი იმედოვნებს, რომ ავსტრალიაში შეძლებს დაამხოს ანდრე აგასის ჰეგემონია და მის შემდეგ პირველი ამერიკელი გახდეს, რომელმაც მწვანე კონტინენტის უმთავრესი ტურნირი მოიგო. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ლაბაძესთან მატჩში მას პრაქტიკულად პრობლემა არ შეჰქმნია. სახელოვან ამერიკელს ირაკლიმ მხოლოდ პირველ სეტში გაუწია ასე თუ ისე ჯეროვანი წინააღმდეგობა.

ქართველმა ჩოგბურთელმა ბევრი უნებლიე შეცდომა დაუშვა - სულ 38, ორმაგი შეცდომა კი - 7. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ლაბაძეს მატჩი დაეთმო. მეტოქეებმა პირველ სეტში დიდი ყურადღებით დაიწყეს თამაში. ამერიკელს ნერვიულობა ეტყობოდა და დებიუტში შეცდომებსაც უშვებდა, მაგრამ ირაკლიმ ვერ გამოიყენა ეს უპირატესობა, მეთერთმეტე გეიმში თავისი მოწოდება წააგო და პირველი სეტიც მეტოქეს დაუთმო. აღმოჩნდა, რომ ეს გადამწყვეტი სეტი ყოფილა, რადგან ნერვიულობის გამო ქართველმა ჩოგბურთელმა შეცდომებს უმატა, მომდევნო სეტებში კი მეტოქეს პრაქტიკულად წინააღმდეგობა ვერ გაუწია. საბოლოოდ - 7:5, 6:2, 6:1 ამერიკელის სასარგებლოდ.

ირაკლისგან განსხვავებით, მელბურნში წარმატებით აიღო სტარტი ანა ჩაკვეტაძემ, მაგრამ, სამწუხაროდ, ის რუსეთის ღირსებას იცავს. ანამ პირველ წრეში დაამარცხა ესპანელი არანტა პარა სანტონია - 6:3, 6:2 და მეორე წრეში გავიდა. საერთოდ, რუსებისთვის პირველი წრე იღბლიანი გამოდგა. ამ ქვეყნის ყველა წარმომადგენელმა გააღწია მეორე წრეში, მაგრამ საინტერესოა, რომ პირველი სკანდალიც რუს ჩოგბურთელებს უკავშირდება.

ბელგიის სპორტის მინისტრმა კლოდ ერდეკენმა განაცხადა, რომ 2004 წლის 19 დეკემბერს შარლერუაში თამაშის დროს სვეტლანა კუზნეცოვას დოპინგკონტროლზე დადებითი შედეგი აღმოაჩნდა და ბელგიელი ჩინოვნიკი რუს ჩოგბურთელს დოპინგის მოხმარებაში ამხელს. მისი თქმით, კუზნეცოვას ორგანიზმში ეფედრინი აღმოაჩნდა. ამას რუსებისა და WTA-ის ხელმძღვანელობის მხრიდან მძაფრი რეაქცია მოჰყვა.

საქმე ის არის, რომ კუზნეცოვა სურდოს წამლებს იყენებდა, რომლებიც გარკვეული დოზით ეფედრინს შეიცავენ. არადა, ასეთი წამლები აფთიაქებში ურეცეპტოდ იყიდება და ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდომია.

კუზნეცოვა ადასტურებს, რომ წამლებს ხმარობდა, მაგრამ უაღრესად აღშფოთებულია იმის გამო, რომ სკანდალის ობიექტად გადაიქცა. "მე ვამაყობ იმით, რომ პატიოსანი სპორტსმენი ვარ და აღშფოთებას გამოვთქვამ ასეთი უღირსი განცხადებების გამო, - განაცხადა 19 წლის ჩოგბურთელმა, - არაფერში არ მჭირდებოდა, დოპინგი მიმეღო ისეთ ტურნირში თამაშისას, რომელიც სეზონის კალენდარში არ რის გათვალისწინებული".

მომხდართან დაკავშირებით თავისი კომენტარი გააკეთა WTA-ის ხელმძღვანელმა ლარი სკოტმა. "თუ ეფედრინი მიღებულია არაოფიციალური შეჯიბრების დროს, მაშინ, ჩვენი წესების თანახმად, დარღვევა არ მომხდარა. ჩვენ დოპინგს ძალიან სერიოზულად ვებრძვით, მაგრამ ასეთი შემთხვევები ყველაფერს წყალში გვიყრის. ამგვარი უცერემონიო განცხადების გამო სპორტულმა ჩინოვნიკმა ჩოგბურთელს ბოდიში უნდა მოუხადოს, - განაცხადა სკოტმა".

| ვაჟები: | |
|---|---|
| ნიკოლას მასუ (ჩილე, 18) - ანტონი დიუპუა (საფრანგეთი) | 6:7, 7:6, 6:3, 6:2 |
| ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 7) - სირილ სოლნიე (საფრანგეთი) | 6:1 6:2 4:6 6:3 |
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 3) - არნო კლემანი (საფრანგეთი) | 6:3 6:4 6:1 |
| გილიერმო კორია (არგენტინა) - ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 6:2, 6:4, 6:0 |
| ენდი როდიკი (აშშ, 2) - ირაკლი ლაბაძე (საქართველო) | 7:5, 6:2, 6:1 |
| გილიერმო კანასი (არგენტინა, 12) - კრის გუჩიონე (ავსტრალია) | 6:4, 6:2, 7:6 |
| რაფაელ ნადალი (ესპანეთი) - ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) | 6:0, 6:4, 6:2 |
| ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა, 25) - უეინ არტურსი (ავსტრალია) | 6:4, 7:6, 7:6 |
| ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 23) - ხოსე აკასუსო (არგენტინა) | 3:6, 3:6, 6:3, 6:3, 7:5 |
| გრეგ რუსედსკი (ბრიტანეთი) - იონას ბიორკმანი (შვედეთი) | 2:6, 6:4, 6:0, 7:6 |
| იგორ ანდრეევი (რუსეთი) - ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) | 7:6, 6:1, 6:2 |
| მიხაილ იუჟნი (რუსეთი, 15) - ჟერომ ჰანელი (საფრანგეთი) | 6:2, 6:2, 7:5 |
| რიკარდო მელო (ბრაზილია) - ალბერტო მარტინი (ესპანეთი) | 6:3, 6:3, 7:6 |
| ბობი რეინოლდსი (აშშ) - ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 5:7, 6:4, 7:6, 7:6 |
| ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) - ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) | 6:3, 6:0, 6:4 |
| რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) - ვინსენტ სპადეა (აშშ, 19) | 6:3, 5:7, 4:6, 7:5, 6:3 |
| ჟან რენე ლისნარი (საფრანგეთი) - ოლივიე მარაქსი (ავსტრალია) | 5:7, 5:7, 6:1, 6:4, 7:5 |
| სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 14) - მიქაელ ლოდრა (საფრანგეთი) | 6:3, 6:4, 6:3 |
| ანდრეი პაველი (რუმინეთი, 17) - ოლივიე მუტისი (საფრანგეთი) | 6:4, 6:4, 6:0 |
| იურგენ მელცერი (ავსტრია, 32) - რეიმონ სლუიტერი (ჰოლანდია) | 3:3. |
| | სლუიტერმა თამაში შეწყვიტა. |
| იან ჰერნიში (ჩეხეთი) - ფელიქს მანტილია (ესპანეთი) | 6:4, 6:7, 6:1, 6:0 |
| ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი, 26) - როკო კანანუშიჩი (ხორვატია) | 6:2, 7:5, 6:2 |
| ნათან ჰიტლი (ავსტრალია) - ფლავიო სარეტა (ბრაზილია) | 4:6, 4:6, 6:1, 5:0. |
| | სარეტამ თამაში შეწყვიტა. |
| გრეგორი კარასი (საფრანგეთი) - პოლ-ანრი მატიე (საფრანგეთი) | 6:4 5:7 7:5 7:6 |
| კრისტოფ როხუსი (ბელგია) - ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) | 6:2 6:3 6:3 |
| ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) - ფილიპო ვოლანდრი (იტალია) | 6:3 6:4 7:6 |
| ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 31) - მელე ვან გემერდენი (ჰოლანდია) | 6:3 6:4 7:6 |
| ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) - კენეტ კარლსენი (დანია) | 7:6 6:2 6:1 |
| ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 23) - ხოსე აკასუსო (არგენტინა) | 3:6 3:6 6:3 6:3 7:5 |

| ქალები: | |
|---|---|
| ვინუს უილიამსი (აშშ, 8) - ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) | 6:1 7:5 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) - კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 6:1 6:0 |
| ციპორა ობლიზერი (ისრაელი) - ემილი ლუა (საფრანგეთი) | 7:6 6:4 |
| ანა სმაშნოვა (ისრაელი, 27) - მარია სანჩეს ლორენცო (ესპანეთი) | 4:6 6:0 6:0 |
| ტატიანა პერებიინისი (უკრაინა) - კაპუჩინე რუსო (საფრანგეთი) | 1:6 6:4 7:5 |
| პეტი შნაიდერი (შვეიცარია, 12) - იულიანა ფედაკი (უკრაინა) | 6:1, 6:1 |
| ელენა დემენტიევა (რუსეთი, 6) - ალინა ბონდარენკო (უკრაინა) | 6:3, 6:3 |
| ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) - ბარბარა სტრიკოვა (ჩეხეთი) | 6:0, 6:2 |
| ტატიანა პანოვა (რუსეთი) - ანტონელა სიერა-ძანეტი (იტალია) | 4:6, 6:2, 6:1 |
| ელენა იანკოვიჩი (სერბეთი, 23) - ნიკოლ პრატი (ავსტრალია) | 6:1, 6:3 |
| ალისია მოლიკი (ავსტრალია, 10) - ანაბელ მედინა ჰარიგესი (ესპანეთი) | 6:1, 6:3 |
| ანასტასია მისკინა (რუსეთი, 3) - კვეტა პეშკე (ჩეხეთი) | 6:1, 6:4 |
| დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 26) - აკიკო მორიგამო (იაპონია) | 6:4, 7:5 |
| კაროლინა სპრემი (ხორვატია, 13) - მონიკ ადამჩაკი (ავსტრალია) | 6:2, 6:3 |
| ნიკოლ ვაიდისოვა (ჩეხეთი) - მარია ვენტო-კაბჩი (ვენესუელა) | 6:7, 6:4, 6:2 |
| ტატიანა გარბინი (იტალია) - მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) | 7:5, 7:6 |
| აიკო ნაკამურა (იაპონია) - ანჯელა ჰეინესი (აშშ) | 6:3, 6:4 |
| ბარბარა შეტი (ავსტრია) - ტიფანი ველვორდი (ავსტრალია) | 6:3, 1:6, 6:2 |
| ელენა კოსტანიჩი (ხორვატია, 31) - კეისი დელაკვა (ავსტრალია) | 3:6, 6:2, 6:2 |
| კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) - მეილენ ტუ (აშშ) | 6:3, 6:3 |
| ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) - არანტა პარა სანტონია (ესპანეთი) | 6:3, 6:2 |
| ფრანჩესკა სკიავონე (იტალია, 14) - მარტა მარერო (ესპანეთი) | 6:3, 6:2 |
| შუაი პენი (ჩინეთი) - მარია ელენა კამერინი (იტალია) | 6:1, 6:2 |
| ლაიზა რეიმონდი (აშშ, 25) - ანასტასია იაკიმოვა (ბელორუსი) | 6:0, 6:1 |
| მაშონა ვაშინგტონი (აშშ) - კატალიან კასტანიო (კოლუმბია) | 6:2, 6:3 |

*ფორმულა 1*

# რომის პაპი და "ფერარი"

*ახლახან ვიუწყებოდით, რომ "ფერარის" ხელმძღვანელობა, მრბოლები თუ ტექნიკური პერსონალი ვატიკანის გზას უნდა დაადგნენ, რათა რომის პაპს იოანე პავლე მეორეს საკუთარი ვიზიტით დასდონ პატივიო. სკუდერეიელები მართლაც ეწვივნენ პაპს.*

"ფერარის" საჯინიბო ვატიკანში ხელდამშვენებული ჩავიდა - იოანე პავლე მეორეს საჩუქრად გადასცა ბოლიდის ზუსტი ასლი. ვატიკანის პრესსამსახურის ცნობით, იოანე პავლე მეორის შეხვედრა ფერარელებთან ორშაბათს პაპის სასახლეში საგანგებო აუდიენციებისთვის განკუთვნილ "კლემენტინას" დარბაზში გაიმართა. აუდიენციაზე იყვნენ პილოტებიც, რა თქმა უნდა, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის მიხაელ შუმახერის თავკაცობით, "ფერარის" გენერალური დირექტორი ჟან ტოდტი და კომპანიის პრეზიდენტი ლუკა კორდერო დი მონტეძემოლო.

რაც შეეხება პაპისთვის გადაცემულ ძღვენს, "ფერარის" ზუსტ ასლს, რომლითაც სკუდერიელებმა გასულ სეზონში "დიდი პრიზების" უმეტესობა მოიგეს, სარბოლო ბოლიდზე ხუთჯერ უფრო პატარაა და იგი პონტიფიკატის 26 წლის იუბილეს მიეძღვნა. ბოლიდზე ამოტვიფრულია სიტყვები: "იოანე პავლე II, რომელსაც 26 წელია კაცობრიობის გზაზე მოწინავე პოზიცია უკავია".

შეხვედრის შემდეგ, პაპის მოწოდების საპასუხოდ, ჟან ტოდტმა გადაწყვიტა, აუქციონზე გაიტანოს "ფერარის" საჯინიბოსთვის ყველაზე ძვირფასი მოდელი და შემოსული თანხა ცუნამისგან დაზარალებული აზიური ქვეყნების დახმარების ფონდში გადაირიცხოს.

აუქციონზე გასატანი მანქანის (ის შეზღუდული სერიით გამოდის) გასაყიდი ფასი 640 ათასი ევროა. თუმცა, კომპანიის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ შემოსული თანხა მილიონს მიაღწევს.

*TV-სპორტი*

## ოთხშაბათი. 19 იანვარი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. "სანტოსი" - "სან-პაულუ"
14:00 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. გერმანიის ჩემპიონატი. "შალკე" - "შტუტგარტი"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:55 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:50 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - პორტუგალიის ჩემპიონატი. "ბენფიკა" - "ბოავიშტა"
19:35 თავისუფალი დარტყმა
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "ჩელსი" - "პორტუ"
21:50 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:45 თავისუფალი დარტყმა
23:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:00 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:10, 16:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:40 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "SEATTLE SUPERSONICS" - "DENVER NUGGETS"
13:25 "ვარსკვლავური სამშაბათი"
14:25 სნოუბორდი. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში. ქალები. ვაჟები. პარალელური გიგანტური სლალომი. ფინალი
16:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
21:00 "სპორტისიმო"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "ჰოკეი-პლუს"
22:15 "თოვლის სამყარო" - ტელეჟურნალი
22:45 "ვატერპოლე"
23:20 ახალი ამბები
23:40 სნოუბორდი. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში. ქალები. ვაჟები. პარალელური გიგანტური სლალომი. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:45 01:45-დან 02:55-მდე შესვენება
02:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
16:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი იტალიაში. ინდივიდუალური რბოლა. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 სნუკერი. უელსის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი იტალიაში. ინდივიდუალური რბოლა. ვაჟები. მიმოხილვა
22:00 სნუკერი. უელსის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ახალი ამბები
01:15 ტრიალი. სადარბაზო მსოფლიო ჩემპიონატი ბრიტანეთში
02:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. მიმოხილვა
03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

# არსებობს თუ არა მართლმადიდებლობაში აზრისა და სინდისის თავისუფლება?

ნიკოლოზ ბერდიაევი
1939 წ.

*თქვენ დაპატარავდით და კიდევ უფრო დაპატარავდებით: ეს გიყოთ თქვენმა მოძღვრებამ მორჩილების შესახებ.*

***პერიფრაზი ნიცშეს წიგნიდან "ასე ამბობდა ზარატუსტრა" - ნ. ბ.***

დგება დრო, როცა უნდა შევწყვიტოთ ორაზროვნება, გავანებოთ თავი ქარაგმებს და წრფელად და ცხადად ვუპასუხოთ, აღიარებს თუ არა მართლმადიდებელი ეკლესია აზრისა და სინდისის თავისუფლებას? სამართლიანია თუ არა მართლმადიდებელთა მხრიდან მუდმივი ბრალდებები კათოლიკეთა მიმართ, თითქოს ამათ არ ჰქონდეთ თავისუფლება - ბრალდებები, რომლებიც ეყრდნობიან ვარაუდს, თითქოს თვით მართლმადიდებლებს ამგვარი თავისუფლება აქვთ? სხვა შეკითხვასაც სვამენ: დაკავშირებულია თუ არა მართლმადიდებლობა გარკვეულ პოლიტიკურ სისტემასთან, მაგალითად, მონარქიზმთან, ნაციონალიზმთან, წოდებრივ წყობილებასთან, დღევანდელი მოდის თანახმად ფაშიზმთან, თუ ის აზრთა სხვადასხვაობას უშვებს? შეუძლია თუ არა მართლმადიდებელს, თუ კი მართლმადიდებელი სასულიერო სასწავლებლის პროფესორია, იყოს ამავე დროს დემოკრატი, სოციალისტი, თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის, ადამიანის ღირსების დამცველი?

ეს შეკითხვა განსაკუთრებით მწვავდება გ. პ. ფედოტოვის მძიმე შემთხვევის გათვალისწინებით. სალვთისმეტყველო ინსტიტუტის პროფესორის, მიტროპოლიტის წინადადებით გ. პ. ფედოტოვს წაუყენეს ულტიმატუმი: ან თავი დაანებოს "ნოვაია როსიაში" და "მემარცხენე" მიმართულების სხვა ორგანოებში სტატიების გამოქვეყნებას, ან წავიდეს სალვთისმეტყველო ინსტიტუტიდან. გ. პ. ფედოტოვის წინააღმდეგ ეს გადაწყვეტილება გამოიტანეს ადამიანებმა, რომლებსაც მისი სტატიები არ წაუკითხავთ და იყენებდნენ მხოლოდ აზრის დამმახინჯებელ ციტატებს ერთი გაზეთიდან, რომელიც ყვითელი პრესის ყველაზე უზადრუკ ნიმუშს წარმოადგენს.

მე არ შევჩერდები ამ სამარცხვინო ისტორიის ანალიზზე, რომელიც მეტყველებს სიმამაცის გასაოცარ ნაკლებობასა და მონურ გრძნობებზე, რაც, ვაი რომ ძალზე ტრადიციულია. მე პრინციპული საკითხი მაინტერესებს. საქმე ეხებოდა არა სალვთისმეტყველო, არამედ პოლიტიკური შინაარსის სტატიებს. ბრალდება კი ის იყო, რომ ეს სტატიები "მემარცხენეა" და რომ ავტორი არ შეიძლება იყოს მიჩნეული "ეროვნული აზროვნების" მქონედ. ამტკიცებენ, რომ სალვთისმეტყველო ინსტიტუტის პროფესორისთვის დაუშვებელია პოლიტიკაში ჩარევა. მაგრამ ეს სიცრუეა. სალვთისმეტყველო ინსტიტუტის პროფესორებს აქვთ პოლიტიკით დაინტერესების უფლება, ოღონდ ეს აუცილებლად "მემარჯვენე" პოლიტიკა უნდა იყოს. არავინ უბრძანებდა სალვთისმეტყველო ინსტიტუტის პროფესორს მასწავლებელთა რიგების დატოვებას, მას რომ დაეწერა სტატია მონარქისტული რესტავრაციის ან უკიდურესად ნაციონალისტური პოლიტიკის დასაცავად. ერთ-ერთი პროფესორი მემარჯვენე ნაციონალისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელიც კი იყო. ემიგრაციაში მყოფი ეკლესია თავისი იერარქიით განუწყვეტლივ ასრულებდა პოლიტიკურ აქციებს დემონსტრაციული პარაკლისებით, პანაშვიდებითა და ქადაგებებით. ამით ის მძიმე ჭრილობებს აყენებდა რუსეთის საზღვრებში დარჩენილ ეკლესიას. არა, პოლიტიკით დაინტერესების აკრძალვა მხოლოდ "მემარცხენე" პოლიტიკას ეხება.

გ. პ. ფედოტოვი ქრისტიანი დემოკრატი, ჰუმანისტი და ადამიანის თავისუფლების დამცველია. მას ეზიზღება კომუნიზმი. ის, უეჭველად, რუსი პატრიოტიც არის, რაც უფრო ღირსეულია, ვიდრე "ეროვნული აზროვნების" ქონა. მას სრულიად არ გააჩნია უკიდურესი თვალსაზრისები. აღმოჩნდა, რომ ქრისტიანული დემოკრატიისა და ადამიანის თავისუფლების დაცვა დაუშვებელია სალვთისმეტყველო ინსტიტუტის პროფესორისთვის. მართლმადიდებელი პროფესორი უნდა იცავდეს ფრანკოს, რომელმაც საკუთარი სამშობლო უცხოელებს მიუგდო და თავისი ხალხი სისხლში დაახრჩო. ცხადია, რომ სალვთისმეტყველო ინსტიტუტის პროფესორთა მიერ გ. პ. ფედოტოვის გაკიცხვა პოლიტიკური აქტი იყო, აქტი, რომელმაც მოახდინა ამ დაწესებულების ღრმა კომპრომეტირება და რეაქციული ელფერი შესძინა მას. გ. პ. ფედოტოვისგან ითხოვენ, რომ მან "ეროვნული აზროვნება" შეიძინოს, თუმცა მას ნამდვილად ვერ დასდებ ბრალს ინტერნაციონალიზმის მიმართ თანაგრძნობაში. არაფერია უფრო საზიზღარი, ვიდრე გამოთქმა "ეროვნულად მოაზროვნე". ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს "ეროვნულად მოაზროვნე": პრაქტიკულად ეს ნიშნავს იყო არაკაცი, ანგარებიანი, მოძალადე, ომის და ხშირად საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ომის პროვოკატორი. სამყარო იღუპება ნაციონალიზმის გამო, სისხლში იხრჩობა "ეროვნულად მოაზროვნეთა" მიზეზით.

ეკლესიას უნდა დაეგმო ნაციონალიზმი, როგორც სიცოცხლის ერესი და კათოლიკური ეკლესია მიუახლოვდა ამ დაგმობას. ნაციონალიზმი არის წარმართობა ქრისტიანობის წიაღში, ეს სისხლისა და რასის ინსტინქტთა ალვირახსნილობაა. ქრისტიანებს, რომლებიც არ ღალატობენ ქრისტესა და სახარებას (ქრისტიანთა უმრავლესობა ღალატობს), არა აქვთ უფლება იყვნენ "ეროვნულად მოაზროვნენი", ისინი ვალდებულნი არიან "იაზროვნონ უნივერსალურად", ეთანხმებოდნენ სახარებისეულ მორალს და, ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანურ მორალს. ისიცაა, რომ თანამედროვე "ეროვნულად მოაზროვნეებს" არაფერი აქვთ ეროვნული, ისინი სრულიად არ უფრთხილდებიან ეროვნულ კულტურას, მაგალითად, რუსი "ეროვნულად მოაზროვნენი" სრულიად არ სცემენ პატივს რუსული ლიტერატურის ტრადიციებს, გერმანელი "ეროვნულად მოაზროვნენი" სრულიად არ სცემენ პატივს გერმანული ფილოსოფიის ტრადიციებს. ემიგრაციაში მყოფ რუს "ეროვნულ მოაზროვნეებზე" ლაპარაკიც არ ღირს: ისინი არხეინად ტოვებენ რუსეთს მისი მოსისხლე მტრის, ჰიტლერის ხელში. გენერალ ფრანკოსაც "ეროვნულ მოაზროვნედ" მიიჩნევენ, თუმცა ის საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამანადგურებელ ომს ეწევა იტალიელებისა და გერმანელების დახმარებით.

სამარცხვინოც კია წარმოთქვა სიტყვები "ეროვნულად მოაზროვნე", "ეროვნული პოლიტიკა", იმდენად მდაბალი მისწრაფებები იმალება მათ უკან. პოლიტიკისადმი ქრისტიანული დამოკიდებულების ერთადერთი კრიტერიუმი არსებობს - ადამიანურობა, ანუ სამართლიანობა, გულმოწყალება, პიროვნების ღირსება. კომუნიზმი ქრისტიანობამ უნდა გაასამართლოს არა იმიტომ, რისთვისაც მას "მემარჯვენეები" და "ეროვნულად მოაზროვნეები" გმობენ, არამედ ადამიანის თავისუფლების უარყოფისთვის, გულმოწყალების არარსებობისა და სისასტიკისთვის. "ეროვნულად მოაზროვნეები" თვითონაც სიამოვნებით მოსპობდნენ თავისუფლებას, არანაირ ანგარიშს არ გაუწევდნენ ადამიანის ღირსებას და ალბათ არც ნაკლებ სისასტიკეს გამოიჩენდნენ. რუსული კომუნისტური რევოლუციის სიმახინჯე ეს, უპირველეს ყოვლისა, ძველი რეჟიმის "მემარჯვენეთა" და "ეროვნულად მოაზროვნეთა" დამსახურებაა.

არის გ. პ. ფედოტოვის წინააღმდეგ კიდევ ერთი ბრალდება: ის ინტელიგენტია. როგორც ჩანს, მისი "არაეროვნულობა" და "მემარცხენეობა" მისი ინტელიგენტური ბუნებით აიხსნება. რევოლუციის წინააღმდეგ ობსკურანტულმა რეაქციამ "ინტელიგენტი" და "ინტელიგენცია" სალანძღავ სიტყვებად აქცია. ახალგაზრდობის უმეცარი ნაწილი, რომელმაც გამოყენებული ტერმინოლოგიის არც ისტორია იცის და არც შინაარსი, განსაკუთრებით დარწმუნებულია, რომ "ინტელიგენტობა" ძალიან ცუდი რამაა. ეს სისაძაგლე უნდა დასრულდეს. რას უპირისპირებენ "ინტელიგენციას"? უპირველეს ყოვლისა, ორგანულ წოდებებს: თავად-აზნაურობას, სამღვდელოებას, ვაჭრებს, მეშჩანებსა და ჩინოვნიკებს. რუსულ ინტელიგენციას მრავალი ნაკლოვანება ჰქონდა და თავის დროზე მეც არაერთხელ გამიკრიტიკებია ის, როცა ეს არ ნიშნავდა ძირს დავარდნილის ცემას. მაგრამ ეს წოდებები საკუთარ ანგარებიან ინტერესებს იცავდნენ, ჩაფლულნი იყვნენ საკუთარ შეზღუდულ ყოფაში, მათ ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე მონური მორჩილება ახასიათებდათ. ინტელიგენცია კი თავისებურად ეძებდა ჭეშმარიტებასა და სამართალს, იბრძოდა ადამიანის ღირსების, ხალხის თავისუფლებისთვის, არ იცავდა არანაირ კლასობრივ ინტერესებს და კლასობრივ შეზღუდულობაზე მაღლა იდგა.

მართალია, XIX საუკუნის რუსი თავად-აზნაურობიდან საოცრად უანგარო ადამიანები გამოვიდნენ, რომლებმაც დასძლიეს საკუთარი კლასის წარმოდგენები და ინტერესები, გამათავისუფლებელ მოძრაობაში შევიდნენ. თავად-აზნაურობიდან გამოვიდნენ დიდი რუსული ლიტერატურის შემოქმედნიც. მაგრამ მაშინ ისინი ინტელიგენტებად იქცეოდნენ და ერწყმოდნენ ინტელიგენციას, რომელშიც სხვადასხვა კლასის წარმომადგენლები შედიოდნენ. მე უფრო მეტი საფუძველი მაქვს, ვიამაყო იმით, რომ "ინტელიგენტი" ვარ, ანუ ჭეშმარიტებასა და სიმართლეს ვეძებდი, ვიდრე ჩემი აზნაურული წარმოშობით.



*ნიკოლოზ ბერდიაევი*

როცა ამბობენ, რომ მართლმადიდებელი "ეროვნულად მოაზროვნე" უნდა იყოს და არ უნდა იყოს "ინტელიგენტი", ყოველთვის სურთ, დაიცვან ის ძველი წარმართობა, რომელმაც შეაღწია მართლმადიდებლობაში, რომელსაც შეეზარდა მართლმადიდებლობა და არც კი სურს განწმენდა. ასეთი სულიერი წყობილების ადამიანებს შეუძლიათ იყონ ძალიან მართლმადიდებლები, მაგრამ ისინი მცირედ არიან ქრისტიანები. ისინი სახარებას ბაპტისტურ წიგნად მიიჩნევენ, არ უყვართ ქრისტიანობა და თავიანთი ინსტინქტებისა და ემოციებისთვის საშიშად მიიჩნევენ მას. სწორედ ყოფითი მართლმადიდებლობაა ქრისტიანობის წიაღში შესული წარმართობა.

ამ წარმართობამ უკვე დიდი ხანია დაკარგა თავისი ძველი პოეზია, ის ახლა თავს იცავს როგორც ძველი ტრადიცია და ჰუმანიზმს უპირისპირდება. ქრისტიანული თვალსაზრისით ეს ტრადიცია ძალიან ძველია, მაგრამ ის ვერ უტოლდება ქრისტიანული გამოცხადების, პირველადი ქრისტიანობის, ბერძნული პატრისტიკის საფუძვლებს. მისი წარმართული ფესვები ძალიან ძველია: ტომობრივი კულტები, ოჯახური კერის კულტები, ტოტემიზმი და პირველყოფილი კლანებიც კი. ყოველგვარი ცრურწმენა, ყოველგვარი ყოფითი წეს-ჩვეულება ცხადდება წმინდათაწმინდა ტრადიციად. მაგრამ არ არსებობს საფუძველი, ვამტკიცოთ, რომ ყოველგვარი ტრადიცია კეთილია. ტრადიცია შეიძლება იყოს წარსულში ჩადენილი ღალატი, წარსულის ყველაზე მდაბალი მონობის მიმართ კონფორმიზმი. სახარება სულაც არ არის ტრადიციული, ის ტრადიციონალიზმს ეწინააღმდეგება, ის რევოლუციურია.

ისტორიის განმავლობაში "კეისრის სამეუფოს" ზეგავლენით სხვადასხვა სისაძაგლის საკრალიზება მომხდარა. მონობა, ბატონ-ყმობა, ფილარეტის კატეხიზმოს შესავალი, სახელმწიფოს დესპოტური ფორმა, სამეცნიერო ცოდნის ჩამორჩენილობა - ეს ყოველივე წმინდათაწმინდა ტრადიცია ყოფილა. არ არსებობს მონობის, დესპოტიზმისა და ობსკურანტიზმის ისეთი ფორმა, რომელიც ტრადიციას არ უკურთხებია. არ არსებობს რამე უფრო საშინელი, ვიდრე ის დასკვნები, რაც ისტორიულმა მართლმადიდებლობამ მორჩილების იდეიდან გამოიტანა. მორჩილების სახელით ითხოვდნენ ბოროტებისა და უსამართლობის დათმენას. ეს მაამებლობის სკოლად გადაიქცა. ყალიბდებოდა ყოველგვარ სიმამაცეს მოკლებული მონური სულები, რომლებიც ამქვეყნიური ხელისუფლების წინაშე თრთოდნენ. სამოქალაქო სიმამაცე და ღირსების გრძნობა შეუთავსებელი იყო მორჩილების ამგვარ გაგებასთან. აქედან წარმოიშვა საბჭოთა რუსეთში გამეფებული მლიქვნელობა.

რუსი სამღვდელოება, ეკლესიის იერარქები ყოველთვის თრთოდნენ სახელმწიფო ძალაუფლების წინაშე, მას ესადაგებოდნენ და ეკლესიასაც უმორჩილებდნენ. ასეა ახლაც, როცა, მადლობა ღმერთს, აღარ არსებობს სიცრუით სავსე "მართლმადიდებელი სახელმწიფო". დღესაც საეკლესიო მოღვაწეები თრთიან მემარჯვენე ემიგრაციის წინაშე, რომელიც სახელმწიფო ძალაუფლების როლს თამაშობს, იმის მაგიერ, რომ ქრისტიანობა ისწავლოს. სწორედ ამას ვხედავთ გ. პ. ფედოტოვის ისტორიაშიც, რაც მას დიდ პატივს ანიჭებს. გაბატონებული ატმოსფეროს მსხვერპლად იქცნენ ისეთი გამოჩენილი ადამიანებიც, როგორიცაა მამა სერგი ბულგაკოვი.

მწუხარებით უნდა ვაღიარო, რომ ოფიციალური მართლმადიდებლობა ქრისტიანობის ყველაზე ობსკურანტული და ინერტული ფორმაა. მხოლოდ ორი გამონაკლისი არსებობდა: ბერძნული პატრისტიკა და XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის რუსული რელიგიური აზროვნება. ბერძნული პატრისტიკიდან, ორიგენეს, წმ. გრიგოლ ნაზიანზელის, წმ. გრიგოლ ნოსელის, წმ. იოანე ოქროპირის თხზულებებიდან შეიძლება შევაგროვოთ ციტატები, რომლებიც მშვენიერ საფუძვლად გამოდგება სალვთისმეტყველო ინსტიტუტის პროფესორობიდან მათ გასარიცხად. მაგალითად, იოანე ოქროპირი თავისი დროის ნამდვილი კომუნისტი, კონსტანტინოპოლის პროლეტარიატის წარმომადგენელი იყო. უიღბლო რუსული რელიგიური აზროვნება კი ოფიციალურად არავინ აღიარა, მას არამართლმადიდებლობას აბრალებდნენ და ახლა წინანდელზე უფრო სასტიკად კიცხავენ. მაგრამ მხოლოდ რუსულ რელიგიურ აზროვნებაში, ხომიაკოვთან, დოსტოევსკისთან, ვლ. სოლოვიოვთან, XX საუკუნის მოაზროვნეებთან არსებობდა აზრისა და სინდისის თავისუფლება. მას არასოდეს უარსებია ოფიციალურ მართლმადიდებლობაში, ეფიციალურ ეკლესიურობაში. ისეთი ადამიანები, როგორებიცაა ნილ სორელი და ტიხონ ზადონსკი, გამონაკლისებია.

ეკუმენიზმისკენ მიდრეკილი დასავლელი ქრისტიანები ყველაზე მეტად ინტერესდებიან რუსული რელიგიური აზრით და ხშირად ერევათ ის ოფიციალურ ეკლესიურობაში. ამ ნიადაგზე ხშირად ხდება ნამდვილი მისტიფიკაცია. "მემარჯვენე" მართლმადიდებლები მუდამ ელიან თავიანთ "კეისარს", რომელიც მათ დაიცავს და დაიფარავს, მახვილით განგმირავს მათ მტრებს. ეს მოლოდინი სპობს მართლმადიდებლობას. "კეისარს" სალვთო სასუფევლისთვის კი არ ელიან, არამედ კეისრის სამეუფოსთვის, რომელსაც დიდი ხანია ღვთის ნაცვლად ეთაყვანებიან. დამშვიდნენ, სასურველი "კეისარი" გამოეცხადებათ, თუ ქრისტიანთა სულიერი ძალები წინ არ აღუდგებიან ამას, მაგრამ ის ანტიქრისტეს წინამორბედი იქნება. მაშინ მოენატრებათ თავისუფლების მოყვარული დემოკრატია. ცოდვის შესახებ ცრუ და მონური მოძღვრება, მორჩილების მცდარი გაგება საბოლოოდ მოიყვანს ბოროტების მეუფებას და ამა სოფლად ანტიქრისტიანულ სულს გააბატონებს.

ჩვენ ყველაზე მეტად გვჭირდება უშიშარი გულწრფელობა, პირობითი სიცრუის საბოლოო აღმოფხვრა, რადგან მასში ლპება ოფიციალური ეკლესიურობა, ლპება მთელი ქვეყნიერება. მართალი რომ ვთქვათ, ავტორიტეტულ კათოლიკობაში უფრო მეტია თავისუფლება, ვიდრე მართლმადიდებლობაში, რომელიც სიტყვიერად განაგრძობს ქრისტეს აღიარებას თავის ერთადერთ თავად. მაგალითს მოვიყვან. ჟაკ მარიტენი, საფრანგეთის ყველაზე გამოჩენილი კათოლიკე მოაზროვნე, კათოლიკური ინსტიტუტის პროფესორი იცავს ქრისტიანულ დემოკრატიას, ქრისტიანულ ჰუმანიზმს, პიროვნების ღირსებასა და თავისუფლებას, ამხელს ანტისემიტიზმის არაქრისტიანულ სიყალბეს, განსაკუთრებით მწვავედ ამხელს კათოლიკობის მიღმა ამოფარებულ გენერალ ფრანკოს, ის თითქმის იმავეს ლაპარაკობს და წერს, რასაც გ. პ. ფედოტოვი, და მას არავინ ეხება, მას არავინ აგდებს საფრანგეთის უმაღლესი კათოლიკური სასწავლებლიდან. გავიხსენოთ პაპის, პიუს XI-ის სიტყვები: ის იცავდა სულიერ თავისუფლებას, პიროვნების თავისუფლებასა და ღირსებას, ამხელდა დიქტატურებს, ამხელდა რასიზმსა და ანტისემიტიზმს, იცავდა ხალხთა შორის მშვიდობას. საზღვარგარეთის მართლმადიდებელთა შორის მის აზრებს ალბათ უმაღლესი სალვთისმეტყველო სკოლის პროფესორისთვის შეუფერებლად ჩათვლიდნენ. გასაგებია, რომ ემიგრაციაში სურთ მართლმადიდებლობა აქციონ რეაქციული და რუსი ხალხის მოღალატე პოლიტიკის მორჩილ იარაღად. ღიად განაცხადონ: აღიარებს თუ არა მართლმადიდებლობა პირადი სინდისის თავისუფლებას, როგორც ხშირად იქადნიდნენ ამას კათოლიკეთა წინაშე.

სინამდვილეში, სინდისის ცნება გადატანილია კოლექტივებზე, ზუსტად ისე, როგორც კომუნისტებთან - საზიზღარ რეაქციულ კოლექტივებსა და მათ ყვითელ პრესაზე. მაგრამ ვერავითარი კოლეგია ვერ შეეხება ადამიანის წმინდა უფლებებს, ადამიანის თავისუფლებას. თავისუფლება ჩვენში რეალურად მხოლოდ "მოდერნიზმში" არსებობს, მიმდინარეობაში, რომელიც, ხომიაკოვიდან მოყოლებული, რეფორმისკენ მიისწრაფვის და რომელიც, სამწუხაროდ, ოფიციალური ეკლესიურობისა და სახაზინო მართლმადიდებლობის რეაქციულმა დინებამ გათელა ფეხქვეშ. დროა, მოედნებზე საჯაროდ ვთქვათ სიმართლე, არაფერი დავფაროთ და შევალამაზოთ, ვთქვათ უტაქტო სიმართლე: მართლმადიდებლობას სჭირდება რეფორმა და რეფორმის გარეშე ის იწყებს გახრწნას და მომწამლავი შხამის გამოყოფას. ის, რასაც "ჭეშმარიტ", "ორთოდოქსულ" მართლმადიდებლობას უწოდებენ, სწორედ ეს გახრწნა და მოკვდინებაა. რეფორმა სულაც არ ნიშნავს ლუთერანობას ან კალვინისტობას, ის სხვანაირი იქნება. მაგრამ სულის, სინდისისა და აზრის თავისუფლებას ის ლუთერსა და კალვინზე მეტად დაიცავს, რადგან ისინი მათ არასაკმარისად და არათანმიმდევრულად იცავდნენ. რეფორმა დაიწყება პირადი სინდისის უზენაესობის აღიარებით - გაათავისუფლებს მას გაუცხოებისა და ექსტერიორიზაციისაგან, ანუ აღიარებს სულის თავისუფლებასა და სულიერი ცხოვრების დამოუკიდებლობას "კეისრის სამეუფოსაგან". ეკლესიის საყოველთაობას არავითარი აზრი არ გააჩნია, თუ ის სულისა და პირადი სინდისის თავისუფლებას არ შეიცავს. თავისუფლების გარეშე საყოველთაობა მხოლოდ გარეგნული ავტორიტარული კოლექტივიზმია.

დღეს მსოფლიოში ყველგან ხდება ქრისტიანობის გამოყოფა და ეს გამოყოფა უნდა გაღრმავდეს. კატასტროფული გზით ხდება ქრისტიანობის განწმენდა იმ ისტორიული დანაშრევებისგან, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ქრისტიანობის საწყისებთან და შეტანილი არიან მასში კეისრის სამეუფოს სოციალური ინტერესებით. ეს ქრისტიანობის გასულიერებაა: სარწმუნოება სულ უფრო შინაგანი და გულწრფელი ხდება, უფრო მჭიდროდ და შემოქმედებითად უკავშირდება ქრისტეს მცნებებს. მოდის "ყოფითი", ანუ წარმართული ქრისტიანობის დასასრული, წყდება ქრისტიანობაში შემოსული წარმართული ტრადიციები, ისტორიულ სხეულთა ყალბი საკრალიზაცია. დგება პირობითად რიტორიკული, დეკლამაციური ქრისტიანობის აღსასრული. მაგრამ აღსასრულის წინ მან კიდევ ბევრი უმსგავსოება შეიძლება ჩაიდინოს, ბევრი ბოროტება გამოამჟღავნოს. [...]

"მემარჯვენე" და "მემარცხენე" პირობითი ნიშნებია და ჩვენს ეპოქაში ისინი რეალურ აზრს კარგავს. მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, რა რეალობაა დაფარული სიტყვებსა და ნიშნებს მიღმა. ითხოვენ, რომ მართლმადიდებლები "მემარჯვენეები" იყვნენ და ამაში მართლმადიდებლობის არსებით ნიშანს ხედავენ. პრაქტიკულად, რეალურად კი რა იმალება ამის უკან? რეალურად "მემარჯვენეთა" უკან იმალება პოლიტიკური ამორალიზმი, ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების უარყოფა, უხეში ძალის კულტი, ადამიანთა და ხალხთა შორის ძალადობის პრაქტიკა, სოციალურ ცხოვრებაში სახარებისეული მორალის შეურაცხყოფა. [...] "მემარჯვენეები" ადვილად ღალატობენ სამშობლოს და საკუთარ ხალხს. კონსერვატიზმის რომანტიკოსები, იდეის ერთგული ადამიანები მცირერიცხოვან ჯგუფს წარმოადგენენ და მას არავითარი პრაქტიკული ძალა არა აქვს, რადგან სათავეში რეალისტი საქმოსნები დგანან.

"მემარცხენეობაც" ხშირადაა ცრუ, ანგარებიანი და დეკლამაციური. იმისგან, რომ არსებობენ თავისუფლებისა და ადამიანობის მოღალატე "მემარცხენეები", მაგალითად, კომუნისტები, არანაირად არ გამომდინარეობს, რომ თავისუფლება და ადამიანობა ცუდი პრინციპებია. [...].

ქრისტნიანობა მხოლოდ იმ პოლიტიკის მომხრე შეიძლება იყოს, რომელიც აღიარებს პიროვნების უზენაეს ღირებულებას, მის თავისუფლებასა და ღირსებას, სოციალური ცხოვრების ძმურ ორგანიზაციას; მტრულად იქნება განწყობილი სახელმწიფოს, ეროვნების, გარეგანი ეკლესიურობისა და გაბატონებული კლასების ინტერესთა რეალურად დამცველი არაადამიანური კოლექტივების წინაშე კერპთმთაყვანისმცემლობის მიმართ. განწმენდილმა ქრისტიანობამ უნდა დაუბრუნოს სიცოცხლის მორალურ საწყისს მისი ღირსება მართლმადიდებლური ამორალიზმის, ცრუ მისტიკური და ცრუ საკრამენტული ამორალიზმის წინააღმდეგ, რაც ადამიანურ მორალზე მაღლა კი არა, დაბლა დგას.

ადამიანის ღირსების უზენაესი პრინციპი ინგრევა მორჩილების ყალბი და უზნეო თეორიის წყალობით, რომელიც ისეთ სამარცხვინო ისტორიებს უშვებს, როგორიცაა სალვთისმეტყველო ინსტიტუტის შემთხვევა. ამავე დროს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სალვთისმეტყველო ინსტიტუტის პროფესორთა დონე საკმაოდ მაღალია და მათ დიდ ნაწილს ობსკურანტებს ვერ უწოდებ. ისინი ტრადიციული გარემოს მსხვერპლნი არიან.

იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ შეცდომა იქნებოდა, რომ დაგვეცვა ქრისტიანის უფლება, აღიაროს ნებისმიერი პოლიტიკური იდეა. ქრისტიანს არა აქვს უფლება მისდიოს პოლიტიკურ მიმართულებას, რომელიც ფეხქვეშ თელავს თავისუფლებასა და ადამიანობას, ეწინააღმდეგება სახარებისეული სიყვარულის სულისკვეთებას, მოწყალებასა და კაცთა შორის ძმობას. ქრისტიანებმა უნდა შექმნან ადამიანის თავისუფლებისათვის მებრძოლი კავშირი.

***თარგმნა ლეილა ბეზარაშვილმა***

## ფოტოგალერეა



*ხედი ჩემი ფანჯრიდან.* *ავტორი: ლევან ხერხეულიძე*

## TV პროგრამა

### 19 იანვარი

**რუსთავი - 2**

**07.30** დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.55** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ხელიდან წასული" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ფორტ-ბოიარდი **23.00** დოკ. ფილმი "ვინ მოკლა რასპუტინი" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "კ-2: მაქსიმალური სიმაღლე" (18) (მაიკლ ბინი) **02.15** პატრული

**პირველი არხი**

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დროში მოგზაურობა" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** რაციო **16.30** "არტე" წარმოგიდგენთ - "საიდუმლო ადგილები" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "ვირტუალური რეალობა" 1-ლი ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ტერი ჯონსის შუა საუკუნეები" **23.00** ახალი პროექტი **23.30** მხ. ფილმი "ჩაკლული სულები" **02.10** საინფ. გამოშვება

**მზე**

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00** "აბა დამაცადე" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** "მზე, რეკორდი და კუჩხი ბედინერი" **14.00** "მზერა" **14.15** "საოცნებო ცირკი" **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.00** მუსიკა **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დღესასწაული ყინულზე" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** რეი ჩარლზიჩ შოუ ყინულზე **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "ცით მოვლენილი" (გ)

**მეორე არხი**

**19.00** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** ანიმაცია "ამბები ჩემი ბავშვობის შესახებ" **20.30** ექსცენტრიკოსები **21.00** დოკ. ფილმი "მინორკის ცხენები" **21.30** მონოსპექტაკლი "აქ მატარებლებს თეთრად ათოვს" **22.50** მსოფლიო უმღერს შობას

**იმედი**

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კამენსკაია-3" **12.20, 17.10, 03.15** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.45** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ცხოველური ბნუება" (გ) (პ. არკეტი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.35** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.20** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია-3" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "უცნობი საქართველო" **23.45** მხ. ფილმი "რეალური სიყვარული" (15) (ჰ. გრანტი) **01.40** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

**აჭარა**

**09.00** მუსიკა **09.30** სათავ. ფილმი "პლუტონეში" **11.05** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ბოევიკი "ბუნდოკელი წმინდანები" **13.35** მუსიკა **14.45** მხ. ფილმი "სიყვარული წესებით და წესების გარეშე" **16.55** მულტფილმი **17.45** მუსიკა **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** დრამა "მეექვსე გრძნობა" **21.00** მხ. ფილმი "ბარაბა" **23.15** მუსიკა **23.30** საინფ. გამოშვება **23.50** მხ. ფილმი "გაიცანით, ჯო ბლექი"

**კავკასია**

**11.00** მხ. ფილმი "სიყვარულის ტატუირება" (გ) **13.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "ტაქსი-3" (გ) **00.30** ტუწ-ემ

**202**

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკა **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუსიკა **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** სერიალი "დიდი სახლი" **22.30** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე

**ОРТ**

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"БЛИЗНЕЦЫ". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** "Зимняя шутка с ...". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20** Дисней-клуб: "Лило и Стич". **13.50** Сериал **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 17.00** "Пять вечеров". Среда. **18.20** Смехопанорама Евгения Петросяна. **19.50** Сериал **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА". 21.00** Время. **22.40** Тайны века. "Битва титанов". **23.30** Ночное "Время". **23.50** Теория невероятности. "Йога". **00.20** Сканер. "Актер без лица". **00.50** Михаил Ширвиндт в программе "Русский экстрим". **01.10** Лайэм Нисон в триллере **"ЧЕЛОВЕК ТЬМЫ" 02.50** Родриго Санторо в фильме **"ПОСЛЕДНЕЕ СОЛНЦЕ".** Северо-восток Бразилии, апрель 1910 года. Две семьи уже много лет враждуют. После убийства старшего сына, отец приказывает 20-летнему Тонио отомстить за смерть брата. Молодой человек знает, что он обязан выполнить его волю. Так велит закон чести. Но, встав на тропу войны, он сам становится мишенью. А значит, впереди ждет сметь... **04.30** Сериал **"ПОСЛЕДНЯЯ ГРАНИЦА"**.

**НТВ**

**10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Анатомия преступлений. **10.50** "Женский взгляд" Оксаны Пушкиной. **11.25** "Растительная жизнь". Программа Павла Лобкова. **11.55** Сериал **"УСАДЬБА". 13.30** Сериал **"НА ВИРАЖЕ". 14.30** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"УСАДЬБА". 20.45** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** "Сегодня 22.00". **22.40** Сериал **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ". 23.40** Чрезвычайное происшествие. **00.15** Расселл Кроу в фильме **"НЕБЕСА В ОГНЕ" 02.25** Оливер Платт в остросюжетном фильме **"В СТАНЕ ВРАГА". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"ОПЕРАТИВНИК". 05.35** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი



1. კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი საქართველოში; 2. გოგრისებრთა ოჯახის ბოსტნეული; 3. ძვირფასი ლითონი; 4. ცსკ-სა და საბჭოთა ნაკრების ყოფილი კალათბურთელი; 5. სახელმწიფოსა და უცხო ფირმას შორის დადებული ხელშეკრულება; 6. საკონდიტრო ნაწარმი; 7. საეკლესიო, ლითონის, ფეხიანი ჭურჭელი; 8. ვოკალური მუსიკის ჟანრი; 9. ნორვეგიელი დრამატურგი; 10. ამერიკელი კინომსახიობი; 11. ამერიკელი ელექტროტექნიკოსი და გამომგონებელი; 12. სპეციფიკური სუნის მქონე ბალახოვანი მცენარე; 13. რ. ჩხიკვაძის როლი სპექტაკლში "კავკასიური ცარცის წრე"; 14. წარსულში გამოჩენილი შვედი ჩოგბურთელი; 15. ბამბის თეთრი ქსოვილი; 16. სრული წარუმატებლობა, მარცხი; 17. 70-80-იანი წლების ცნობილი ბრაზილიელი ნახევარმცველი; 18. ამერიკელი კინომსახიობი ქალი; 19. ჩეხური წარმოების მსუბუქი ავტომობილი; 20. საქონლის შესაბამისი ნორმა, სტანდარტი; 21. შენობის წინა ნაწილი; 22. საპორტო ქალაქი საქართველოში; 23. ოკეანოგრაფიული საკვლევი აპარატი; 24. შვეიცარიის დედაქალაქი; 25. ფრანგი მწერალი, რომანიზირებული ბიოგრაფიების ავტორი; 26. ნივთიერების რაოდენობის საზომი სიდიდე; 27. განთიადი, ალიონი; 28. წარსულში გამოჩენილი ფრანგი ჩოგბურთელი; 29. რუსი კომპოზიტორი და საესტრადო მომღერალი; 30. სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება; 31. სუფრის, ნადიმის ხელმძღვანელი; 32. ტროის უკანასკნელი მეფე; 33. მე-14 საუკუნის იტალიელი პოეტი; 34. მკერდისა და ზურგის დასაცავი ლითონის ფირფიტები; 35. ინგლისური წარმოების მსუბუქი ავტომობილი; 36. გამომწვარი თიხის ნაკეთობანი; 37. ერთგვარი სათვალე; 38. მრავალკომპონენტიანი სითხის ფრაქციებად დაშლა.

# ქველმოქმედება საქართველოს სახელით

## ხელოვანთა ინიციატივა

ვერა ნეფარიძე

*საყოველთაო საქველმოქმედო აქციას საქართველო მოგვიანებით, მაგრამ მაინც შეუერთდება. ინიციატორები საქართველოდან ცუნამით დაზარალებულთათვის დასახმარებლად, სულ ცოტა, 50 ათასი ლარით შეწევნას ვარაუდობენ. აქციას მხარი დაუჭირა საქართველოს საპატრიარქომ, მობილური ტელეფონების სამივე ქსელმა, ეროვნულმა მუზეუმმა და რამდენიმე თეატრმა. აქციის შედეგებს ორი კვირის შემდეგ შეაჯამებენ.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

"მსოფლიო მასშტაბის სტიქიურ კატასტროფაში დაზარალებული ხალხისთვის მოწყალების გაღება ნიშნავს მწყურვალისთვის წყლის, მშიერისთვის ლუკმის მიწოდებას, სასოწარკვეთილისთვის ნუგეშისცემას. ბოლო პერიოდის მოვლენებმა დაგვანახა, რომ გლობალური კატასტროფები გავლენას ახდენს მთელ მსოფლიოზე. უმეტესმა დიდმა სახელმწიფობმა 2005 წლის საახალწლო ზეიმი მოკრძალებულად აღნიშნეს, ბევრმა კი საერთოდ უარი განაცხადა საზეიმო ცერემონიებზე. ჩვენც გვინდა, შევუერთდეთ ამ საერთო საკაცობრიო გლოვას, მივუსამძიმროთ და დახმარების ხელი გავუწოდოთ დაღუპულთა ოჯახებს", - ამ განცხადებით გუშინ ქართველი ხელოვანების ჯგუფი საყოველთაო, საერთაშორისო საქველმოქმედო აქციას შეუერთდა. მაშინ, როდესაც სხვადასხვა საინფორმაციო საშუალება თითქმის ყოველდღიურად გვაცნობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დაზარალებული ქვეყნების ფონდში მსოფლიოს ცნობილი ადამიანებისა და სახელმწიფოების მიერ გადარიცხული მილიონების შესახებ, ამ საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი საქართველომაც უნდა შეიტანოს.

ქართველი ხელოვანების ინიციატივა - "მოწყალების აქცია" დაწყებულია. ორი კვირის განმავლობაში თითო საქველმოქმედო სპექტაკლი გაიმართება ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, გრიბოედოვის, "კინომსახიობთა", თეატრალურ სარდაფში, "ვერიკოსა" და სამეფო უბნის თეატრებში; აქციას ერთი ღონისძიების თანხით შეეწევა დიდი სახელმწიფო საკონცერტო დარბაზიც; ასევე, თითო კინოჩვენებიდან შემოსულ თანხას გადარიცხავენ კინოთეატრები: "ამირანი", "რუსთაველი" და "ახმეტელი"; ერთი დღის შემოსავალს გაიღებს ეროვნული მუზეუმიც. აქცია მასშტაბური გახდება მობილური სატელეფონო ქსელების: "ჯეოსელის", "ლაი-ლაისა" და "მაგთის" დახმარებით. სამივე ქსელის აბონენტებისთვის ამ დღეებში გამოცხადდება ფასიანი ნომრები (ფასი - 50 თეთრი), რომელთა გამოყენების შემთხვევაში, აქციაში მონაწილეობის ყველა მსურველს შეეძლება, საკუთარი წვლილი შეიტანოს ქველმოქმედებაში. სტიქიით დაზარალებულთათვის საქართველოს საპატრიარქომ სპეციალური ანგარიშიც გახსნა (გაერთიანებული ქართული ბანკის ცენტრალური ფილიალი; საქართველოს საპატრიარქო; N 012700392; კოდი 204395537; სავალუტო ანგარიში N 221070693). სხვათა შორის, ამ ანგარიშზე უკვე გადაირიცხა ბიზნესმენთა (მათი ვინაობა ჩვენთვის უცნობია) შემოწირულობა.

გუშინ კინოთეატრ "ამირანში" მოწყალების აქციასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა. იდეის ავტორების, ხელოვანების - გია ქავთარაძისა და გიორგი ვასაძის თქმით, აქცია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით დაიწყო. "როდესაც ეს აქცია ჩავიფიქრეთ, გადავწყვიტეთ, ის საქართველოს საპატრიარქოსთან ერთად განგვეხორციელებინა. ამის მიზეზი საპატრიარქოს ავტორიტეტია და, დარწმუნებული ვართ, ეჭვი არავის შეეპარება, რომ გაღებული თანხა ადრესატამდე მიაღწევს. აქცია პატრიარქის მეთვალყურეობის ქვეშ ჩაივლის. ამას თავად მისმა უწმინდესობამ გაუსვა ხაზი", - გვითხრა გია ქავთარაძემ. მისივე თქმით, აქციის ფარგლებში დაგეგმილია სოციალური ვიდეორგოლის გაშვება საქართველოს ტელევიზიის სხვადასხვა არხზე.

ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ ორ კვირაზე გათვლილი აქცია გაგრძელდება. მათი აზრით, ამ ღონისძიების ფარგლებში საქართველოდან ცუნამით დაზარალებულთათვის, სულ ცოტა, 50 ათასი ლარი შეგროვდება. აქციის დასასრულს მონაწილეებს საქართველოს პატრიარქი შეხვდება და დალოცავს.

# ქართული ფილმების გადასარჩენად

ქართველი ხელოვანები ქართული ფილმების გადასარჩენად ფონდის შექმნის ინიციატივით გამოდიან. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ფონდში ფირები უსაფრთხოდ იქნება დაცული. ფონდის შექმნაში მონაწილეობას მიიღებს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, "ქართული ფილმი" და "თი ბი სი ბანკი".

"ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ფონდი ფუნქციონირებდეს და უზრუნველყოფილი იყოს საჭირო თანხებით. ამ ფონდის მიზანი ქართული ფილმების სრული ციფრული არქივის გაკეთებაა," - აღნიშნა შეხვედრაზე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა. მისივე თქმით, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება მოსკოვში 32 ქართული ფილმის დედნების გადმოცემაზე, რომლის მიხედვითაც, უნდა აღდგეს "ქართულ ფილმში" ახლახან მომხდარი ხანძრის შედეგად დაზიანებული და განადგურებული ფილმები.

ჯერჯერობით უცნობია ზუსტი მონაცემები, თუ რამდენი ფილმი დაზიანდა ხანძრის შედეგად; "ქართული ფილმის" ფილმსაცავში 15 იანვარს გაჩენილი ხანძრის შედეგად დამწვარი მასალების ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით უცნობია. დღეს სრულდება საცავიდან ასლების გამოტანა, გაწმენდა და ლაბორატორიაში გადატანა. სავარაუდოდ, საცავში არსებული ასლების 10-15 პროცენტია დაზიანებული", - აღნიშნა შეხვედრაზე ს/ს "ქართული ფილმის" ხელმძღვანელმა რეზო ჩხეიძემ.

გუშინ კინოთეატრ "რუსთაველში" გამართულ პრესკონფერენციაზე კინოთეატრის განვითარების მენეჯერმა, ირაკლი ჩიკვაიძემ განაცხადა, რომ ფონდში ფილმების ციფრული გადამუშავება იგეგმება. მისი თქმით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, შესაძლებელი იქნება სააქციო საზოგადოება "ქართული ფილმის" კუთვნილი ფილმების ციფრული ვიდეოს ფორმატში გადატანა და დაზიანებული ფონოგრამების აღდგენა.

"თი-ბი-სი ჯგუფი" ფონდის დაფინანსებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. "ეს არის ქართველი ხალხის განძი, რომელიც უნდა შევინახოთ და მომავალ თაობებს გადავცეთ ისეთ დონეზე შენახული, რომ მას განადგურების საფრთხე აღარასოდეს დაემუქროს", - თქვა "თი ბი სი ჯგუფის" პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ. *24 საათი*

# საანგარიშო პრეზენტაცია

ხვალ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში სახელოვნებო განათლების დეპარტამენტი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამით განხორციელებული პროექტის საანგარიშო პრეზენტაციას გამართავს.

შარშან პროექტის ფარგლებში სამუსიკო სკოლებსა და საშუალო პროფესიულ სასაწავლებლებში საქართველოს მასშტაბით (აჭარა, იმერეთი, კახეთი, ქვემო ქართლი) პირველად ჩატარდა ჩასაბერი საკრავების სპეციალობის მოსწავლეთა დათვალიერება; გაიმართა მასტერკლასები და გამოიკვეთა გადაუდებელ ღონისძიებათა გზები. პროექტის აუცილებლობა გამოიწვია ჩასაბერი ინსტრუმენტების შემსრულებელთა რაოდენობის შემცირებამ, რაც უახლოეს მომავალში უარყოფითად აისახებოდა ჩვენს ორკესტრებზე. პრეზენტაციაზე სახელოვნებო დეპარტამენტი წარმოადგენს პროექტის ამსახველ ფილმს, რომელსაც გაეცნობიან: რეგიონებიდან მოწვეული სტუმრები, კონსერვატორიის წარმომადგენლები და მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი ნატო მაჩალაძე.



## აფიშა

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
მარიუს ფონ მაიენბურგი
"ცივი ბავშვები"
რეჟისორი: გურამ ბრეგაძე
ფასი: 5 ლარი
დას: 20:00 სთ.

**გლობუსი**
შალვა დადიანი
"გუშინდელნი"
რეჟისორი: სოსო ნემსაძე
დას: 18:00 სთ.

### კინოთეატრები

**რუსთაველი**
“ყველაზე მაგრები მსოფლიოში”
დას: 15:00; 17:00 სთ.

“პოლარული ექსპრესი”
დას: 13:00 სთ.

“განრისხებული”
დას: 19:15; 20:00 სთ.

**ამირანი**
“პოლარული ექსპრესი”
დას: 12:00; 14:00; 16:00 სთ.

“ყველაზე მაგრები მსოფლიოში”
დას: 18:00 სთ.

"მზის ჩასვლის შემდეგ"
დას: 20:00; 22:00 სთ.

### გამოფენები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცული ექსპონატთა გამოფენა

**ჰობი**
ელდარ ქავშბაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
"დახურული ქოლგები"
I დარბაზი

თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების
გამოფენა (ფერწერა)
II დარბაზი

**გოეთეს ინტიტუტი**
ბეატ პრესნერის ფოტოგამოფენა
"ვერნერ ჰერცოგი: ფილმი ფიზიკური უნდა იყოს"

**სურათების ეროვნული გალერეა**
ლერი ჭანტურიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

ვერა ქიქოძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)
II დარბაზი

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# "დახურული ქოლგები" გაიხსნა

გუშინ გალერეა "ჰობიში", გიორგი შერვაშიძის პრემიის ლაურეატის ელდარ ქაჯბაიას გამოფენა "დახურული ქოლგები" გაიხსნა.

გალერეაში გამოფენილია აფხაზეთიდან დევნილი ფერმწერის 30 ნამუშევარი, რომლებიც ზოგადსაკაცობრიო პრობლემებზეა ორიენტირებული. შემოქმედისთვის კულტურული, მითოსური ასოციაციით ნაკარნახევი სიმბოლურობა და მარადიული ფასეულობებისადმი სწრაფვაა დამახასიათებელი.

როგორც მხატვარმა ელდარ ქაჯბაიამ განაცხადა, საკუთარი ტილოებით იგი აფხაზეთთან დაკავშირებულ პოლიტიკურ პროცესებს ეხმაურება; "დახურული ქოლგები" კი ერთგვარი პროტესტია.

ნოსტალგიური განწყობილების მიუხედავად, რომლითაც ფერწერული ნამუშევრები გამოირჩევა, ელდარ ქაჯბაიას ტილოებში მოგონებების გარდა არის ოპტიმიზმი, რომლითაც გაჯერებულია მთელი მისი შემოქმედება. გამოფენა 2 თებერვლამდე გაგრძელდება. ***ინტერპრესი***


ICSRPA გთავაზობთ ბიზნეს ინგლისურის ორთვიან სერთიფიცირებულ კურსებს (Upper-intermediate, advanced), რომელიც ეფუძნება უახლეს მასალებსა და მეთოდოლოგიას.
რეგისტრაციისათვის დაგვიკავშირდით: 893 14 71 11, 77 84 24
მისამართი: ჯანო ბაგრატიონის 6

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.